

178
1963/3




საბჭოთა სამართალი

ქართული სახელმწიფო ბიბლიოთეკის გამომცემლობა

1963

5

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს 40 წელი




საზეიმო სხდომის პრეზიდიუმი



ტრიბუნაზეა ა. თ. გორკინი



მომხსენებელი ვ. ი. მაისურაძე



საბჭოთა სამართალი

№ 5

სექტემბერი-ოქტომბერი

1968 წელი

ბამოცემის X ფალი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ორგანო
ო რ ტ ვ ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი

შინაარსი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს 40 წელი	3
. მისურაძე — 40 წელი საბჭოთა მართლმსაჯულების საღარაჯოზე	7
ოფიციალური მასალა	13
ლ. ვაჩიშვილი — სამართლის თეორიის ზოგიერთი საკითხი	16
ლ. თალაკვაძე — დაზარალებულის უფლებანი და მოვალეობანი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით	25
კ. მოსესიანი — დამცველის მტკიცების მოვალეობის შესახებ საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში	33
ა. პაიჭაძე — დაცვითი პოზიციის საკითხისათვის სასამართლო პროცესში	38
ო. მგელაძე — კრიმინალისტური ექსპერტიზა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმეზე	44
ვ. გოგუაძე — პროკურატურის მდივანი თამარ მისურაძე	46
დანაშაულის კვლადაკვალ	
გ. ცხვარაძე — თაღლითი „იუველერი“	47
ა. აბესაძე — გაწყვეტილი ჯაჭვი	49
ოფიციალური მასალა	54
უცხოეთში	
ლ. ბეზიმენსკი — გლობკეს სასამართლო	75
კრიტიკა და გიგლიოგრაფია	
კ. ლიუტოვი — ვ. გ. მაყაშვილი, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობისათვის	81
ინფორმაცია	89

9418





СОДЕРЖАНИЕ

40 лет Верховного Суда Грузинской ССР	3
В. Майсурадзе — 40 лет на страже советского правосудия	7
Официальный материал	13
Ал. Вачеишвили — Некоторые вопросы теории права	16
Л. Талаквადзе — Права и обязанности потерпевшего по уголовно-процессуальному кодексу Грузинской ССР	25
Г. Мосесян — Об обязанности доказывания защитником в советском уголовном процессе	33
А. Пайчадзе — К вопросу о защитной позиции в судебном процессе	38
О. Мгеладзе — Криминалистическая экспертиза по делу убийства Ильи Чавчавадзе	44
В. Гогуадзе — Секретарь прокуратуры Тамара Майсурадзе	46

ПО СЛЕДАМ ПРЕСТУПЛЕНИЯ

Г. Цхварадзе — Мошенник «ювелир»	47
А. Абесадзе — Разорванная цепь	49
Официальный материал	54

ЗА РУБЕЖОМ

Л. Безыменский — Суд над Глобке	75
---	----

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

К. Лиутов — В. Г. Макашвили, Уголовная ответственность за неосторожность	81
Информация	89

სარედაქციო კოლეგია:

- ო. კაციტაძე (რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი,
 ბ. ბერძენიშვილი, ი. დოლიძე, გ. ინწკირველი,
 მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე, თ. წერეთელი,
 ს. ჯორბენაძე.

შეკვ. № 2608
 ტირაჟი 6.000
 უფ. 12231

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი—3-09-62

გადეცა წარმოებას 19/XI-63 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/XII-63 წ. ანაწყოების ზომა 7×12; ქალაქის ზომა 70×108; პირობით ფორმათა რაოდენობა 8,2; ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 6.

საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობის სტამბა № 1, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
 Тип. № 1, Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის

აშხ. ვ. ი. მაისურაძის

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს 40 წლისთავის დღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ულოცავენ სახელოვან თარიღს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო ორგანოს ყველა მუშაკს.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო ეწევა დიდ და მნიშვნელოვან მუშაობას მართლმსაჯულების განხორციელებისათვის, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის, დანაშაულის თავიდან აცილებისა და აღმოფხვრისათვის.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს კოლექტივი ყველა დონეს იხმარს, რათა უფრო წარმატებით განახორციელოს მართლმსაჯულება, განამტკიცოს სოციალისტური კანონიერება და თავისი წვლილი შეიტანოს იმ ამოცანების გადაწყვეტაში, რაც სასამართლო ორგანოების წინაშე დასახა კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ.

გისურვებთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, ჯანმრთელობას, შემდგომ წარმატებებს რთულ, საპასუხისმგებლო და საპატიო საქმიანობაში — სოციალისტური მართლმსაჯულების განხორციელებაში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის

აშხ. ვ. ი. მაისურაძის

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს 40 წლისთავის დღეს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო მხურვალედ ულოცავს რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლო ორგანოს და საქართველოს ყველა სასამართლოს მუშაკს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს.

ახორციელებს რა მართლმსაჯულებას, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო დიდ მუშაობას ეწევა სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის, საბჭოთა მოქალაქეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის, რესპუბლიკის სასამართლოებისადმი ხელმძღვანელობის საქმეში.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო და რესპუბლიკის ყველა სასამართლო ორგანო, იხელმძღვანელებენ რა პარტიის დირექტივებით და განამტკიცებენ რა კავშირის საზოგადოებრიობასთან, უახლოეს ხანში მიადწევენ გადამწყვეტ წარმატებებს სახელმწიფო

და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი დანაშაულებრივი ხელყოფისა და მოქალაქეთა უშიშროებისათვის ბრძოლაში, წარსულის მანე გადმონაშთების დაძლევის, სამართლის დარღვევის თავიდან აცილების საქმეში.

გისურვებთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, დიდ წარმატებებს მართლმსაჯულების განხორციელებისა და სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცების რთულ და საპატიო საქმიანობაში, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტების მშენებლობის დიადი საქმისათვის მოქალაქეთა უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე **ბ. გორპინი.**

30 აგვისტო, 1963 წ.

მ ო ს კ ო ვ ი

საზოგადოებრივი საკუთრების კომუნისტური პარტიის

ცენტრალურ კომიტეტს,

ამხანაგ ნიკიტა ხრუშჩოვს

საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს 40 წლისთავის თარიღის აღნიშვნას, მოგმართავთ სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და პირადად თქვენ ძვირფასო ნიკიტა სერგისძე უღრმესი მადლობის სიტყვებით იმ დაულაღავი ზრუნვისა და დახმარებისათვის, რასაც 40 წლის მანძილზე ვგრძნობთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მხრივ სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და საბჭოთა მართლმსაჯულების განხორციელების საქმეში.

სკკპ XX, XXI და XXII ყრილობების და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად საქართველოს უმაღლესი სასამართლო თავის მთავარ ამოცანას ხედავს იმაში, რომ საბოლოოდ იქნეს ლიკვიდირებული სამართლის დარღვევა, რომელთაც ადგილი ჰქონდათ წარსულში, სოციალისტური კანონიერების პრინციპების საფუძველზე გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოოს რესპუბლიკაში დანაშაულებრივ მოვლენათა წინააღმდეგ, აღმოფხვრას მიზეზები, რომლებიც ხელს უწყობენ დანაშაულებას, აქტიურად შეუწყოს ხელი მშრომელთა აღზრდას კომუნისტების მშენებლის მორალური კოდექსის სულისკვეთებით.

შედის რა თავისი არსებობის მეხუთე ათწლეულში საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლექტივი და რესპუბლიკის სასამართლო ორგანოები პირობას იძლევიან, რომ საზოგადოებრივობის მხარდაჭერით მომავალშიც აქტიურად იბრძოლებენ სამართლის დამრღვევთა და დანაშაულებათა წინააღმდეგ, რომლებსაც დიდი ზიანი მოაქვთ საზოგადოებისათვის, იმისათვის, რომ შეიქმნას შეუწყნარებლობის ატმოსფერო ყოველი ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა მიმართ, რესპუბლიკაში კანონიერების და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცებისათვის, უზრუნველყოფენ იმ ამოცანათა გადაწყვეტას, რომლებიც დასმულია სასამართლო ორგანოების წინაშე.

მთელ ძალასა და ცოდნას მოვახმართ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეს, გავუფრთხილებით საბჭოთა სასამართლოს ღირსებას.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვის მეთაურობით!

გაუმარჯოს კომუნისტებს — კაცობრიობის ნათელ მომავალს!

საზიემო სხდომა

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ორ-
მოცი წელი შეუსრულდა. საქართველოს საზოგა-
დობრიობამ ფართოდ აღნიშნა ეს თარიღი.

ფ. ე. ძეგლიძის სახელობის კლუბში მიმდინა-
რე წლის 30 აგვისტოს შეიკრიბნენ სასამართ-
ლოსა და პროკურატურის მუშაკები, ადმინისტრა-
ციული ორგანოების წარმომადგენლები, საწარ-
მოთა მოწინავე ადამიანები, მეცნიერებისა და
კულტურის მოღვაწეები, საბჭოთა არმიის მემ-
რები.

საზიემო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუ-
მის თავმჯდომარე გ. ძოწენიძემ.

საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნა სკკპ ცენ-
ტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ნ. ს. ხრუშ-
ჩოვის მეთაურობით.

მომხსენებით — „საქართველოს სსრ უმაღლესი
სასამართლოს 40 წელი“ — გამოვიდა საქართვე-
ლოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე
გ. მაისურაძე.

იმ დღიდანვე, ამბობს მომხსენებელი, რაც სერ-
გო ორჯონიკიძემ თავისი ცნობილი დეპუტით შე-
ატყობინა მოსკოვს, რომ თბილისში ფრიალებს
საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა, დი-
დი ყურადღება მიექცა ძველი, დახავებული სა-
ხელმწიფო აპარატის დამსხვრევასა და ახალი სო-
ციალისტური სახელმწიფო აპარატის შექმნას, რე-
ვოლუციური კანონიერების ცხოვრებაში განუხ-
რელად განხორციელებას.

1921 წლის 26 ივლისს იუსტიციის სახალხო
კომისრის — ს. ქავთარაძის — ხელმოწერით გა-
მოქვეყნდა დეკრეტი „საქართველოში საოლქო
სასამართლოებთან არსებული სამომრიგებლო სა-
სამართლოთა გაუქმების შესახებ“.

დეკრეტში მითითებული იყო, რომ გაუქმებულ
სასამართლო დაწესებულებების წარმოებაში არ-
სებული საქმეები გადაეცემა კუთვნილებისამებრ
და გადაწყდება საბჭოთა სასამართლო წარმოე-
ბის ახალი წესით. მალე, ამის შემდეგ, მიღებულ
იქნა „დებულება რევოლუციური ტრიბუნალების
შესახებ“. დებულებით სასამართლოებს უფლება
ჰქონდათ ეხელმძღვანელათ სოციალისტური
მართლშეგნებით და არაკითარ შემთხვევაში არ

გამოეყენებინათ დამხობილი ხელისუფლების კა-
ნონები.

1923 წლის 21 ივნისს სრულიად საქართველოს
ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეოთ-
ხე სესიაზე მიიღეს „დებულება საქართველოს
საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სასამართ-
ლო წარმოების შესახებ“, რომელიც ძალაში შე-
ვიდა 1923 წლის 1 სექტემბრიდან.

აღნიშნული აქტით შეიცვალა „დებულება რე-
ვოლუციური ტრიბუნალების შესახებ“, შეიცვალა
აგრეთვე რესპუბლიკის სახალხო სასამართლოე-
ბის შესახებ დებულების მთელი რიგი მუხლები.
ამ დღიდან საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ახა-
ლი დებულების ძალით მოქმედებდა სასამართლო
დაწესებულებების ერთიანი სისტემა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს
საქმიანობა მიმართული იყო სოციალისტური კა-
ნონიერების შემდგომი განმტკიცებისაკენ. მთე-
ლი მუშაობა მიმართული იყო იმისკენ, რომ კონ-
კრეტული საქმეების განხილვის დროს ყოველ-
მხრივ შესწორებულიყო სახალხო სასამართლოე-
ბის მიერ დაშვებული არასიზუსტე; ამავე დროს,
ადგილზე გასვლით სახალხო სასამართლოებს
ეწეოდათ პრაქტიკული დახმარება. იუსტიციის
ორგანოს მუშაკთა დასახმარებლად გამოდიოდა
სახელმძღვანელო ინსტრუქციები და ბროშურე-
ბი, ხდებოდა სახალხო სასამართლოს მუშაობის
პრაქტიკის განზოგადება და ა. შ.

მომხსენებელი ლაპარაკობს საქართველოს სსრ
უმაღლესი სასამართლოს, მისი პერსონალის საქ-
მიანობასა და მოღვაწეობაზე დიდი სამამულო
ომის წლებში.

მრავალი წლების მანძილზე ამხანაგები, რომ-
ლებსაც საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართ-
ლოში ხელმძღვანელი თანამდებობა ეკავათ კე-
თილსინდისიერად და გულმოდგინებით ახორციე-
ლებდნენ საბჭოთა კანონებს, იცავდნენ საბჭო-
თა სახელმწიფოს ინტერესებს. ამკამადაც დამსა-
ხურებულად სარგებლობენ ხალხის სიყვარულით
ეს პირები — ბ. ფურცხვანიძე, მ. ლომიძე, ი. დოლი-
ძე, ი. თდიშვილი, ა. მგალობლიშვილი, უ. კაპანაძე,
ნ. მანჯგალაძე, თ. წერეთელი, თ. ცაგურია და სხვები.



ასევე მრავალი წლის მანძილზე მუშაობენ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს აპარატში და კეთილსინდისიერად ემსახურებიან საბჭოთა კანონმდებლობას — ს. ქაჯაია, ტ. ბუბაშვილი, დ. ბაღათურია, ს. ჭელიძე, დ. გიორგაძე, ლ. კობრეიძე, პ. ნადირაშვილი, ს. ფოფხაძე, დ. ხოვანი, ჟ. შახიჯანოვა და სხვანი. მომხსენებელი ვრცლად ჩერდება საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ამოცანებსა და მიზნებზე კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე კითხულობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მისალმებას რესპუბლიკის სასამართლო ორგანოების მუშაკებისადმი.

სხდომის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ა. გორკინის მისასალმებელი სიტყვა. მან აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო, ახორციელებს რა საბჭოთა მართლმსაჯულებას, დიდ მუშაობას ატარებს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის, საბჭოთა მოქალაქეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის წარმოების ნოვატორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შ. ფირცხალავა, აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. იბრაგიმოვი, საქართველოს სსრ პროკურორი პ. ბერძენიშვილი, სომხეთის სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ე. სიმონიანი, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო პროკურორი, იუსტიციის გენერალ-მაიორი ბ. ცალავოვი, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარე, იუსტიციის პოლკოვნიკი კ. კომნატნი, საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრი ო. ქავთარაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, დოცენტი გ. ინწკირველი, საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. პაიჭაძე.

შეკრებილთა ტაშის გრიალში კრების მონაწილეებმა მიიღეს წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი.

საზეიმო სხდომას ესწრებოდნენ ა. მ. ა. მ. ო. დ. გოცირიძე და დ. ს. ზემლიანსკი. დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი.

40 წელი საბჭოთა მართლმადიდებლის საღაჯოზე

ვ. ი. ლენინი,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე

40 წლის წინათ შეიქმნა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ჩვენს რესპუბლიკაში მართლმადიდებლის განმტკიცების საქმეში. როგორც მარქსიზმის ფუძემდებლები გვასწავლიან სასამართლო წარმოადგენს გაბატონებული კლასის ინტერესების დამცველ ორგანოს, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების განმტკიცების მძლავრ საშუალებას.

ოქტომბრის რევოლუციის პირველ დღეებშივე შეიქმნა მუშურ-გლეხური სასამართლოები. სასამართლოთა ორგანიზაციის საფუძვლად აღებულ იქნა პრინციპი მოსამართლეების არჩევისა თვით მშრომელებისაგან, საქმის საჯარო გარჩევა და სხვა დემოკრატიული პრინციპები. საბჭოთა რუსეთში იმ დღეებში იქმნებოდა სასამართლოები სხვადასხვა სახელწოდებებით: საზოგადოებრივი სინდისის სასამართლო, საგამომძიებლო კომისიები, სახალხო სასამართლოები, რევოლუციური ტრიბუნალები და ა. შ. სასამართლოს შესახებ, 1917 წლის 24 ნოემბერს გამოქვეყნებული, პირველი ლენინური დეკრეტით გაუქმდა ძველი, დახვსებული სასამართლო სისტემა და საფუძველი ჩაეყარა ახალ საბჭოთა სახალხო სასამართლოს, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ერთ-ერთ ორგანოს. ვ. ი. ლენინმა დიდი შეფასება მისცა სასამართლო ორგანოების მუშაობას, როდესაც განმარტა, რომ „...სასამართლო სახელმწიფო დაწესებულებაა, სასამართლო მოღვაწეობა — სახელმწიფო მოღვაწეობის ერთ-ერთი ნაწილია“.¹

ვ. ი. ლენინის უდიდესი დამსახურებაა ისიც, რომ მან წამოაყენა, აგრეთვე მეცნიერულად დასაბუთა და თვითონვე განახორციელა პარტიული და სახელმწიფო კონტროლის ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები.

საბჭოთა მთავრობა და კომუნისტური პარტია ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს ოქტომბრის რევოლუციისა და სამოქალაქო ომის წლებში შექმნილი დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების საქმეს. ვ. ი. ლენინი თვალყურს ადევნებდა და დიდ დაინტერესებას იჩენდა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკების ყოველმხრივი განვითარებისათვის.

იმ დღიდანვე, რაც სერგო ორჯონიკიძემ თავისი ცნობილი დებუებით შეატყობინა მოსკოვს, რომ თბილისში ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა, დიდი ყურადღება მიექცა ძველი, დახვსებული მენშევიკური სახელმწიფო აპარატის მსხვერველსა და ახალი სოციალისტური სახელმწიფო აპარატის შექმნას, რევოლუციური კანონების ცხოვრებაში განუხრელად განხორციელებას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გარიყრაყზე, 1921 წლის 26 ივლისს, საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისიის ს. ქავთარაძის ხელმო-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 4, გვ. 368.



წერით გამოქვეყნდა საქართველოს რევოლუციური კომიტეტის დეკრეტი „საქართველოში საოლქო სასამართლოებთან არსებული სამომრიგებლო სასამართლოთა გაუქმების შესახებ“. ეს იყო დამატებითი დეკრეტი 1921 წლის 22 მარტისა და 15 აპრილის დეკრეტებისა, რომელთაგან პირველი აუქმებდა სენატს, პალატებსა და სხვა დაწესებულებებს, მეორე კი ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს.

ამ დეკრეტით გაუქმებულ იქნა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედი ოლქის სასამართლოები, მათთან არსებული დაწესებულებებით და თანამდებობებით, აგრეთვე სამომრიგებლო სასამართლოს დაწესებულებანი. აქვე მითითებული იყო, რომ აღრინდელი წარმოებული საქმეები გადაწყდება სასამართლოს წარმოების ახალი წესით და გადაეცემა ქვემდებარეობის მიხედვით.

ამის შემდეგ მიღებულ იქნა დებულება „საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო სასამართლოსი“; გამოქვეყნდა აგრეთვე დებულება „რევოლუციური ტრიბუნალების შესახებ“.

ზემოაღნიშნული დეკრეტების მიღებისას საბჭოთა საქართველომ ისარგებლა რუსეთის გამოცდილებით და გადმოიღო ის ფორმები, რაც საბჭოთა რუსეთში იყო მიღებული.

მას წითელ ზოლად გასდევდა აზრი, რომ სასამართლო ეკუთვნის პროლეტარიატს, გლეხებს, მშრომელ ხალხს.

„დებულებით“ განსაზღვრული იყო სახალხო მოსამართლეთა რიცხვი, ძაზრების ტერიტორიის დანაწილება სასამართლო უბნებად, გამოყოფილ იქნა ცალკე სასამართლო რაიონები, რომელთა დანაწილება ხდებოდა მუშათა და გლეხთა ქალაქის საბჭოების მიერ.

„დებულებიდან“ განსაკუთრებით საინტერესო ის არის, რომ მოსამართლეს უფლება ეძლეოდა ეხელმძღვანელა სოციალისტური მართლშეგნებით და არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაემოწმებინა დამნობილი მთავრობის კახოხები.

უმადლეს საკასაციო ინსტანციად მიჩნეული იყო სახალხო მოსამართლეთა საბჭო.

„დებულებით“ გაუქმებული იქნა სააპელაციო ინსტანცია.

სახალხო სასამართლოებსა და სახალხო მოსამართლეთა საბჭოს კონტროლი ევალებოდა იუსტიციის სახალხო კომისარიატს.

ეს ის პერიოდი, როდესაც რესპუბლიკაში საბჭოთა მართლწესრიგის განხორციელების საქმე თანდათან წესრიგდებოდა. ამას კი ხელს უწყობდა ის, რომ მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, რაც წინ უძღოდა ახლად დაარსებულ რესპუბლიკაში ჯანსაღი სახელმწიფო აპარატის შექმნას, საბჭოთა საქართველოს მთავრობა ყოველდღიურად ზრუნავდა ახლადფეხადგმული იუსტიციის ორგანოების მუშაობის სრულყოფისა და გაუმჯობესებისათვის, რაც გამოხატული იყო მთელი რიგი სახელმძღვანელო დეკრეტების მიღებით. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ 1921 წლის 28 ოქტომბერს მიღებული დეკრეტი „სახალხო მოსამართლეთა დროებითი საბჭოს დაარსების შესახებ“, დეკრეტი „იუსტიციის სახალხო კომისარიატის დასჯა-გასწორების განყოფილებასთან განმანაწილებელი კომისიის შესახებ“, ინსტრუქცია „სამოქალაქო საქმეების მონა-

წილეთა წარმომადგენლების სიის შესადგენად“, დებულება „აღმასრულებელთა მუშაობის შესახებ“ და ა. შ.

შემდგომ წლებში სასამართლო ორგანოების მუშაობა უფრო სრულყოფილი ხდება. 1923 წლის 21 ივნისს სრულად საქართველოს საბჭოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეოთხე სესიის მიერ მიღებული იქნა დებულება „საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის სასამართლო წყობილების შესახებ“. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის 17 აგვისტოს მიღებული დებულებით, რომელსაც ხელს აწერს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია, 1923 წლის 1 სექტემბრიდან სამოქმედოდ შემოღებულ იქნა დებულება „საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის სასამართლო წყობილების შესახებ“.

აღნიშნული აქტით გაუქმდა რევოლუციური ტრიბუნალების დებულება, აგრეთვე გაუქმდა რესპუბლიკის სახალხო სასამართლოს დებულების მთელი რიგი მუხლები, შეიცვალა დამცველთა კოლეგიის დებულების ზოგიერთი მუხლი, ხოლო „სახალხო მოსამართლეთა საბჭო“ ყველგან შეიცვალა „ოლქის სასამართლოთი“.

ახალი დებულებით ამ დღიდან საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედებს სასამართლო დაწესებულებათა ერთიანი სისტემა, სახელდობრ: სახალხო სასამართლო, რომელიც მოქმედებდა ერთი მუდმივი მოსამართლის შემადგენლობით; სახალხო სასამართლო, რომელიც მოქმედებდა მუდმივი სახალხო მოსამართლისა და ორი სახალხო მსაჯულით; ოლქის სასამართლო და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო. იმ დროისათვის სპეციალური კატეგორიის საქმეების განსახილველად მოქმედებს სამხედრო ტრიბუნალი და სახალხო სასამართლოთა განსაკუთრებული სესიები შრომის საქმეებზე.

აღნიშნულ დადგენილებაში შედარებით სრულყოფილად არის მოცემული სახალხო მოსამართლეთა არჩევისა და უკან გამოწვევის წესი, სახალხო მსაჯულთა უფლება-მოვალეობანი, სასამართლო აღმასრულებლის, სახელმწიფო ნოტარიატის მუშაობის შესახებ. ლაპარაკია ოლქის სასამართლოს შემადგენლობისა და ფუნქციების შესახებ და ა. შ.

დადგენილებაში სრულყოფილად არის მოცემული უზენაესი სასამართლოს კომპეტენცია. იგი მოქმედებს შემდეგი შემადგენლობით: უზენაესი სასამართლოს პლენუმი, უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმი, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეთა საკასაციო კოლეგიები, უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგია.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს შემდგომი საქმიანობა მიმართული იყო სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცებისაკენ. მთელი მუშაობა დაყენებული იყო ისე, რომ გასწორებულიყო სახალხო სასამართლოების მიერ დაშვებული არასიზუსტე კანონიერების გატარების საქმეში, აგრეთვე პრაქტიკული დახმარება ეწეოდათ სახალხო სასამართლოებს ადგილებზე გასვლით, გამოდიოდა სახელმძღვანელო ინსტრუქციები და ბროშურები იუს-



ტიციის ორგანოების მუშაკთა დასახმარებლად, ეწყობოდა მოწინავე სახალხო მოსამართლეთა წახალისება და მათი მუშაობის განზოგადება და ა. შ.

მძიმე დალი დაასვა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მუშაობას პიროვნების კულტის პერიოდმა. როგორც ცნობილია, იმ პერიოდში ადგილი ჰქონდა სამართლის ნორმების დარღვევის შემთხვევებს, უხეშად ითვლებოდა მოქალაქეთა უფლებანი.

პარტიის XX ყრილობის შემდეგ პარტიამ თანმიმდევრულად ადადგინა ლენინური ნორმები, რომლებიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში უხეშად ირღვეოდა.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და სახალხო მეურნეობის მძლავრი აღმავლობა, წარმატებანი მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში კანონიერი სიამაყით აღავსებს თითოეულ საბჭოთა ადამიანს.

ამ წარმატებათა ფონზე სულ უფრო მოუთმენელი ხდება წარსულის ისეთი მავნე გადმონაშთები, ექსცესები, როგორცაა სოციალისტური საკუთრების, მოქალაქეთა ქონებისა და პირადი უშიშროების ხელყოფა, სპეკულაცია, ბახდითიზმი, მექრთამეობა, ხულიგნობა და სხვა.

ამიტომ იყო, რომ ნ. ს. ხრუშჩოვმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობაზე სხვა დიდმნიშვნელოვან საკითხებთან ერთად ყურადღება გამამხვილა სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საკითხებზე.

„ჩვენ, — აღნიშნა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა, — უნდა დავენერგოთ პატივისცემა საბჭოთა კანონებისადმი, მთლიანად უნდა გამოვიყენოთ კანონის ძალაც და საზოგადოებრივი ზემოქმედების გავლენის ძალაც“.

პარტია მტკიცედ და გარკვევით მოითხოვს, რომ სახელმწიფოს მართვა, ეკონომიკა, პოლიტიკა, კანონები დაუმორჩილდეს ადამიანის ნებასა და ინტერესებს მთელი საზოგადოების ინტერესებთან შეხამებით, პიროვნების თავისუფლებისა და მისი ყოველმხრივი განვითარების პირობებში.

კომუნისმის მშენებლობის დღეებში დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ თანდათან მცირდება და საფუძველი ეცლება პიროვნების სწრაფვას კერძო მესაკუთრული ზნე-ჩვეულებისაკენ. მაგრამ დღეისათვის მაინც არსებობს ადამიანთა მცირე რიცხვი, რომლებიც ცდილობენ იოლი გზით გავიდნენ ფონს, ჯიუტად არ სურთ დაემორჩილონ საზოგადოებრივი ცხოვრების კანონზომიერი გახვითარების პრინციპებს და პირადი გამდიდრებისათვის ყოველგვარ დანაშაულს სჩადიან. ამ პირების გაუვნებლებსათვის, ხელახლა აღზრდისათვის და სწორ გზაზე წარმართვისათვის არსებობს საბჭოთა კანონი.

საბჭოთა კანონების ზუსტი დაცვა გადაქცეულია საბჭოთა საზოგადოებრიობის, მისი თითოეული წევრის არა მარტო მოვალეობად, არამედ მოთხოვნილებად. დიდად გაიზარდა საბჭოთა მოქალაქის პასუხისმგებლობა მშრომელთა სახელმწიფოს დაცვისათვის. საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და მშრომელთა კოლექტივებმა საიმედოდ აიღეს ხელში სოციალისტური მართლწესრიგის რთული ამოცანა. მილიონობით საბჭოთა მოქალაქეა ჩაბმული სახელმწიფოს მმართველობის ორგანიზაციაში.

საბჭოთა სასამართლო ნამდვილად სახალხო სასამართლოა, რადგან ის არჩეულია ხალხის მიერ და სარგებლობს ხალხის ნდობით. სახალხო სასამართლო მთელი თავისი საქმიანობით ზრდის მოქალაქეებს სოციალისტური სამშობლოსა-

დმი სიყვარულის სულისკვეთებით, საბჭოთა კანონების ზუსტად და განუხრელად შესრულების, საზოგადოებრივი საკუთრებისადმი სოციალისტური დამოკიდებულების, შრომის დისციპლინის დაცვის, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოვალეობისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, მოქალაქეთა უფლებების, პატივისა და ღირსებებისადმი, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის გრძნობით, ამავე დროს, სისხლის სამართლის სასჯელის გამოყენებით, სასამართლო არა მარტო სჯის დამნაშავე პირებს, არამედ ფართოდ ახორციელებს გამაფრთხილებელ და აღმზრდელი ღონისძიებებს.

საბჭოთა კანონიერების განმტკიცებას დიდად შეუწყო ხელი პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის შექმნამ, რომელიც მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობით ხორციელდება.

ამჟამად ხელმძღვანელობენ რა ნომბრისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებებით, ნ. ს. ხრუშჩოვის მითითებებით, ჩვენი რესპუბლიკის სასამართლო ორგანოები სერიოზულ ღონისძიებებს ახორციელებენ, ახალი ამოცანების შესაბამისად, თავიანთი მუშაობის გარდაქმნისათვის. ძირითადად აღმოფხვრილია საშიშ დამნაშავეებზე შეღავათის გავრცელების არასწორი პრაქტიკა. იმ პირთა მიმართ, რომელთაც პირველად ჩაიდინეს ნაკლებად საშიში დანაშაული და შეიგნეს თავისი მოქმედების სიმძიმე ხორციელდება ისეთი ღონისძიებანი, როგორცაა დამნაშავეს გადაცემა ორგანიზაციებსა და კოლექტივებზე მათი ხელახალი აღზრდისათვის, ან ისეთი სასჯელის შეფარდება, რაც იზოლაციასთან არ არის დაკავშირებული. უფრო მეტი ყურადღება ექცევა დანაშაულის ჩადენის ხელისშემწყობი მიზეზების და პირობების შესწავლასა და გამოვლენას. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრები უფრო ხშირად ჩაიდან ადგილებზე და კონკრეტულ დახმარებას უწევენ ქალაქის, რაიონის სასამართლოს მუშაკებს. ეწყობა ზონალური თათბირები, სემინარები სახალხო მოსამართლეებისათვის და ა. შ.

ახლა, როდესაც ვაჯამებთ საბჭოთა კანონიერებისათვის ბრძოლაში 40 წლის შედეგებს, ჩვენ თვალს ვერ დავხუჭავთ იმ ნაკლოვანებებსა და შეცდომებზე, რაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გააჩნიათ თავიანთ მუშაობაში სასამართლო ორგანოებს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სასამართლო ორგანოების მუშაობაში ვხვდებით ცალკეულ დამნაშავეთა მიმართ ღმობიერების გამოჩენის ფაქტებს და პირიქით — აშკარად შეუსაბამოდ მკაცრი და უკანონო განაჩენების გამოტახის შემთხვევებს. მცირეა გამსვლელი სესიების ჩატარების რაოდენობა, სასამართლო პროცესებზე მცირე რაოდენობით მონაწილეობენ საზოგადოებრივი ბრალმძღებლები და საზოგადოებრივი დამცველები.

მართალია, წინა წლებთან შედარებით რესპუბლიკაში დამაკმაყოფილებელია განაჩენებისა და გადაწყვეტილებების სტაბილობა, მაგრამ ცალკეულ რაიონებს ამ მხრივ ყველაფერი როდი აქვთ რიგზე. არის საქმეთა უსაფუძვლოდ აცილების შემთხვევებიც. ზოგიერთ სახალხო სასამართლოში საქმეებს იხილავებ მოუმზადებლად, მხარეთა გამოწვევის გარეშე. ზოგიერთ რაიონში მივიწყებუ-



ლია სახალხო მსაჯულებთან მუშაობა. კიდევ მეტი, ზოგიერთი მოსამართლე ნაკლებად მუშაობს თავის თავზე.

ყველა ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის, ამჟამად, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ხელმძღვანელობის მიერ ტარდება მთელი რიგი გადამჭრელი ღონისძიებანი მუშაობის ძირფესვიანად გარდაქმნისათვის.

საზოგადოებრივ საწყისებზე უმაღლეს სასამართლოსთან შეიქმნა სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო, რაც ერთგვარი წინგადადგმული ნაბიჯია კანონიერების დარგში მთელი რიგი საკვანძო და რთული საკითხების სწორად გადაწყვეტისათვის. ყველა ამ ღონისძიებათა სწორად განხორციელება არის ვ. ი. ლენინის იმ მითითებათა ცხოვრებაში გატარება, რომ საჭიროა მუშათა და გლეხთა ფართო მასები აღვზარდოთ კანონიერების დაცვაში საქმიანი, დამოუკიდებელი მონაწილეობისათვის.

ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ღ ე ბ ე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ორმოცი წლისთავთან დაკავშირებით და სასამართლო ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით

- | | |
|---|---|
| 1. აბაშიძე ანდრო ვლადიმერის ძე | — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი |
| 2. ადამიანი სურენ გელამის ძე | — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი |
| 3. ბუბაშვილი ტარასი სევერიანის ძე | — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი |
| 4. გაჩეივი ნახიბ ყურბანის ძე | — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი |
| 5. გვათუა იბოლიტე ტარიელის ძე | — ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო მოსამართლე |
| 6. გოგაშვილი იოსებ ვასილის ძე | — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი |
| 7. იოსავა გიორგი ყირიშის ძე | — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე |
| 8. კანმაშოვა ვერა ვასილის ასული | — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სა-ოლქო სასამართლოს თავმჯდომარე |
| 9. კობრიძე ლუბა მოსეს ასული | — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი |
| 10. მისურაძე ვლადიმერ ივანეს ძე | — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე |
| 11. მირიანაშვილი ნინო გრიგოლის ასული | — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი |
| 12. მუშყუდიანი ვიქტორ ვასილის ძე | — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი |
| 13. ნადირაშვილი პავლე ანტონის ძე | — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს საკოდიფიკაციო განყოფილების უფროსი. |
| 14. ნაზარიანი ბალასან თათეოზის ასული | — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს უფროსი კონსულტანტი |
| 15. პაიჭაძე თამარ ვლადიმერის ასული | — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი |
| 16. ფალავანდიშვილი აბოლონ ვლადიმერის ძე | — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი |
| 17. ქაჯაია სერგი იასონის ძე | — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე |
| 18. ღვინჯილია ვლადიმერ ნესტორის ძე | — აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე |
| 19. ლუღუნიშვილი ალექსანდრე არსენის ძე | — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი |



- | | |
|---------------------------------------|--|
| 20. ცეცხლაძე ნური მამედის ძე | — აჭარის ასსრ ჩაქვის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე |
| 21. ცქიტიშვილი გიორგი კონსტანტინეს ძე | — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე |
| 22. ზონიაცინა ადელინა ივანეს ასული | — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი |
| 23. ჯაფარიძე ტოსია მიხეილის ასული | — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი |
| 24. ჯაჯანაშვილი თეიმურაზ ესტატეს ძე | — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს რევიზორი |

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭავაძე**

ქ. თბილისი, 1963 წლის 30 აგვისტო.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არსებობის 40 წლისთავთან დაკავშირებით, სასამართლო ორგანოებში ხანგრძლივი დროის განმავლობაში კეთილსინდისიერი მუშაობისათვის გამოეცხადათ მადლობა და დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოსა და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელით:

- | | |
|-------------------------------------|--|
| 1. აბაზოვი ოთარი ქოჩორის ძე | — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი |
| 2. ბადაგაძე ნიკოლოზ ალექსის ძე | — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი |
| 3. ბლიაძე გოდერძი ვლადიმერის ძე | — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი |
| 4. ვეველესიანი არჩილ ვლადიმერის ძე | — ზესტაფონის რაიონის სახალხო მოსამართლე |
| 5. გიორგაძე სტეფანე ანტონის ძე | — გორის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე |
| 6. ზამბახიძე ალექსანდრე ვარდენის ძე | — სამტრედიის რაიონის სახალხო მოსამართლე |
| 7. იობიძე ალექსანდრე გიორგის ძე | — ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე |
| 8. მაისურაძე გაიოზ ივანეს ძე | — ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო მოსამართლე |
| 9. მახარაძე შალვა კირილეს ძე | — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი |
| 10. შორდანია ივანე შალვას ძე | — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი |
| 11. სტურუა ალექსანდრე ლუკას ძე | — ქ. თბილისის 26 კომისიის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე |
| 12. სუმბათაშვილი ივანე სიმონის ძე | — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი |
| 13. ტორჩინავა გრიგოლ ელიზბარის ძე | — ცხაკაიას რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე |
| 14. ქუმსიაშვილი ანა იორამის ასული | — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი |
| 15. ხითარიშვილი ევგენი პავლეს ძე | — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს უფროსი კონსულტანტი |
| 16. წიქარაძე გიორგი იოსების ძე | — სიღნაღის რაიონის სახალხო მოსამართლე |
| 17. წიქარიძე ავთანდილ პავლეს ძე | — ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე |
| 18. ჭელიძე სერაფიონ ლუარსაბის ძე | — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი |

სამართლის თეორიის ზოგიერთი საკითხი*

პროფ. ალ. შანიჭიჭიჭი

სამართლის თეორიაში ერთ-ერთ ძირითად ცნებად ითვლება **სამართლის სისტემის** ცნება. იგი ლოგიკურად უკავშირდება სხვადასხვა იურიდიული დარგების კლასიფიკაციას, ე. ი. სამართლის მთლიანი დარგის დაყოფას ცალკეულ ნაწილებად, რომლებიც დიფერენცირებულია მათი სპეციფიკური თვისებების მიხედვით. დიფერენციაციის საფუძვლად აღებულია არა მარტო სამართლებრივ ნორმათა კომპლექსები, არამედ აგრეთვე, როგორც მართებულად იყო მითითებული საბჭოთა ლიტერატურაში, სათანადო საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომლებსაც სამართლის ნორმები აწესრიგებენ და რომლებიც ამ გზით სამართლებრივ ურთიერთობებად იქცევიან.

მაგრამ აღნიშნული დიფერენციაციის გარდა, რომელიც წარმოადგენს ცალკეული იურიდიული დარგების საფუძველს და წყაროს, სამართლის მეცნიერებას ბუნებრივად აინტერესებს ის ნიშნებიც, რომლებიც საერთოა სამართლის ყველა დარგისათვის, ის, რაც ჰქმნის სამართლის ზოგად შინაარსს. სამართლის ზოგადი თეორიის ამოცანას წარმოადგენს ამ ნიშნების შესწავლა და დადგენა. ამგვარად, დიფერენციაციის გვერდით არსებობს კიდევ მეცნიერული კვლევადობის მეორე გზა — განზოგადებისა და სინთეზის გზა.

„იმ იურიდიულ მეცნიერებათა გარდა, რომლებიც მიძღვნილია სამართლის ცალკეულ დარგებისადმი, არსებობს მეცნიერება, რომელიც შეისწავლის სამართლის ნორმათა და მათ მიერ მოწესრიგებულ ურთიერთობათა საერთო თვისებებს, რა დარგსაც არ უნდა ეკუთვნოდნენ ისინი“.¹

ამ მეცნიერების საგანია — სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების ზოგადი კანონზომიერებანი, რომლებიც აშკარავდება სამართლის ყველა დარგში.

ცალკეულ იურიდიულ დისციპლინებთან შედარებით სახელმწიფოსა და სამართლის თეორია უფრო ზოგადი მეცნიერებაა; იგი შეისწავლის ისეთ სამართლებრივ ცნებებს, რომლებიც გამოიყენება სამართლის სხვადასხვა დარგში. მაგალითად, სახელმწიფოს და სამართლის თეორია შეისწავლის **სამართლის ნორმის** და **სამართლებრივი ურთიერთობის ცნებას ზოგადად**, ხოლო ადმინისტრაციული ან სამოქალაქო სამართლის მეცნიერება შეისწავლის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ნორმებს და ურთიერთობებს ან სამოქალაქო-სამართლებრივ ნორმებს და სათანადო ურთიერთობებს.²

სახელმწიფოს და სამართლის სახელმძღვანელოებში, საერთოდ, მიღებულია სამართლის შემდეგი ზოგადი პრობლემების განხილვა: სამართლის ცნება, სამართლის შეგნება, სამართლის წყაროები, სამართალი და ზნეობა, სამართლის ნორ-

* განხილვის წესით.

¹ Теория государства и права, под ред. П. С. Ромашкина и др., 1962, гл. 15. საბჭოთა მეცნიერება შეისწავლის ერთად სახელმწიფოს და სამართლის თეორიას. ჩვენ აქ ცალკე ვიკვლევთ სპეციალურად სამართლის პრობლემებს.

² იქვე, გვ. 16.

მები, სამართლის ნორმების შეფარდება, სამართლებრივი ურთიერთობა¹, სამართლის სისტემა. სახელმძღვანელოს ახალ გამოცემაში (1962 წ.) ცალკე თავად შეტანილია სამართლის დარღვევა და მისი სახეები; ამ საკითხის შეტანას, რა თქმა უნდა, აქვს თავისი გამართლება და საფუძველი: სამართლის დარღვევას ადგილი აქვს სამართლის ყველა დარგში, ამდენად იგი ეკუთვნის სამართლის თეორიის ზოგად პრობლემათა რიგს.

მაგრამ როცა შევისწავლით ამ ზოგად პრობლემებს და მათ ურთიერთდამოკიდებულებას, ჩვენს წინაშე აუცილებლად დგება კითხვა — დასახელებული პრობლემებით ამოიწურება თუ არა ის სფერო, რომელიც შეადგენს სამართლის თეორიის ბუნებრივ შინაარსს? ხომ არ არის კიდევ სხვა ზოგადი ხასიათის ცნებები, რომლებიც თავისი ბუნებით სწორედ სამართლის თეორიის დარგს განეკუთვნება? და თუ არსებობს ასეთი ზოგადი ცნებები, რომლებიც თავის ადგილს ვერ პოულობენ სამართლის თეორიის მიღებულ სისტემაში, იბადება საჭიროება მათი გათვალისწინების და მოთავსებისა საკითხთა იმ წრეში, რომელსაც ისინი თავისი შინაარსით ეკუთვნიან. ამგვარად, შეივსება ის ხარვეზი, რომელიც ემჩნევა სამართლის თეორიას მისი ახლანდელი სახით.


რომ განვიხილოთ ყურადღებით სამართლის ზოგადი თეორიის სახელმძღვანელოები და მათში დამუშავებული საკითხები, ჩვენ აღმოვაჩინებთ, რომ ისინი ივიწყებენ მთელ რიგ ცნებებს, რომლებიც საერთოა სამართლის ყველა დარგისათვის ან, ყოველ შემთხვევაში, მათი უმრავლესობისათვის. ამით არ გვინდა ვთქვათ, რომ ეს საკითხები მივიწყებულია საერთოდ სამართლის დარგში, პირაქით, ისინი წამოყენებულია და გულდასმით მუშავდება სამართლის ამა თუ იმ სპეციალურ დისციპლინაში. აქ ხაზს ვუსვამთ მხოლოდ იმ გარემოებას, რომ აღნიშნული საკითხები უნდა იქნას თავმოყრილი და განხილული სამართლის ზოგად თეორიაში, როგორც ისეთ მეცნიერებაში, რომელიც, საერთოდ მიღებული აზრით იკვლევს და შეისწავლის იმ მოვლენებს, რომლებიც ჰქმნიან საერთო საფუძვლებს და ურთიერთკავშირს სამართლის ცალკეულ დარგებს შორის.

აქაა მათი ბუნებრივი ადგილი. ამ სისტემის თანმიმდევრულად გატარების შედეგად უფრო გასაგები გახდება საერთოსამართლებრივი პრობლემატიკის შინაარსის ხასიათი და ამავე დროს უფრო ნათლად წარმოვიდგინებთ გამართიანებელი ელემენტების მნიშვნელობას სამართლის თეორიის დარგში. სამართლის სისტემაში არსებული დიფერენციაციის მომენტის გვერდით მთელი გარკვეულობით აღმოჩნდება სამართლის საფუძვლების ერთიანობა.

განვიხილოთ ის ცნებები, რომლებიც თავისი ბუნებით და შინაარსით სამართლის ზოგად თეორიას ეკუთვნიან.

1. პირველ ყოვლისა, უნდა დავასახელოთ **ბრალის ცნება**. როცა ლაპარაკობენ ბრალზე, ჩვეულებრივ სისხლის სამართალს გულისხმობენ, თითქოს ეს სპეციალური დარგი წარმოადგენდეს ბრალის ცნების გამოყენების ბუნებრივ სფეროს. მაგრამ ეს შეხედულება ძლიერ ზღუდავს ბრალის ცნების მოცულობას, ვინაიდან მას ვხვდებით სამართლის სხვა დარგებშიც; ბრალის ცნება აღიარებულია ერთ-ერთ ძირითად და სახელმძღვანელო ცნებად სამოქალაქო სამართალში, აღ-

¹ სამართლებრივი ურთიერთობის ცნება, მოცემული სახელმწიფო და სამართლის სახელმძღვანელოებში, არსებითად სამოქალაქო სამართლის დარგს ეკუთვნის და განსხვავდება სამართლებრივი ურთიერთობის იმ სახეებისაგან, რომელსაც სამართლის სხვა დარგებში ვხვდებით. უკანასკნელთ თავისი სპეციფიკა ახასიათებს.





მინისტრაციულ და შრომის სამართალში. ბრალი ყველგან მიჩნეულია სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლად.

ბრალის ცნება ერთიანია სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის დარგებისათვის; ყველა ამ დარგში გამოიყენება ბრალის ფორმები—განზრახვა და გაუფრთხილებლობა. მაგრამ სამოქალაქო სამართალს ახასიათებს ერთგვარი თავისებურება: მიუხედავად იმისა, რომ იგი საერთოდ აღიარებს პრინციპს, რომლის თანახმად პასუხისმგებლობა ეკისრება იმ პირს, რომელმაც ბრალეულად მიაყენა ზარალი, სამოქალაქო სამართალი ზოგჯერ გვერდს უხვევს ამ პრინციპს და დასაშვებად ცნობს პასუხისმგებლობას მაშინაც კი, როცა პირს არ მიუძღვის ბრალი მიყენებულ ზარალში. ასეთია ის შემთხვევა, როდესაც ზარალს იწვევს მომეტებული საშიშროების წყარო. მაგრამ ესაა განსაკუთრებული შემთხვევები. საერთოდ კი სამოქალაქო სამართალში მტკიცედ არის მიღებული პრინციპი, რომლის თანახმად პასუხისმგებლობის საფუძველს შეადგენს ბრალი.

2. იმ ცნებათა წრეს, რომლებიც საერთოსამართლებრივ ხასიათს ატარებენ, ეკუთვნის აგრეთვე საზოგადოებრივი საშიშროების ცნება.

საზოგადოებრივი საშიშროების პრობლემა საფუძვლიანად ითვლება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად სამართლის მეცნიერებაში. საბჭოთა იურიდიულ აზრს აინტერესებდა საკითხი — წარმოადგენს საზოგადოებრივი საშიშროება სისხლის სამართლის სპეციფიკურ ნიშანს, რომლითაც სამართლის ეს დარგი მკვეთრად გამოიყოფა სამართლის სხვა დარგებისაგან, თუ ეს თვისება ახასიათებს სამართლის დარღვევის ყველა სახეს და, მაშასადამე, განსხვავება მათ შორის უნდა ვეძიოთ მხოლოდ საშიშროების ხარისხში. ეს საკითხი საბჭოთა სამართლის მეცნიერებაში სხვადასხვანაირად იყო გადაწყვეტილი.

ერთნი ფიქრობდნენ, რომ საზოგადოებრივი საშიშროება წარმოადგენს სისხლის სამართლის სპეციფიკურ ნიშანს და ამ თვისების ძალით აღნიშნულ სამართლებრივ დარგს ენიჭება სრულიად თავისებური მდგომარეობა სხვა სამართლებრივ დარგებს შორის. ამ შეხედულებით, საზოგადოებრივი საშიშროების ნიშანს თითქოს ვერ ვნახულობთ ვერც სამოქალაქო სამართალში, ვერც ადმინისტრაციულ ან სამართლის სხვა რომელიმე დარგში.

მეორენი ამტკიცებდნენ, რომ საშიშროება არ შეადგენს მხოლოდ სისხლის სამართლის კუთვნილებას, იგი არსებობს ყველგან, სადაც კი ვამჩნევთ სამართლის დარღვევას. მეცნიერთა უმრავლესობა იზიარებს ამ შეხედულებას და უნდა ვაღიაროთ, რომ იგი უფრო საფუძვლიანია როგორც სამართლის თეორიის, ისე სამართლის ისტორიის თვალსაზრისით.

ცხადია, რომ დაყენებული საკითხი თავისი შინაარსით და მიზანდასახულობით შედის იმ ცნებათა წრეში, რომლებიც სამართლის ზოგადი თეორიის საგანს შეადგენენ. საერთოდ უნდა ითქვას, რომ სამართლის ზოგადი თეორიის შინაარსი და მასში შემავალი საკითხების მოცულობა ტრადიციულად მიღებული ცნებებით იყო შეზღუდული და შემოფარგლული. ამ ტრადიციულად დამკვიდრებულ ცნებათა სისტემაში, რასაკვირველია, ადგილს ვერ პოულობდნენ ისეთი ცნებები, რომლებიც მათი ბუნების მიხედვით სამართლის ზოგად თეორიაში უნდა ყოფილიყო მოთავსებული და დამუშავებული.

ამ თვალსაზრისით ვასაგებია, რომ თუ საზოგადოებრივი საშიშროების ცნება ახასიათებს არა მარტო სისხლის სამართლის, არამედ სამართლის ყველა



სამართლებრივი მართლწინააღმდეგობა. დანაშაულის ობიექტურ თვისებას და დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელ ობიექტურ ნიშანს წარმოადგენს ერთიანი მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართლის მნიშვნელობით.¹ საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული იყო შეხედულება, რომელიც მკვეთრად ეწინააღმდეგება ზემოთ დახასიათებულს. ამ შეხედულების თანახმად, საზოგადოებრივი საშიშროება მხოლოდ სისხლის სამართლის თვისებაა. მაგალითად, მ. შნეიდერი ამტკიცებს, რომ საზოგადოებრივი საშიშროების ნიშანი ახასიათებს არა სამართლის ყოველ დარღვევას, არამედ მხოლოდ დანაშაულს და დასძენს, რომ მართლწინააღმდეგობის ნიშანიც, როგორც საზოგადოებრივი საშიშროების იურიდიული გამოხატულება, აგრეთვე ეკუთვნის მხოლოდ დანაშაულის დარგს. „ამაში, შნეიდერის სიტყვით, გამოისახება დანაშაულის ცნების სამართლებრივი განსხვავება სამართლის სხვა დარღვევების ცნებისაგან“.²

შნეიდერის შეხედულება, რა თქმა უნდა, უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენს. მისი აზრით, საზოგადოებრივი საშიშროება შემოფარგლულია მხოლოდ სისხლის სამართლის სფეროთი. ესაა ის ნიშანი, რომელიც მკვეთრად გამოყოფს სისხლის სამართალს სამართლის სხვა დარგებისაგან. ეს დებულება კიდევ გასაგებია; მაგრამ იმის მტკიცება, რომ მართლწინააღმდეგობაც მხოლოდ სისხლის სამართლის ფარგლებით არის შეზღუდული, სრული გაუგებრობის შედეგს წარმოადგენს. მართლწინააღმდეგობა ლოგიკურად სამართლის დარღვევას გულისხმობს, ხოლო სამართლის დარღვევა სამართლის ყველა დარგს ახასიათებს. **სამართალი და უმართლობა (неправда) თანაფარდობითი ცნებებია.**

4. დაბოლოს, დავასახელებთ კიდევ ერთ საკითხს, რომელიც, ჩვენი აზრით, აგრეთვე სამართლის ზოგად თეორიას ეკუთვნის. მხედველობაში გვაქვს იურიდიული პასუხისმგებლობის ცნება.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში უკვე იყო აღნიშნული, რომ საკითხი იურიდიული პასუხისმგებლობის, მისი წარმოშობის საფუძვლების, მისი გამოყენების მიზნების შესახებ არ ყოფილა გაშუქებული ზოგადთეორიული თვალსაზრისით. ლიტერატურა დუმილით გამოდიოდა იმ დებულებიდან, რომ ასეთი პრობლემების კვლევაძიება შეადგენს სპეციალური იურიდიული დისციპლინების ამოცანას — სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის, ადმინისტრაციული სამართლის. მაგრამ პასუხისმგებლობის პრობლემის კვლევაძიების ახლანდელი დონის მიხედვით დარგობრივ დისციპლინებში შეიძლება გადაუჭარბებლად ვთქვათ, რომ შემდგომი სერიოზული ნაბიჯები შეიძლება გადადგმული იქნეს მხოლოდ იმ პირობით, თუ იგი გახდება საერთოთეორიული ანალიზის საგანი და თუ სათანადო განმაზოგადებელი დასკვნები ჩამოყალიბებული იქნება სახელმწიფო და სამართლის მეცნიერების მიერ. ასეთი აზრი იყო გამოთქმული ო. იოფეს და მ. შარგაროდსკის მიერ წიგნში „Вопросы теории права“. ავტორები დასძენენ, რომ ამგვარი დასკვნების ფორმულირების სამუშაოსათვის არსებობს საჭირო რეალური წინამძღვრები და საკმაოდ სერიოზული ობიექტური საფუძვლები. იურიდიული პასუხისმგებლობის პრობლემის საერთოთეორიული ანალიზის რეალურ წინამძღვარს წარმოადგენს ის მდიდარი მეცნიერული და ფა-

¹ А. Пионтковский, Учение о преступлении, 1961 წ. გვ. 161.

М. А. Шнейдер, Советское уголовное право, ч. общая, 1955, гв. 127.

ქტიური მასალა, რომელიც განვილილ წლებში დაგროვილია დარგობრივი იური-
 დიული დისციპლინებით¹.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ საერთო იურიდიული დისციპლინის
 სახით სახელმწიფო და სამართლის თეორია განსახილველი პრობლემის შესწავ-
 ლისას არ უნდა გამოდიოდეს იმის ფარგლებიდან, რაც ნამდვილად წარმოადგენს
 საერთო ინტერესს საბჭოთა სამართლის მეცნიერებისათვის და არ ეკუთვნის
 სპეციალური ხასიათის საკითხთა რიცხვს. ამიტომ, მაგალითად, სამოქალაქო პა-
 სუხისმგებლობის დასაბუთება იმ ზარალისათვის, რაც მიყენებულია მომეტებუ-
 ლი საშიშროების წყაროთი, ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა დანა-
 შაულებრივი მოქმედების ცალკეული სტადიებისათვის შეადგენს სპეციალური
 იურიდიული დისციპლინების კვლევაძიების საგანს და არ შედის იმ საკითხთა
 წრეში, რომელთაც იკვლევს სახელმწიფოს და სამართლის თეორია. „მაგრამ რა-
 გინდ სპეციალურ საკითხებს არ უნდა იკვლევდნენ დარგობრივი იურიდიული
 დისციპლინები, ყველა მათთვის მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რაა იური-
 დიული პასუხისმგებლობა და როგორია მისი წარმოშობის საფუძვლები“².

იმავე ნაშრომში მოცემულია იურიდიული პასუხისმგებლობის ზოგადი გან-
 საზღვრება: პასუხისმგებლობა სოციალისტური სამართლის მიხედვით არის სა-
 ხელმწიფო იძულების ღონისძიება, რომელიც დამყარებულია სამართლის დამრ-
 ლვევის ყოფაქცევის იურიდიულ და საზოგადოებრივ დავაობაზე და რომლითაც
 დადგენილია მისთვის გარკვეული უარყოფითი შედეგები პირადი ან ქონებრივი
 შეზღუდვის სახით.³ ეს განსაზღვრება თითქოს ემთხვევა სისხლისსამართლებრივი
 პასუხისმგებლობის ცნებას, მაგრამ, მისი ავტორების აზრით იგი მოიცავს რო-
 გორც სისხლის სამართლის, ისე ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლის
 პასუხისმგებლობის ცნებებსაც. იურიდიული პასუხისმგებლობა, მათი სიტყვით,
 განსაკუთრებული, სპეციფიკური სახელმწიფო ღონისძიებაა. იურიდიული პასუ-
 ხისმგებლობის ღონისძიებათა ძირითადი მიზნობრივი დანიშნულება იმაში მდგო-
 მარეობს, რომ ისინი მოწოდებული არიან უზრუნველყონ სოციალისტურ საზო-
 გადოებრივ ურთიერთობათა დაცვა და ამით ხელი შეუწყონ მათი განვითარების
 სათანადო პირობების განმტკიცებას. ეს მიზანი სისხლის სამართალში ხორციელ-
 დება დამნაშავეს პიროვნებაზე უშუალო ზემოქმედების გზით; სამოქალაქო სა-
 მართალში ზემოქმედება სამართლის დამრღვევის პიროვნებაზე სწარმოებს შუა-
 ლობით, გადახდევინების მიმართვის გზით მის კუთვნილ ქონებაზე; ხოლო ადმი-
 ნისტრაციულ სამართალში გამოიყენება როგორც პირდაპირი, ისე შუალობითი
 ზემოქმედების მეთოდი. გარდა ამისა, სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერ-
 თობათა თვით დაცვის საქმეში სამართლის სხვადასხვა დარგები თამაშობენ
 სხვადასხვა როლს. სისხლის სამართალი, მაგალითად, მოწოდებულია ალკვეთოს
 დანაშაულთა ჩადენა, ხოლო სამოქალაქო სამართალი — ალადგინოს დარღვეუ-
 ლი საზოგადოებრივი ურთიერთობანი; რაც შეეხება ადმინისტრაციულ სამარ-
 თალს, მას შეუძლია განახორციელოს ორივე აღნიშნული მიზანი. დაბოლოს, სა-
 მართლის სხვადასხვა დარგების ნორმების დარღვევის ხასიათი ერთნაირი არაა.
 სისხლის სამართლის სფეროს ეკუთვნის საზოგადოებრივად ყველაზე უფრო სა-

¹ О. С. Иоффе, М. Д. Шаргородский, Вопросы теории права, 1961, гв. 313.

² იქვე, გვ. 314.

³ იქვე, გვ. 318.



შიში ქმედობანი, ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლის დარღვევანი კი ნაკლებად საშიშია.

აღნიშნული შრომის ავტორებს აინტერესებს საკითხი — რა შეადგენს პასუხისმგებლობის საფუძველს?

პასუხისმგებლობის დაკისრება წარმოადგენს სამართლის შეფარდების ერთ-ერთ სახეობას. სამართლის შეფარდების საფუძველი იურიდიული ფაქტია, ხოლო პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს წარმოადგენს იურიდიული ფაქტების ერთ-ერთი სახე, სახელდობრ, — ადამიანის ობიექტური, კონკრეტული ქმედობა. მაგრამ პასუხისმგებლობის საფუძველს შეადგენს არა ყოველი ქმედობა, არამედ მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედობა ადამიანისა¹.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს შრომა, რომელიც მიძღვნილია სამართლებრივი სანქციების და პასუხისმგებლობის პრობლემისადმი². შრომაში განხილულია სანქციისა და იურიდიული პასუხისმგებლობის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. შრომის ავტორი, ო. ლეისტი, აღნიშნავს, რომ სამართლებრივ ნორმათა სანქციების პრობლემასთან მჭიდრო კავშირშია იურიდიული პასუხისმგებლობის პრობლემა. უკანასკნელ დროს პასუხისმგებლობის საკითხებს უფრო მეტ ყურადღებას უთმობს სამართლის სხვადასხვა დარგების ლიტერატურა. იურიდიული პასუხისმგებლობის ზოგადი ცნების დამუშავების ცდები გაკეთებულია სამართლის ზოგადი თეორიის ლიტერატურაში. ამასთან ერთად ამ პრობლემის მრავალი მხარე ჯერ კიდევ სათანადოდ არაა დამუშავებული და ზოგიერთი საკითხები სხვადასხვანაირად არის გადაწყვეტილი ლიტერატურაში.

ლეისტის შეხედულებით, პასუხისმგებლობა — ესაა სანქციის გამოყენება და რეალიზაცია სამართლის დარღვევის შემთხვევაში. სამართლის დარღვევის ფაქტიდან წარმოიშვება ურთიერთობანი, ერთის მხრივ, სახელმწიფო ორგანოებსა და, მეორეს მხრივ, სამართლის დამრღვევებს შორის, — ურთიერთობანი, რომლებიც იქმნება საქმის გამოკვლევის, შესაფარდებელი სახელმწიფო ზემოქმედების ღონისძიების განსაზღვრის, ამ ღონისძიების დანიშვნისა და რეალიზაციის პროცესში. ამ ურთიერთობებს, ლეისტის აზრით, ერთობლივად მოიცავს „პასუხისმგებლობის“ ზოგადი ცნება³.

სიტყვა „პასუხისმგებლობა“ იხმარება სხვადასხვა მნიშვნელობით. კანონმდებლობაში იგი ზოგჯერ ესმით როგორც რომელიმე პირისათვის სპეციალური იურიდიული მოვალეობის დაკისრება. ამ აზრით ლაპარაკობენ „პასუხისმგებელ მუშაკებზე“, „პასუხისმგებლობის გრძობის ამაღლებაზე“, დაკისრებულ საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების დაუშვებლობაზე, გარკვეულ პირთა და ორგანოთა შორის „პასუხისმგებლობის განაწილების“ შესახებ და ა. შ.

„პასუხისმგებლობა“ ხშირად ესმით როგორც სასჯელი, რომელიც უნდა შეეფარდოს სამართლის დამრღვევ პირს; ამ შემთხვევებში ტერმინი „პასუხისმგებლობა“ ან უდრის „სანქციის“ ცნებას, ანდა იხმარება გადასახდელის, სასჯელის კონკრეტული ღონისძიების აღსანიშნავად.

1 О. С. Иоффе, М. Д. Шаргородский, Вопросы теории права, 1961, гл. 329.

2 О. Э. Лейст, Санкции в советском праве, 1962.

3 დასახ. შრომა, გვ. 85.

ზოგჯერ ტერმინი „პასუხისმგებლობა“ გაგებულა უფრო ფართო მნიშვნელობით. იგი ესმით როგორც არა მარტო სამართლებრივი ნორმის სანქცია ანდა სასჯელის, გადასახდელის კონკრეტული ღონისძიება, არამედ სამართლის დარღვევის შესახებ საქმის აღძვრა და განხილვა კანონით დადგენილი წესით და აგრეთვე სამართლის დამრღვევი პირისადმი სანქციის შეფარდება.

ლეისტი არ ეთანხმება იოფეს შეხედულებას, რომელიც აიგივებს პასუხისმგებლობას სანქციასთან. იოფე წერს: „სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა არის პირველ ყოვლისა სანქცია სამართლის დარღვევისათვის“. ლეისტის სიტყვით, სანქციისა და პასუხისმგებლობის გაიგივება, მიუხედავად მათი სიახლოვისა, არ შეიძლება. ლეისტს მოჰყავს პიგოლკინის მოსაზრება იოფეს შეხედულების წინააღმდეგ. პიგოლკინი წერს: სანქცია წარმოადგენს სამართლებრივი ნორმის ელემენტს და ხორციელდება მხოლოდ სამართლის დარღვევის შემთხვევაში, მაშასადამე, სამართლებრივი ნორმის სანქცია არსებობს მუდამ, ხოლო სამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ ან ნორმის რეალური დარღვევის დროს¹. როგორც ვხედავთ, ეს არგუმენტი არაა მოკლებული საფუძველს.

ჩვენს მიზანს არ შეადგენს პასუხისმგებლობის პრობლემის დაწვრილებით შესწავლა. ჩვენთვის საკმარისია ამ პრობლემის ზოგადი ხაზებით დახასიათება და იმის დადგენა, რომ იგი თავისი შინაარსით ეკუთვნის ზოგადსამართლებრივ პრობლემათა რიგს და ამდენად სამართლის თეორიაში უნდა იქნას განხილული.

* * *

ჩვენ განვიხილეთ მოკლედ საკითხი — უნდა იქნას თუ არა შევსებული ზოგად ცნებათა წრე, რომელთაც ამჟამად შეისწავლის სამართლის თეორია. სამართლის თეორიის სახელმძღვანელოებში ტრადიციულად მიღებული ცნებები ვერ გამოხატავენ, ვერ ამოწურავენ მთლიანად იმ ზოგადი ხასიათის მასალას, რომელიც ორგანულად სამართლის თეორიას ეკუთვნის. ამგვარად, სამართლის თეორიას ემჩნევა ერთგვარი ხარვეზი, და ეს ხარვეზი აუცილებლად უნდა იქნას შევსებული.

ზემოთ აღნიშნული იყო ზოგადი ხასიათის ელემენტები, რომლებიც, ჩვენის აზრით, სამართლის თეორიაში უნდა შედიოდეს. ეს ცნებები შემდეგია: ბრალის ცნება, საზოგადოებრივი საშიშროების, მართლწინააღმდეგობის და იურიდიული პასუხისმგებლობის ცნებები.

რომ გავეცნოთ საბჭოთა ლიტერატურას, ჩვენ ვნახავთ, რომ აღნიშნული ცნებები დამუშავებულია სამართლის ცალკეული დარგების მიხედვით. მაგალითად, საზოგადოებრივი საშიშროების ცნებას იკვლევენ სისხლის სამართლის დარგთან დაკავშირებით, იგივე მდგომარეობაა მართლწინააღმდეგობის ცნების ანალიზის შემთხვევაში. ბრალის ცნება შეადგენს უმთავრესად სისხლის სამართლის დარგის კვლევაძიების საგანს, ხოლო, რაც შეეხება იურიდიულ პასუხისმგებლობას, იგი უკანასკნელ დრომდე არც იყო გამოყოფილი ცალკე, სპეციალური გამოკვლევის სახით, მაგრამ ბოლო ხანებში, როგორც ვნახეთ, ამ საკითხმა მიიპყრო მკვლევართა ყურადღება. მაშასადამე, საერთოდ აღნიშნული საკითხები (სა-

¹ О. Э. Лейст, Санкции в советском праве, 1962, გვ. 88.

ზოგადოებრივი საშიშროების, მართლწინააღმდეგობის და სხვა) შეისწავლებოდა, და შეიძლება ითქვას გულმოდგინედ შეისწავლებოდა, სამართლის სპეციალური დარგების ფარგლებში; არ იყო შესწავლილი მათი კომპლექსური შინაარსი და მნიშვნელობა. ხაზი უნდა გაესვას აღნიშნული პრობლემების ამ საერთო, ზოგად მხარეს. აქამდის ეს პრობლემები დაყენებული იყო როგორც სამართლის ცალკეული დარგების პრობლემები, იმ დროს, როცა ისინი სინამდვილეში ეკუთვნიან არა მარტო სამართლის ამა თუ იმ სპეციალურ დარგს, არამედ სამართლის სხვადასხვა დარგს და ამიტომ სამართლის თეორიაში უნდა შედიოდნენ, აქ უნდა იქნან მოთავსებული და განხილული.

ზემოთ დასახელებული საკითხები, მათი შინაარსის მიხედვით, ლოგიკურ მთლიანობას წარმოადგენენ. დაკვირვებითი ანალიზის საფუძველზე მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ მათ შორის უდაოდ არსებობს შინაგანი კავშირი და ყველა ისინი ბუნებრივად უკავშირდება სამართლის დარღვევის ცნებას.

სამართლის დარღვევის ცნება არის ძირითადი ცნება, რომელსაც ლოგიკური თანმიმდევრობით უკავშირდება ბრალის, საზოგადოებრივი საშიშროების, მართლწინააღმდეგობის ნიშნები. ეს ნიშნები ერთი მთლიანი კომპლექსის ცალკეულ რგოლებს წარმოადგენენ. ხოლო ამ კომპლექსის უკანასკნელი, დამამთავრებელი მომენტია იურიდიული პასუხისმგებლობა. ამგვარად, მთელი პროცესის დაწყებითი მომენტია სამართლის დარღვევა, იურიდიული პასუხისმგებლობა კი მისი საბოლოო შედეგია.

დაზარალებულის უფლებები და მოვალეობანი საქართველოს სსრ სსხლის სამართლის საკრძალსო კოდექსის მიხედვით

ლ. თალაგაძე

1958 წელს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სსხლის სამართალწარმოების საფუძვლების მიღებამდე დაზარალებული იყო პროცესუალური მოღვაწეობის აქტიური მონაწილე, მხარე, მხოლოდ კერძო ბრალდების საქმეთა სასამართლო განხილვაში.

ასეთი მდგომარეობა არ უზრუნველყოფდა მოქალაქეთა კანონიერი ინტერესების გარანტიას, ამიტომაც საკითხი საბჭოთა სსხლის სამართალწარმოებაში დაზარალებულის მდგომარეობის შესახებ, მისი პროცესუალურ უფლებათა გაფართოების აუცილებლობის შესახებ საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში დისკუსიის საგანი გახდა¹.

სსხლის სამართალწარმოების საფუძვლებმა (1958 წ.) და მოკავშირე რესპუბლიკების ახალმა სსხლის სამართლის პროცესუალურმა კოდექსებმა მნიშვნელოვნად გააფართოვეს დაზარალებულის უფლებები.

სსხლის სამართალწარმოების საფუძვლები დაზარალებულს პროცესის ყველა სტადიაში, ყველა სსხლის სამართლის საქმეებზე აქტიური მონაწილის როლს ანიჭებენ და შემდეგ უფლებებს აძლევენ: მისცეს ჩვენება საქმეზე, წარადგინოს დამამტკიცებელი საბუთები, აღძრას შუამდგომლობა, გაეცნოს საქმის მასალებს წინასწარი გამოძიების დამთავრების მომენტიდან, განაცხადოს აცილება, შეიტანოს საჩივარი მომკვლევი პირის, გამომძიებლის, პროკურორის და სასამართლოს მოქმედებაზე, აგრეთვე შეიტანოს საჩივარი სასამართლოს განაჩენსა ან განჩინებაზე და მოსამართლის დადგენილებაზე, მხარი დაუჭიროს ბრალდებას სასამართლო განხილვაზე იმ შემთხვევებში, რომელიც გათვალისწინებულია მოკავშირე რესპუბლიკათა კანონმდებლობით, წარუდგინოს ბრალდებულს ან პირს, რომელსაც აკისრია მატერიალური პასუხისმგებლობა ბრალდებულის მოქმედებისათვის — სამოქალაქო სარჩელი, თუ დანაშაულით მიყენებულია მატერიალური ზარალი, სთხოვოს მომკვლევ ორგანოს, გამომძიებელსა და სასამართლოს მიიღონ ზომები განცხადებული სარჩელის უზრუნველსაყოფად, მხარი დაუჭიროს სამოქალაქო სარჩელს, ჰყავდეს თავისი წარმომადგენელი მოკვლევაზე, წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოში. ამის გარდა, სასამართლო განხილვაში დაზარალებული წარმოადგენს მხარეს და სარგებლობს პროცესის სხვა მონაწილეებთან (ბრალმდებელთან, ბრალდებულთან, დამცველთან, ასევე სამოქალაქო მოსარჩელესთან, სამოქალაქო მოპასუხესთან და მათ წარმომადგენელთან) თანაბარი უფლებებით დამამტკიცებელი საბუთების წარდგენის, მათ გან-

¹ П. Кунко, Право потерпевшего в уголовном процессе, «Советская юстиция», 1939, № 15-16; Н. Н. Полянский, Процессуальные права потерпевшего, «Советское государство и право», 1940, № 12; Г. З. Анашкин, Некоторые вопросы кодификации уголовно-процессуального законодательства РСФСР, «Советская юстиция», 1957, № 2; М. С. Дьяченко, Потерпевший в советском уголовном процессе, «Ученые записки» ВЮЗИ, вып. VI, М, 1958.

ხილვაში მონაწილეობის და უზამდგომლობის განცხადების საქმეში (საფუძვლების 24, 25 და 38 მუხლები).

დაზარალებულისათვის მინიჭებული უფლებები ნათელყოფენ თუ როგორ დაწვრილებით არის რეგლამენტირებული კანონში სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებასა და სასამართლო განხილვაში დაზარალებულის მონაწილეობის ყველა შესაძლებელი ფორმა.

საჭიროდ მიგვაჩნია უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ დაზარალებულის იმ უფლებებზე, რომლებიც საშუალებას იძლევიან აიხსნას და განისაზღვროს მისი მონაწილეობის სპეციფიკა საბჭოთა სისხლის სამართალწარმოებაში.

1. სისხლის სამართალწარმოებაში დაზარალებულს უფლება აქვს ჰყავდეს წარმომადგენელი. დაზარალებულის წარმომადგენლად შეიძლება გამოვიდნენ ადვოკატები, ახლო ნათესავები და სხვა პირები, რომლებიც კანონის ძალით უფლებამოსილნი არიან წარმოდგინონ სისხლის სამართალწარმოებისას დაზარალებულის კანონიერი ინტერესები (საქართველოს სსრ სსსკ 50 მ.).

აძლევს რა დაზარალებულს შესაძლებლობას ისარგებლოს წარმომადგენლის მომსახურებით, მათ შორის წარმომადგენელ-ადვოკატით, კანონმდებელი ისწრაფვის შექმნას დაზარალებულისათვის ყველა აუცილებელი პირობა, მისთვის მინიჭებული უფლებების განხორციელების დარგში.

დაზარალებულის უფლება ჰყავდეს წარმომადგენელი, ახასიათებს მას, როგორც მხარეს პროცესში და საშუალებას აძლევს დაზარალებულს აქტიურად ისარგებლოს ყველა მისთვის მინიჭებული პროცესუალური შესაძლებლობებით, თავის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად, რომელთაც დანაშაულით ვნება აქვთ მიყენებული.

2. დაზარალებულის უფლება მისცეს ჩვენება ნიშნავს, რომ გამოძიების ორგანო ან სასამართლო ვალდებულია დაკითხოს დაზარალებული მისთვის ცნობილი საქმის გარემოებებზე არა მარტო იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი ამას აუცილებლად ჩათვლიან, არამედ მაშინაც, როდესაც დაზარალებული განაცხადებს ჩვენების მიცემის სურვილს. როგორც წესი, ამ უფლებით დაზარალებული სარგებლობს იმ შემთხვევაში, როდესაც მას სურს მიაქციოს გამოძიებლისა თუ სასამართლოს ყურადღება რაიმე გარემოებაზე, რომელსაც საქმისათვის მნიშვნელობა აქვს, კერძოდ, დამამტკიცებელი საბუთების გამოკვლევაზე (სამართალში მიცემულის, მოწმეების ჩვენების სისწორეზე, იმ მონაცემებზე, რომლებიც გამომდინარეობენ ექსპერტის დასკვნიდან და ა. შ.). დაზარალებულს ეს შესაძლებლობა ეძლევა იმიტომ, რომ ჩვენების მიცემა ეს არის დაზარალებულის მიერ თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის ერთ-ერთი საშუალება ჭეშმარიტების დადგენაში, დამნაშავეთა გამოაშკარავებასა და დასჯაში, გამოძიებისა და სასამართლო ორგანოების დახმარების საშუალება.

3. წამოყენებულ მოსაზრებათა დასადასტურებლად, ასევე საქმისათვის მნიშვნელოვან ამა თუ იმ გარემოების გასარკვევად, დაზარალებულს უფლება აქვს წარუდგინოს იმ პირს, რომელიც ატარებს მოკვლევას, ასევე გამოძიებელს ან სასამართლოს სათანადო მტკიცებულობა: საგნები, რომლებზედაც არის დანაშაულის კვალი, ცნობები ბრალდებულის მიერ მისთვის სხეულის დაზიანების მიყენებისა, წერილები და ა. შ. დაზარალებულს შეუძლია აგრეთვე წარადგინოს მტკიცებულობანი, რომელნიც მიუთითებენ მისთვის მიყენებული ზიანის ხა-

სიათსა და რაოდენობაზე (ცნობა დაზიანებული ან გატაცებული ქონების ღირებულების შესახებ, დაზიანებული საგნები და ა. შ.).

დაზარალებულს ყოველთვის როდი აქვს შესაძლებლობა თვითონ მოიპოვოს და წარადგინოს აუცილებელი მტკიცებულობანი, ამიტომ მას ეძლევა უფლება განაცხადოს შუამდგომლობა მოწმეთა დაკითხვის, ექსპერტიზის ჩატარების, ბრალდებულთან, მოწმესთან ან სხვა დაზარალებულთან დაპირისპირების, შემთხვევის ადგილის დათვალიერების შესახებ და ა. შ., ე. ი. განაცხადოს შუამდგომლობა ყოველგვარი საგამომძიებლო და სასამართლო მოქმედების ჩატარების შესახებ რაც, მისი აზრით, საჭიროა საქმის ნამდვილ გარემოებათა დასადგენად და დამნაშავეთა გამოსაშკარავებლად. გამომძიებელი ან სასამართლო მოვალეა განიხილოს დაზარალებულის შუამდგომლობები და დააკმაყოფილოს ისინი, თუ გარემოებებს, რომელთა დასადგენადაც შუამდგომლობს დაზარალებული, შეუძლიათ ჰქონდეთ მნიშვნელობა საქმის სწორი გამოძიებისა და გადაწყვეტისათვის.


აუცილებელია აღინიშნოს, რომ დაზარალებულს სასამართლოში შუამდგომლობის განცხადების უფლება აქვს იმ შემთხვევაშიც, როდესაც შუამდგომლობები განცხადებული იყო მის მიერ ადრეც (მოკვლევის დროს, წინასწარი გამოძიებისა და სამართალში მიცემის სტადიაში), მაგრამ უარყოფილი იყო, ან ნაწილობრივ დაკმაყოფილებული. თავმჯდომარე ეკითხება პროცესის მონაწილეებს, მათ შორის დაზარალებულს, აქვთ თუ არა მათ შუამდგომლობა, სასამართლო განხილვის მოსამზადებელ ნაწილში, სასამართლო გამოძიების დაწყების წინ (საქართველოს სსრ სსსკ 279 მ.). მაგრამ კანონში შუამდგომლობის არსებობისა და გადაწყვეტის მომენტის განსაზღვრა არ უსპობს დაზარალებულს უფლებას განაცხადოს შუამდგომლობა შემდგომშიც, სასამართლო განხილვის მთელ მსვლელობაში.

დაზარალებულისათვის შუამდგომლობაზე (სრულად ან ნაწილობრივ) უარისთქმის შემთხვევაში გამოძიების ორგანოს გამოაქვს მოტივირებული დადგენილება, ხოლო სასამართლოს — განჩინება, რომელშიც მითითებულია თუ რატომ ეთქვა უარი შუამდგომლობაზე დაზარალებულს. ამავე დროს დაზარალებულს უნდა განემარტოს, რომ მას აქვს უფლება გაასაჩივროს ეს უარი კანონში დადგენილი წესით (საქართველოს სსრ სსსკ 138, 279 მუხ.).

4. საქმის გარემოებათა გამოკვლევის სრული ობიექტურობის, ყოველმხრივობის და სისრულის მიღწევის მიზნით კანონი უფლებას აძლევს დაზარალებულს მონაწილეობა მიიღოს ცალკეულ საგამომძიებლო მოქმედებათა შესრულებაში.

სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსები შეიცავენ რიც მითითებებს დაზარალებულის მონაწილეობის შესახებ ცალკეულ საგამომძიებლო მოქმედებათა შესრულების დარგში. ამგვარად ყველა კოდექსი შესაძლებლობას აძლევს დაზარალებულს მიიღოს მონაწილეობა საგამომძიებლო ექსპერიმენტში (მაგ. საქართველოს სსრ სსსკ 183 მ.). ამის გარდა, საქართველოს სსრ სსსკ 295 მ., რსფსრ სსსკ 179 მ., ბელორუსიის სსრ სსსკ 178 მ., აზერბაიჯანის სსრ სსსკ 203 მ., სომხეთის სსრ სსსკ 170 მ., მოლდავეთის სსრ სსსკ 158 მ. და უკრაინის სსრ სსსკ 191 მ. ითვალისწინებენ დაზარალებულის მონაწილეობას დათვალიერების წარმოებაში, ხოლო ყაზახეთის სსრ სსსკ 137 მ., უკრაინის სსრ სსსკ 181 მ. და აზერბაიჯანის სსრ სსსკ 194 მ. — ჩხრეკის წარმოებაში.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჭეშმარიტების დადგენისათვის დაზარალებული უფ-



რო ხშირად უნდა ჩავაბათ ცალკეულ საგამომძიებლო მოქმედებათა წარმოებაში. განსაკუთრებით ეს ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც საგამომძიებლო მოქმედებანი სრულდება დაზარალებულის შუამდგომლობით და იგი გამოთქვამს სურვილს მიიღოს მონაწილეობა მის წარმოებაში.

5. წინასწარი გამოძიების დამთავრების მომენტიდან დაზარალებულს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს (საფუძვლების 24 მ.).

დაზარალებულისათვის ამ უფლების მინიჭების მიზანია წინასწარ გამოძიებაზე საქმის გარემოებათა სრული, ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის უზრუნველყოფა, დაზარალებულის სურვილებისა და შუამდგომლობის გათვალისწინება და ამით სისხლის სამართალწარმოების ამ სტადიაზე მისი კანონიერი ინტერესების დაცვის გარანტირება.

ეცნობა რა წინასწარი გამოძიების მასალებს, დაზარალებული იძენს შესაძლებლობას გამოარკვიოს, რამდენად სრულად და ყოველმხრივ არის ჩატარებული გამოძიება, არის თუ არა საქმეში ხარვეზები და წინააღმდეგობა, სამოქალაქო სარჩელის უზრუნველყოფის რა ზომებია მიღებული და ა. შ. თავის შენიშვნებსა და თხოვნებს, რომლებიც აღეძვრება საქმის გაცნობის შედეგად, დაზარალებული უცხადებს გამომძიებელს შუამდგომლობის სახით, რომელიც აუცილებლად უნდა იქნას განხილული და თუ იგი დასაბუთებულია, მისი შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს. ახალი მასალები, მიღებული დაზარალებულის ან სხვა პირების (ბრალდებულის, დამცველის) შუამდგომლობის დაკმაყოფილების შედეგად, წარედგინება დაზარალებულს გასაცნობად. ამ გარემოებაზე პირდაპირ მართულებს საქართველოს სსრ სსსკ 205 მ. ამ საკითხის სხვაგვარი გადაწყვეტა არ შეესაბამებოდა საფუძვლების 24 მუხლის ტექსტსა და აზრს.

მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების უმეტესობა არ განსაზღვრავს თუ რა მოცულობით აქვს დაზარალებულს უფლება გაეცნოს საქმის მასალებს. უზბეკეთის სსრ სსსკ (178 მ.) და ყირგიზეთის სსრ სსსკ (190 მ.) აწესებენ გამომძიებლის მოვალეობას გააცნოს დაზარალებულს საქმის მასალები იმ დანაშაულის შესახებ, რომლითაც მას ზიანი მიაყენეს.

დაზარალებული წარმოადგენს პროცესის აქტიურ მონაწილეს, შეუძლია განაცხადოს შუამდგომლობა დანაშაულებრივი ქმედობის კონკრეტული ეპიზოდისაგან დამოუკიდებლად, უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა სასამართლო გამოძიებაზე ყველა გამონაკლისის გარეშე, მტკიცებულობათა გამოკვლევაში, ზოგიერთ შემთხვევაში გამოვიდეს როგორც ბრალმდებელი და, ასეთ პირობებში, არ არსებობს არავითარი საფუძველი შეიზღუდოს მისი უფლება საქმის მასალების გაცნობის დარგში.

როგორც ეს მითითებულია საფუძვლების 24 მუხლში, დაზარალებულს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს წინასწარი გამოძიების დამთავრების მომენტიდან. ამიტომ, თუ წინასწარი გამოძიება საქმეზე არ ყოფილა ჩატარებული, ხოლო მთელი გამოძიება განისაზღვრა მოკვლევით, ამ უკანასკნელის დამთავრების შემდეგ დაზარალებულს არა აქვს უფლება მოითხოვოს საქმის მასალები გასაცნობად. დაზარალებულს მხოლოდ აცნობებენ მოკვლევის დამთავრებას და საქმის გადაცემას პროკურორისათვის (საქართველოს სსრ სსსკ 119 მუხლი, რსფსრ სსსკ 120 მუხლი და მოკავშირე რესპუბლიკების სსსკ-ის სათანადო მუხლები).

ამ დებულების დასაბუთებას ცდილობენ იმით, რომ მოკვლევა წინასწარ

გამოძიებასთან შედარებით წარმოადგენს დანაშაულის განხილვის ნაკლებად რთულ ფორმას. ჩვენის აზრით, სწორეა მ. ი. კუბასოვი, რომელიც წერს, რომ «...Это положение ст. 120 УПК объяснить очень трудно. Во всяком случае, никак нельзя объяснить их целью, упростить производство дознания. Если с этим согласиться, то неизбежно надо сделать вывод и о том, что упрощение дознания осуществлено за счет ущемления прав обвиняемого, потерпевшего, гражданского суда и ответчика. Но это находится в противоречии с общими положениями УПК, которые тщательно охраняют права граждан (ст. 2, 3, 58 и др. УПК РСФСР)».¹

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს წინააღმდეგობა მომავალში კანონმდებლობამ უნდა გადალახოს და დაზარალებულს მიეცეს უფლება გაეცნოს მოკვლევის მასალებს.

6. სისხლის სამართლის საქმის მოსპობის შემთხვევაში (მათ შორის ამხანაგურ სასამართლოში ან არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებში, ასევე დანაშავის თავდებობაში გადაცემასთან დაკავშირებით), დაზარალებულს უფლება აქვს იცოდეს, თუ რა საფუძვლებით არის საქმე მოსპობილი და გაასაჩივროს იგი, თუ ამას არ ეთანხმება. იმისათვის, რომ დაზარალებულმა შესძლოს განახორციელოს თავისი უფლება, გამოძიებელი ვალდებულია აცნობოს მას საქმის მოსპობის საფუძვლების შესახებ და განუმარტოს გასაჩივრების წესი (საქართველოს სსრ სსსკ 209 მ.). ასეთ შემთხვევებში ყველაზე მიზანშეწონილია დაზარალებულს გაეგზავნოს დადგენილება საქმის მოსპობის შესახებ, როგორც ეს გათვალისწინებულია ყაზახეთის სსრ სსსკ 180 მ-ით, აზერბაიჯანის სსრ სსსკ 217 მ-ით, უკრაინის სსრ სსსკ 214 მ-ით.

მიგვაჩნია, რომ დაზარალებულს უფლება აქვს არა მარტო იცოდეს საქმის მოსპობის საფუძვლები, არამედ გაეცნოს წინასწარი გამოძიების მასალებს იმ მიზნით, რომ თავისთვის შეიქმნას სწორი წარმოდგენა საქმის მოსპობის დასაბუთების შესახებ.

ყირგიზეთის სსრ სსსკ 189 მუხლში პირდაპირ მითითებულია, რომ დაზარალებულის ან მისი წარმომადგენლის თხოვნით გამოძიებელი აცნობს მათ საქმის მასალებს, რომელიც წარმოებით მოისპო. კარგი იქნებოდა, რომ ამ წესს თავისი აღიარება ენახა მოკავშირე რესპუბლიკების ყველა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში.

7. სისხლის სამართალწარმოების საფუძვლებმა არა მარტო ჩაწერეს დაზარალებულის უფლება წარმოადგინოს მტკიცებულობანი და მონაწილეობა მიიღოს მათ გამოკვლევაში სასამართლო გამოძიებაზე (24 მ.), არამედ ხაზი გაუსვეს აგრეთვე დაზარალებულის და პროცესის სხვა მონაწილეების (ბრალმდებლის, სამართალში მიცემულის, დამცველის, სამოქალაქო მოსარჩელის, სამოქალაქო მოპასუხის) პროცესუალურ უფლებათა თანასწორობას მტკიცებულობათა წარმოდგენისა და მათ გამოკვლევაში მონაწილეობის დარგში (38 მ.). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დაზარალებული სასამართლო გამოძიებაზე წარმოადგენს მხარეს და აქვს სხვა მხარეებთან ერთად თანაბარი პროცესუალური უფლება მიიღოს მონაწილეობა ყველა მტკიცებულობათა გამოკვლევაში, ერთნაირი პრო-

¹ В. И. Кубасов, Предложения, вытекающие из практики проведения дознания, Развитие прав граждан и усиление их охраны на современном этапе коммунистического строительства, Саратов, 1962, стр. 297 — 298.

ცესუალური საშუალება, რომლის დახმარებითაც მას შეუძლია დაიცვას თავისი ინტერესები, თავის მოსაზრებათა საფუძვლიანობა და სისწორე (საქართველოს სსრ სსსკ 247 მ.).

8. სისხლის სამართალწარმოების საფუძვლებში არ არსებობს პირდაპირი მითითება დაზარალებულის უფლებაზე მიიღოს მონაწილეობა სასამართლო კამათში. ეს საკითხი მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენციის ეკუთვნის და გადაწყვეტილია რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში.

ესტონეთის სსრ სსსკ 256 მუხლის თანახმად დაზარალებულს უფლება აქვს სხვა მხარეებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს სასამართლო კამათში საჯარო ბრალდების სისხლის სამართლის ყველა საქმეზე. უზბეკეთის სსრ სსსკ (35, 276 მ. მ.) და ლიტვის სსრ სსსკ (მ. 60, პ. 8, მ. 326) დაზარალებულს ანიჭებენ ასეთ უფლებას იმ შემთხვევაში, როდესაც საქმეში არ მონაწილეობს პროკურორი, ხოლო უკრაინის სსრ სსსკ (49 და 318 მ. მ.) და ყაზახეთის სსრ სსსკ (278 მ.) — თუ საქმეში არ მონაწილეობს არც პროკურორი, არც საზოგადოებრივი ბრალმდებელი. სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში დაზარალებულის უფლება — მიიღოს მონაწილეობა სასამართლო კამათში საჯარო ბრალდების საქმეებზე, არ არის გათვალისწინებული. გამონაკლისს წარმოადგენს მოლდავეთის სსრ სსსკ, რომელიც აძლევს დაზარალებულს სასამართლო კამათში მონაწილეობის უფლებას საჯარო ბრალდების ზოგიერთ საქმეზე, კერძოდ, სხეთულის მძიმე და ნაკლებად მძიმე დაზიანების საქმეებზე, ცილისწამებაზე საქმეში სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ბრალმდებლის მონაწილეობისაგან დამოუკიდებლად (47, 266 მ. მ.).

ეს დებულება ძნელი ასახსნელია; სწორედ მიუთითებს პროფ. მ. ს. სტროგოვიჩი: «Действительно, трудно обосновать, почему потерпевший, имеющий право участвовать в судебном следствии и обжаловать приговор суда, не имеет право перед тем, как суд будет постановлять приговор, высказать суду соображения и выводы из того, что установлено на судебном следствии».¹


მიგვაჩნია, რომ ყველაზე უფრო ლოგიკური და მიზანშეწონილია დაზარალებულის მონაწილეობა სასამართლო კამათში სისხლის სამართლის ყველა საქმეზე².

9. სისხლის სამართალწარმოების საფუძვლებმა დაზარალებულს მისცეს განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრების უფლება სისხლის სამართლის ყველა საქმეზე.

დაზარალებულს უფლება აქვს გაეცნოს პროცესის სხვა მონაწილეთა მიერ სასამართლოში შეტანილ საკასაციო საჩივრებს ან პროკურორის საკასაციო პროტესტს და შეიტანოს მათზე თავისი საწინააღმდეგო მოსაზრებანი. საჩივრის თუ პროტესტის შეტანის შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლო ვალდებულია შეატყობინოს დაზარალებულს და მისცეს მას შესაძლებლობა გაეცნოს საჩივარ-

¹ М. С. Строгович, Развитие законодательства о судостроительстве и судопроизводстве, «Советская юстиция», 1961, № 22, стр. 5.

² ამ აზრის დასაბუთება იხ. Т. Д. Рахунов, Расширение прав потерпевшего, «Социалистическая законность», 1960, № 4, стр. 39; Л. А. Громов, «Участие общественности в борьбе с преступностью и некоторые процессуальные вопросы», «Советское государство и право», 1960, № 9, стр. 89 — 90; А. Л. Цыпкин, к вопросу о защите прав личности в уголовном судопроизводстве, «Развитие прав граждан СССР и усиление их охраны на современном этапе коммунистического строительства», Саратов, 1962, стр. 281.



სა თუ პროტესტს. დაზარალებულის საწინააღმდეგო მოსაზრებანი, რომელიც მას აქვს საჩივარსა თუ პროტესტზე, ერთვის საქმეს ან გადაეცემა დამატებით საქმისათვის დასართავად ერთი დღე-ღამის ვადაში (საქართველოს სსრ სსსკ 339 მ.).

დაზარალებულს, ისევე როგორც პროცესის სხვა მონაწილეთ, უფლება აქვს წარადგინოს საკასაციო ინსტანციის სასამართლოში დამატებითი მასალები თავისი საჩივრის დასადასტურებლად ან სხვა მხარეების საჩივრებისა და პროტესტების უარსაყოფად (საქართველოს სსრ სსსკ 348 მ.).

დაზარალებულის მიერ დამატებითი მასალები შეიძლება წარდგენილი აქნეს საკასაციო ინსტანციის სასამართლოში ყოველ დროს საკასაციო საჩივართან სხვა პირების საკასაციო საჩივარზე (პროტესტი) საწინააღმდეგო მოსაზრებასთან ერთად ან დამატებით მათზე. ისინი შეიძლება წარდგენილი იქნან უშუალოდაც საქმის საკასაციო წესით განხილვის დროს, მაგრამ პროკურორის მიერ დასკვნის მიცემამდე.

მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები აწესებენ, რომ საკასაციო ინსტანციის სასამართლო სხდომაზე მონაწილეობის უფლება აქვს პროკურორს, მსჯავრდებულს, გამართლებულს, დამცველს, სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხეს და დაზარალებულს, რომლებიც დროულად არიან გაფრთხილებული საქმის საკასაციო ინსტანციაში განხილვის დღის შესახებ იმ სასამართლოს მიერ, რომელმაც განაჩენი გამოიტანა (საქართველოს სსრ სსსკ 346 მ.).

დაზარალებულს შესაძლებლობა ეძლევა მონაწილეობა მიიღოს პროცესში არა მარტო იმისათვის, რომ შესძლოს დაიცვას თავისი უფლებები, არამედ იმისათვისაც, რომ ხელი შეუწყოს მართლმსაჯულებას. ამასთან ერთად კანონი დაზარალებულს ვალდებულებებსაც აკისრებს:

1. დაზარალებული ვალდებულია გამოცხადდეს იმ პირის გამოძახებით, რომელიც მოკვლევას აწარმოებს, გამოძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს გამოძახებით და მისცეს სწორი ჩვენება. საჭიროა აღინიშნოს, რომ თუმცა რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები აწესებენ დაზარალებულის პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით ჩვენებაზე უარის თქმისა ან წინასწარი შეცნობით ტყუილი ჩვენების მიცემისათვის (გამონაკლისს წარმოადგენს უკრაინის სსრ სსსკ 491 მუხლი, რომელშიც არაფერია ნათქვამი დაზარალებულის პასუხისმგებლობაზე ჩვენებაზე უარის თქმის გამო), მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობათა უმრავლესობაში დაზარალებულის პასუხისმგებლობა ასეთი მოქმედებისათვის გათვალისწინებული არ არის. საქართველოს სსრ სსსკ 159 მუხლი ავალდებულებს პირებს, რომლებიც გამოძიებას აწარმოებენ, გააფრთხილონ დაზარალებული სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობის შესახებ წინასწარი შეცნობით ტყუილი ჩვენების მიცემისათვის და ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის, იმ დროს როდესაც საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში არ არის გათვალისწინებული დაზარალებულის პასუხისმგებლობა ჩვენების მიცემაზე უარის თქმის შემთხვევაში. კანონმდებელმა არსებული წინააღმდეგობა უნდა გამოასწოროს.

ამ საკითხში აუცილებელია კოდექსების შესაბამისობაში მოყვანა, ვინაიდან დაზარალებულის ჩვენებას დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის გასახსნელად და დამნაშავეთა გამოსააშკარავებლად და გამართლებული არ იქნებოდა, რომ ამ

მტკიცებულობათა მიღების და გამოყენების შესაძლებლობა დაზარალებულის მიხედულებისაგან დამოკიდებულ მდგომარეობაში ჩაგვეყენებინა.

2. დაზარალებული ვალდებულია გამოძიებლის თანხმობის გარეშე არ გაახმაუროს წინასწარი გამოძიების მონაცემები (საქართველოს სსრ სსსკ 139 მ.).

3. დაზარალებული ვალდებულია გამოძიებლის მითითებით გაიაროს საქსპერტო შემოწმება, როდესაც ამას მოითხოვს საქმის გარემოებანი (საქართველოს სსრ სსსკ 71 მ-ის პ. 1, 3 და 4).

4. დაზარალებული ვალდებულია გაიაროს შემოწმება, როდესაც გამოძიებლის აზრით ეს აუცილებელია დაზარალებულის სხეულზე დანაშაულის კვალის ან განსაკუთრებული ნიშნების არსებობის დასადგენად (საქართველოს სსრ სსსკ 181 მ.).

5. დაზარალებული ვალდებულია წარმოადგინოს სწორი გამოკვლევისათვის ზღვანაწერის ან სხვა ნიმუშები, თუ გამოძიებელი აუცილებლად ჩათვლის შეაქოწმოს, ხომ არ არის დატოვებული კვალი დაზარალებულის მიერ შემთხვევის ადგილზე ან ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთებზე (საქართველოს სსრ სსსკ 186 მ.).

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სისხლის სამართალწარმოებაში დაზარალებულის აქტიურმა მონაწილეობამ გაამართლა თავისი დანიშნულება.

ახალ ამოცანათა შუქზე, რომელიც მართლმსაჯულების ორგანოების წინაშე დააყენა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამამ, საბჭოთა იურისტების ვალია — მოძებნონ გზები საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის უფლებების შემდგომი განვითარებისათვის.

ღამსვადის მფკიცების მოვადომის შესახებ საბჭოთა სისხლის სამართლის კროსესში

3. მოსესინანი

სისხლის სამართალწარმოების საფუძვლებმა, დაადგინეს რა სასამართლო განხილვის მონაწილეთა თანასწორობა მტკიცებათა წარდგენაში, მათ გამოკვლევასა და შუამდგომლობათა აღძვრაში, ზოგი მონაწილე (სამართალში მიცემული, დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე და მათი წარმომადგენლები) აღჭურვა მტკიცების უფლებით, ხოლო ზოგს მტკიცება დაუწესა მოვალეობად.

საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში მტკიცების მოვალეობა იმაში მდგომარეობს, რომ სისხლის სამართლის პროცესის მხოლოდ განსაზღვრული მონაწილენი არიან ვალდებული კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შესრულებით ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოიკვიონ საქმის ყველა გარემოება, გამოავლინონ ბრალდებულის როგორც მამხილებელი ისე გამამართლებელი, აგრეთვე მისი ბრალის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებანი.

ეს ყველაზე უფრო ზოგადი განსაზღვრება მტკიცების მოვალეობისა მთლიანად შეეხება მარტოოდენ სასამართლოს, პროკურორს, გამომძიებელს და პირს, რომელიც მოკვლევას აწარმოებს.

მათგან განსხვავებით დამცველის საქმიანობა, რომელსაც ასევე კანონით დაკისრებული აქვს მტკიცების მოვალეობა, მეტად სპეციფიკურია, რადგან იგი მიმართულია არა საქმის ყველა გარემოების დასადგენად, არამედ მხოლოდ იმ გარემოებათა დასადგენად, რომლებიც ამართლებენ ბრალდებულს, ან ამსუბუქებენ მის პასუხისმგებლობას. „დამცველი მოვალეა გამოიყენოს კანონში აღნიშნული დაცვის ყველა საშუალება და ხერხი იმ მიზნით, რომ გამოირკვეს გარემოებანი, რომლებიც ამართლებენ ბრალდებულს ან ამსუბუქებენ მის პასუხისმგებლობას, და გაუწიოს ბრალდებულს საჭირო იურიდიული დახმარება“ (სისხლის სამართალწარმოების 23-ე მუხლი).

ზემოხატვამიდან გამომდინარე საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის თეორიასა და პრაქტიკაში წამოიჭრა მთელი რიგი საკითხები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად. კერძოდ, საკითხი იმის შესახებ — ვალდებულია თუ არა დამცველი მხარი დაუჭიროს ბრალდებულის მიერ არჩეულ ვერსიას, აღიაროს საქმეზე მტკიცედ დადგენილი

ფაქტები, რომლებიც ადასტურებენ ბრალდებულის დანაშაულს ან ამძიმებენ მის ბრალს და ა. შ.

ეხება რა საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში დამცველის პროცესუალურ მდგომარეობასა და მის უფლებებს, პროფ. მ. ა. ჩელცოვი აღნიშნავს, რომ მტკიცების შეფასების შედეგად: ა) დამცველს შეუძლია აღიაროს ის ფაქტები, რომელსაც უარყოფს სამართალში მიცემული; ბ) დამცველს შეუძლია დამტკიცებულად მიიჩნიოს ბრალდება, რომელსაც არ ცნობს სამართალში მიცემული; გ) დამცველს შეუძლია ჩათვალოს არაჭეშმარიტად სამართალში მიცემულის ესა თუ ის ახსნა-განმარტება¹.

ეს თვალსაზრისი საბჭოთა სისხლის სამართლის საპროცესო ლიტერატურაში დავას იწვევს. ასე, მაგალითად, პროფ. მ. ს. სტროგოვიჩი, თვლის რა შესაძლებლად არა მარტო იმას, რომ დამცველისა და დაცვის ქვეშ მყოფი პირის პოზიციები ერთმანეთს არ ემთხვეოდეს, არამედ ხანდახან მის გარდუვალობასაც, ამასთანავე ერთად წერს: „იმ შემთხვევაში, როდესაც სამართალში მიცემული უარყოფს თავის ბრალს და დაობს ბრალდებაზე, დამცველს არ შეუძლია და არც უნდა განუცხადოს სასამართლოს, რომ სამართალში მიცემულის გამართლება უსაფუძვლოა და რომ მან დანაშაული ჩაიდინა. მაშ რა უნდა გააკეთოს ამ შემთხვევაში დამცველმა? ის, რომ იგი ვალდებულია ყველა შემთხვევაში გულმოდგინედ გამოიკვლიოს ყველა დამამტკიცებელი საბუთი დაცვის თვალსაზრისით, სადავო გახადოს და უარყოს ყველა სუსტი, საეჭვო, რაც არის ბრალდებაში, გამოიყენოს ყველაფერი, რაც ლაპარაკობს სამართალში მიცემულის სასარგებლოდ, გააკრიტიკოს ბრალმდებლის დაუსაბუთებელი მტკიცებები და ა. შ.“²

უფრო გადაჭრით ამ თვალსაზრისს იცავს პროფ. რ. დ. რახუნოვი: „...ყოველი ...შუამდგომლობისას დამცველი მოვალეა წინასწარ მოეთათბიროს დაცვის ქვეშ მყოფ პირს და გაარკვიოს მისი დამოკიდებულება.

მათ პოზიციებში არ შეიძლება იყოს პრინციპული სხვაობა, თუ კი ამ სხვაობის წინააღმდეგი არ არის თვით სამართალში მიცემული. თუ სამართალში მიცემული წინააღმდეგია, არ თვლის თავს დამნაშავედ და მოითხოვს, რომ დამცველი თავის საქმიანობაში გამომდინარეობდეს აქედან, მაშინ ეს მოთხოვნა სავალდებულოდ უნდა ჩაითვალოს დამცველისათვის“.³

როგორც აქედან ჩანს საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის თეორიაში ეს საკითხი სხვადასხვაგვარად წყდება. ასეთსავე მდგომარეობას აქვს ადგილი პრაქტიკაშიც.

1 М. А. Чельцов, Задачи советской защиты и процессуальное положение адвоката, «Адвокат в советском уголовном процессе», Госюриздат, 1954 г., стр. 63. იხ. ასევე: М. А. Чельцов, Советский уголовный процесс, Госюриздат, 1962 г., стр. 102—104.

2 М. С. Строгович, Процессуальное положение адвоката в советском уголовном процессе, «Социалистическая законность», 1959 г. № 3 стр. 29.

3 Р. Д. Рахунов, Участники уголовно-процессуальной деятельности, Госюриздат, 1961 г., стр. 212 იხ. აგრეთვე: Д. Д. Синайский, Основные вопросы защиты в уголовном процессе, «Советское государство и право», 1961 г. № 5 стр. 72.



ჩვენ მიგვაჩნია, რომ მიიღო რა თავის თავზე დაცვის ფუნქციები და გულ-დასმით გაეცნო რა საქმეს, დამცველი მოვალეა განუმარტოს ბრალდებულს პოზიცია, რომელსაც იგი აპირებს დაიკავოს პროცესში. მაგრამ დამცველის პოზიცია ისევე არ არის სავალდებულო ბრალდებულისათვის, როგორც ბრალდებულის პოზიცია დამცველისათვის. თვითეთლი მათგანი წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის დამოუკიდებელ სუბიექტს. დამცველმა საქმის კონკრეტული მონაცემების მიხედვით მხოლოდ უნდა ურჩიოს ბრალდებულს ესა თუ ის პოზიცია. ბრალდებულს შეუძლია დაეთანხმოს დამცველის აზრს და შეუძლია გამოთქვას საწინააღმდეგო მოსაზრება. მაგრამ დამცველის მონაწილეობა პროცესში ასე თუ ისე ყოველთვის დამოკიდებულია ბრალდებულის ნებასურვილზე, რადგან დამცველს (ადვოკატს) უფლება არა აქვს უარი განაცხადოს ბრალდებულის დაცვაზე (სისხლის სამართალწარმოების საფუძვლების 23- მუხლი), ხოლო ბრალდებულს საქმის წარმოების ყოველ მომენტში უფლება აქვს უარი თქვას დამცველზე (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 45-ე მუხ.). ამიტომ თუ ბრალდებულმა არ თქვა უარი დამცველზე და უკანასკნელი მონაწილეობს პროცესში, იგი არა ცვლის ბრალდებულს და არც არის მისი ნებასურვილის წარმომადგენელი, არამედ შინაგანი რწმენის შესაბამისად იკავებს დამოუკიდებელ პოზიციას, რომელიც მიმართულია მხოლოდ ბრალდებულის კანონიერი ინტერესების დასაცავად.

მხოლოდ და მხოლოდ ამ მხრივ შეიძლება განხილულ იქნას დამცველის საქმიანობა, როგორც დახმარება სასამართლოსადმი საქმის იმ გარემოებათა დამტკიცებასა და მტკიცებათა შეფასებაში, რომლებიც ამართლებენ ბრალდებულს ან ამსუბუქებენ მის პასუხისმგებლობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ დამცველს ჩავთვლით ვალდებულად შეუთანხმოს თავისი პოზიცია ბრალდებულს და თავისი დასკვნები აავსოს ბრალდებულის ჩვენებათა შესაბამისად, აქედან გამომდინარე ლოგიკური დასკვნაა ის, რომ დამცველს უფლება აქვს იცრუოს ანუ გამოვიდეს პროცესში თავისი შინაგანი რწმენისა და საქმის მასალის წინააღმდეგ.

დამცველის საქმიანობა (მისთვის დამახასიათებელი თავისებურებით), ისევე როგორც გამომძიებლისა და პროკურორის საქმიანობა, მიმართულია საბჭოთა სისხლის სამართალწარმოების საფუძვლების ამოცანების განხორციელებისაკენ და პირველ რიგში საქმეზე ობიექტური. ჭეშმარიტების დადგენისაკენ. ამის გამო ბრალდებულისაგან განსხვავებით დამცველს არ შეუძლია დაამახინჯოს ფაქტები, არ შეუძლია თავისი შინაგანი რწმენის საწინააღმდეგოდ უარყოს ის შედეგი მტკიცების შეფასებისა, რაც მას მიაჩნია მტკიცედ დადგენილად. „საბჭოთა კანონისა და სოციალისტური ზნეობის პრინციპებიდან გამომდინარე დამცველს არ შეუძლია, მოიქცეს იმგვარად, რომ ყველა საშუალებებით და ხერხებით დაიცვას თავისი დაცვის ქვეშ მყოფი. საბჭოთა დამცველი ემსახურება სოციალისტური საზოგადოების დაცვის დიდ და ჰუმანურ საქმეს სიმართლისა და სამართლიანობის კანონით. სწორედ ამით უნდა განისაზღვროს მისი ქცევა ბრალდებულის დაცვისას. ბრალდებულის კანონიერი ინტერესებისა და უფლების დაცვა —

აი, რა შეადგენს დამცველის ამოცანას და არა ბრალდებულის უკანონო მოთხოვნის მხარდაჭერა, რომელიც უთუოდ გადაიზრდება დამნაშავეისა და დანაშაულის დაცვაში“.¹

ამრიგად, დამცველი გამომდინარე საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში მისთვის კანონით დაკისრებული მოვალეობებიდან, ეხმარება სასამართლოს საქმის არა ყველა გარემოებათა მტკიცებასა და შეფასებაში, არამედ მხოლოდ იმ გარემოებათა დადგენაში, რომლებიც ამართლებენ ბრალდებულს ან ამსუბუქებენ მის პასუხისმგებლობას. იგი შეზღუდული არ არის ბრალდებულის ნებასურვილით, მისი ვერსიით და ამიტომ იცავს მის არა ყველა ინტერესს, არამედ მხოლოდ იმას, რასაც იცავს კანონი, ხელმძღვანელობს რა თავის საქმიანობაში კანონითა და შინაგანი რწმენით. ეს თავის მხრივ ლაპარაკობს იმაზე, რომ დამცველს არ შეუძლია უარყოს საქმეზე დადასტურებული ფაქტები, ან როგორც რჩევას იძლევა ზოგიერთი პროცესუალისტი, მხაჩი დაუჭიროს ბრალდებულის ვერსიას, სადავო გახადოს ბრალდება ლოგიკური შესაძლებლობის ფარგლებში, ხოლო თუ ეს შეუძლებელია — დასკვნები საეჭვოდ გახადოს.² ამასთან მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ დამცველის მიერ საქმეზე მტკიცედ დადგენილი ფაქტების აღიარება (მათ შორის ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც ისინი მოწმობენ ბრალდებულის დანაშაულს ან ამძიმებენ მის პასუხისმგებლობას) სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მან დაადასტურა სამართალში მიცემულის ბრალი, რომ ბრალდებული დარჩა დაცვის გარეშე ან რომ მის მიერ წარმოითქმება მეორე საბრალდებო სიტყვა.³ თუ დამცველი არ ცნობს კიდევ ფაქტებს, უფრო ზუსტად — არ გამოთქვამს თავის შეხედულებას ამ ფაქტების შესახებ, მისი მთელი საქმიანობა ბრალდებულის დასაცავად უნდა აგებული იქნას მათ შესაბამისად, კერძოდ იმ ფაქტების შესაბამისად, რომელთა შესახებ მან არ გამოთქვა თავისი დამოკიდებულება. ამიტომ, არასწორად უნდა იქნეს მიჩნეული ის თვალსაზრისი, რომელიც უარყოფს ადვოკატის უფლებას ცნოს საქმეზე დადასტურებული ფაქტები, რომლებიც მოწმობენ სამართალში მიცემულის ბრალს ან ამძიმებენ მის პასუხისმგებლობას. ეს თვალსაზრისი ემყარება დამცველისა და პროკურორის პროცესუალური ინტერესების დაპირისპირებას, დამცველის გარკვეულ დაინტერესებას საქმის შედეგის გამო.⁴

1 Д. Р. Расулов «Доклад из Сесии Верховного Совета СССР». «Правда», 26 декабря 1958 года.

2 В. Гольдинер, К вопросу о процессуальном положении адвоката, «Советская юстиция», 1957 г. № 7 стр. 17.

3 ამ თეზისს საბჭოთა სისხლის სამართლის საპროცესო ლიტერატურაში მხარს უჭერენ: მ. ს. სტროგოვიჩი, ადვოკატის პროცესუალური მდგომარეობა სისხლის სამართლის პროცესში, „Социалистическая законность“, 1959 წ. № 3 გვ. 29; ლ. ტ. ულიანოვა, ადვოკატის პროცესუალური მდგომარეობა საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში, „Социалистическая законность“, 1959 წ., № 3 გვ. 29 და სხვ.

4 იხ., მაგალითად: რ. დ. რახუნოვი, ი. ზ. საბუჩნიკოვი, ლ. მ კოზაკი, მ. გ. კორშიკი, „საპროკურორო ზედამხედველობა სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის კანონიერებაზე“, სახელმწიფო იურიდიული გამოცემლობა, 1963 წ., გვ. 45, 61 და სხვ.

ყოველივე ზემონათქვამიდან გამომდინარე მივდივართ შემდეგ დასკვნამდე, რომ ბრალდებულისაგან განსხვავებით, დამცველი მოვალეა მიიღოს მონაწილეობა მტკიცებაში, და ხელმძღვანელობს რა კანონითა და შინაგანი რწმენით, იგი წარმართავს თავის საქმიანობას საქმის არა ყველა გარემოებათა დასადგენად, რასაც აკეთებენ მომკვლევნი პირი, გამომძიებელი, პროკურორი და სასამართლო, არამედ მხოლოდ იმ გარემოებათა დასადგენად, რომლებიც ამართლებენ ბრალდებულს ან ამსუბუქებენ მის პასუხისმგებლობას და ამით იგი ეხმარება სასამართლოს მტკიცებათა სწორად შეფასებასა და ობიექტური ჭეშმარიტების დადგენაში. მაგრამ დამცველის მიერ თავისი მოვალეობის შეუსრულებლობამ ან არასათანადოდ შესრულებამ მტკიცებულებაში არ შეუძლია ასახვა ჰპოვოს დასკვნებში არსებითად საქმის გამო, ვინაიდან დამცველის საქმიანობის მიუხედავად, სასამართლომ, პროკურორმა და გამომძიებელმა ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად უნდა გამოიძიონ ყოველი სისხლის სამართლის საქმე.



დავითი პოზიციის საკითხისათვის სასამართლო პრინციპი*

ა. პაიჭაძე,

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე

პარტიის XXII ყრილობის მიერ მიღებულ პროგრამაში უაღრესად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანაა დასმული: უზრუნველყოფილი იქნეს სოციალისტური კანონიერების მტკიცედ დაცვა, აღმოიფხვრას მართლწესრიგის დარღვევის ყოველგვარი შემთხვევა, ლიკვიდირებულ იქნას დანაშაული და მისი წარმომშობი მიზეზები.

ზრუნვა სოციალისტური კანონიერების განტკიცებისათვის, ზრუნვა კომუნისტური მორალის მტკიცედ დანერგვისათვის საერთო სახალხო საქმეა. ამ დიდ საპასუხისმგებლო და კეთილშობილური ამოცანის გადასაწყვეტად სერიოზული მუშაობის ჩატარება მართებს ადვოკატურას, რომელიც ერთ-ერთი რგოლია სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლის საქმეში.

მოქალაქეთა კომუნისტურად აღზრდის საქმეში უდიდესი როლი ეხიჭება სასამართლო პროცესს.

ადვოკატის, როგორც სასამართლო პროცესის მონაწილის, პოზიცია მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს სწორი და მართებული, თუ იგი საბჭოთა ადვოკატისათვის დამახასიათებელ ზნეობრივ ნორმებიდან იქნება გამომდინარე.

საბჭოთა ადვოკატის ზნეობა კომუნისტურია, იგი არასოდეს არ ემორჩილება პირადი კეთილდღეობის ინტერესებს.

პატიოსნება და სიმართლე, ზნეობრივი სიწმინდე—აი, რა მოეთხოვებათ კომუნიზმის მშენებელ ადამიანებს, საბჭოთა ადვოკატებს.

საბჭოთა ადვოკატის ეთიკას არღვევს ის ადვოკატი, რომელიც დაცვის დროს ისეთ პოზიციას აირჩევს, რასაც საერთო არაფერი ექნება განსახილველ საქმესთან და საერთოდ სიმართლესა და ჭეშმარიტებასთან.

პროცესუალისტების მიერ სხვადასხვაგვარადაა შეფასებული ადვოკატის როლი და მისი დაცვითი პოზიცია სასამართლო პროცესში.

ერთი ნაწილი თვლიდა, რომ ადვოკატი სასამართლოს თავსაშემეშეა, ხოლო მეორენი კი სამართალში მიცემულის წარმომადგენლად აღიარებდნენ ადვოკატს.

კატეგორიულად განსაზღვრა იმისა, რომ ადვოკატი სასამართლოს თავსაშემეშეა, არ არის სწორი, არც ის მოსაზრებაა გამართლებული რომ ადვოკატი მხოლოდ სამართალში მიცემულის წარმომადგენლად უნდა ითვლებოდეს.

ადვოკატის როლს სასამართლო პროცესში ძირითადად განსაზღვრავს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 46 და 249 მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნები. „დამცველი მოვალეა გამოიყენოს ამ კოდექსში აღნიშნული დაცვის ყველა საშუალება და ხერხი იმ მიზნით, რომ გამოირკვეს გარემოებანი, რომლებიც ამართლებენ ბრალდებულს ან ამსუბუქებენ მის პასუხისმგებლობას და გაუწიოს ბრალდებულს

* განხილვის წესით.

სხვა საჭირო იურიდიული დახმარება“. სსკ 46 მუხლით გათვალისწინებული ეს მოთხოვნა კომენტარებს არ საჭიროებს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 249 მუხლში ნათქვამია:

„დამცველი ღებულობს მონაწილეობას დამამატკიცებელი საბუთების გამოკვლევაში, გამოთქვამს თავის მოსაზრებებს სასამართლო განხილვის დროს წამოჭრილ საკითხებზე, მოახსენებს სასამართლოს დაცვის მოსაზრებებს ბრალდების არსზედ, სამართალში მიცემულის გამამართლებელი, აგრეთვე პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებების შესახებ, სისხლის საქართლის კანონზე, რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული სასამართლოს მიერ, სასჯელის ზომაზე და დანაშაულის სამოქალაქო უფლებრივ შედეგებზე“. როგორც ჩანს კანონი არ ავალებს ადვოკატს მოსამართლის თანაშემწის ფუნქციების შესრულებას, იმავე კანონის თანახმად ადვოკატს არ ევალება უსიტყვოდ შესრულოს სამართალში მიცემულის ყველა ნაკარნახევი და სასამართლოს პროცესში მხოლოდ მისი წარმომადგენელი იყოს.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 46 მუხლში აღნიშნულია აგრეთვე, რომ „ადვოკატს უფლება არა აქვს უარი განაცხადოს ბრალდებულის დაცვაზე მის შემდეგ რაც მან ეს იკისრა“. როგორ უნდა გავიგოთ კანონის ეს მოთხოვნა? ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ადვოკატი შეზღუდულია და, რაკი მან იკისრა ამა თუ იმ პირის დაცვა, აღარა აქვს უფლება დაცვის ისეთი პოზიცია აირჩიოს, რომელიც არსებითად იქნება განსხვავებული სამართალში მიცემულის დაცვითი პოზიციისაგან? ჩვენ მიგვაჩნია, რომ ადვოკატი არ არის ამ შემთხვევაში შეზღუდული, მისი მოსაზრებანი ხელოვნურად არ შეიძლება შეიბოჭოს სამართალში მიცემულის უსაფუძვლო მოსაზრებებით. როგორ უნდა მოიქცეს ადვოკატი როცა სასამართლო პროცესში იგი ღრმად დარწმუნდა, რომ მისი დაცვისქვეშ მყოფი განზრახ მკვლელი ან სხვა მძიმე დანაშაულის ჩამდენია და არავითარი საფუძველი არა აქვს იზუამდგომლოს მის სრულ უდანაშაულობაზე, სამართალში მიცემული კი უტიფრად იმართლებს თავს და ავალებს ადვოკატს გაყვეს მის ცრუ პოზიციას? ცხადია, ადვოკატი ამ გეზს ვერ გაყვება, იგი როგორც ეს ზემოთაცაა აღნიშნული, უსიტყვოდ, მექანიკური შემსრულებელი არ არის სამართალში მიცემულის ყოველგვარი დავალებებისა.

რთული და უადრესად საპასუხისმგებლოა ადვოკატის როლი სასამართლო პროცესში, მისი პირდაპირი მოვალეობაა და ამასთანავე იგი ვალდებულიცაა დაცვა ისე აწარმოოს, რომ ის ოდნავაც არ ეწინააღმდეგებოდეს საბჭოთა სახელმწიფოსა და სოციალისტური საზოგადოების ინტერესებს.

რა დასკვნები უნდა გავაკეთოთ ზემოაღნიშნულიდან?

ყოველ ცალკეულ კონკრეტულ საქმეთა განხილვაში ადვოკატი დამოუკიდებელი მხარეა და არ არის სამართალში მიცემულის უბრალო მექანიკური შემცვლელი, იგი სასამართლოში მოქმედებს თავისი შინაგანი რწმენის შესაბამისად, რომელიც დამყარებულია ერთად აღებულ ყველა მტკიცებათა შეფასებაზე, ამასთან ერთად იგი თავისი სოციალისტური მართლშეგნებით ხელმძღვანელობს.

საქმის სასამართლოში განხილვის დროს თუ დაგროვდა აშკარა და უტყუარი მასალები სამართალში მიცემულის წინააღმდეგ და ამასთან შინაგანსა

დ რ მ ა რ წ მ ე ნ ა მ ადვოკატს უკარნახა, რომ მისი დაცვისქვეშეყოფის მიერ უდავოდაა ჩადენილი დანაშაული, ამ შემთხვევაში იგი როგორც საბჭოთა ადვოკატი მორალურად ვალდებულია დაცვის საშართლიანი პოზიცია აირჩიოს და განუმარტოს საშართალში მცემულს (თუ ამ უკანასკნელს აშკარად განსხვავებული პოზიცია აქვს არჩეული), რომ იგი ვერ შეასრულებს მის უსაფუძვლო ნაკარნახევს. თუ სამართალში მიცემულმა ადვოკატის მიერ არჩეული პოზიცია არ გაიზიარა და ჯიუტად მოითხოვა, რომ მან ამტკიცოს მისი უდანაშაულობა, ასეთ შემთხვევაში ადვოკატი ვალდებულია წინასწარ განუმარტოს სამართალში მიცემულს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 45 მუხლის მოთხოვნა, რომლის შესაბამისად, „ბრალდებულს და სამართალში მიცემულს უფლება აქვს უარი თქვას დამცველზე საქმის წარმოების ყოველ მომენტში“. სხვაგვარი პოზიცია არ შეიძლება ჰქონდეს იურისტთა იმ კორპორაციას, რომელსაც საბჭოთა ადვოკატურა ჰქვია, რომელიც ჩვენი სახალხო ინტელიგენციის ერთ-ერთი რაზმია და აქტიური მონაწილეა სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა დაცვა უკანასკნელ როლს არ ასრულებს მართლმსაჯულების განმტკიცების საქმეში და ამიტომ ადვოკატი უსაფუძვლო და უშარტებულო პოზიციას ვერ აირჩევს სასამართლო პროცესში.

ადვოკატისა და მისი დაცვისქვეშეყოფის პოზიციათა აშკარა სხვადასხვაობა იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება პრაქტიკაში; ეს ძალზე სერიოზული მოვლენაა სასამართლო პროცესში და ამიტომ საკითხი უბრალოდ არ უნდა იქნეს გადაწყვეტილი.

ასეთია ჩვენი შეხედულება ამ საკითხზე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადვოკატმა მსგავს ცალკეულ შემთხვევებში არ გამოიჩინოს საკუთარი თაოსნობა და თავისი ცოდნისა და გამოცდილების მიხედვით არ გამოძებნოს საჭირო ხერხები და საშუალებანი ამ საკითხის უმტკივნეულოდ მოგვარებისათვის.

ქართველი ადვოკატების უმრავლესობა მოქალაქეთა, წარმოება-დაწესებულებებისა და კოლმეურნეობათა ინტერესებს საბჭოთა ადვოკატისათვის დამახასიათებელი პოზიციებიდან იცავს; ადვოკატები ყოველთვის იყენებენ კანონით გათვალისწინებულ ყველა საშუალებას და ხერხს იმისათვის, რომ სამართლიანი განაჩენი თუ გადაწყვეტილება იქნეს გამოტანილი.

ქ. ქუთაისის სასამართლომ ვ. ს-ძე დამნაშავედ იცნო სახელმწიფო ქოხების გატაცებაში თანამონაწილეობისათვის და მას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა პირადი ქონების კონფისკაციით.

როგორც წინასწარი და სასამართლო გამოძიებით დადგინდა ს-ძემ დახმარება გაუწია სახელმწიფო ქონების გამტაცებლებს ლ-ძეს და სხვებს, რომლებმაც ქ. ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკიდან 56.568 მანეთად ღირებული შატერიები მოიპარეს. ს-ძის მხრივ დანაშაული იმაში გამოიხატა, რომ მან, დანაშაულის უშუალოდ ჩამდენ პირებს, მას შემდეგ რაც დანაშაული უკვე ჩადენილი იყო, დახმარება აღმოუჩინა და გადაამალა ნაქურდალი ნივთები მისი კუთვნილი ავტომანქანით.

ქ. თბილისის პირველი მაისის სახელობის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი ვ. ლეყავა, რომელიც სამართალში მიცემულ ვ. ს-ძის ინტერესებს იცავდა, საფუძვლიანად იცნობდა საქმეს; მან სავსებით სწორად განსაზღვრა ჩა-

დენილი დანაშაულის კვალიფიკაცია და შუამდგომლობდა ზემდგომ სასამართლო ინსტანციებში დამნაშავედ ეცნოთ ს-ძე არა როგორც სახელმწიფო ქონების გატაცებაში თანამონაწილე, არამედ როგორც დანაშაულის კვალის დამფარველი. ადვოკატი გ. ლეჟავა ასეთ შუამდგომლობას იმით ასაბუთებდა, რომ ს-ძემ, როგორც ეს ზემოთა აღნიშნული, დანაშაულის ჩადენის შემდეგ მიიღო მონაწილეობა დამნაშავეთა და დანაშაულის კვალის დაფარვაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა გააუქმა სახალხო სასამართლოსა და უმაღლესი სასამართლოს საკასაციო კოლეგიის დადგენილება. ს-ძე დამნაშავედ იცნო როგორც დანაშაულის კვალის დამფარველი, შეფარდებული სასჯელი 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუტევალა 5 წლით, მოუხსნა ქონების კონფისკაცია და ზარალის ანაზღაურება.

1961 წლის 31 მაისს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პროტესტით საქმე განხილული იქნა უმაღლესი სასამართლოს პლენუმზე, სადაც გაუქმებულ იქნა უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილება, ძალაში დატოვა სახალხო სასამართლოს განაჩენი და ს-ძე კვლავ იქნა აყვანილი პატიმრობაში.

ადვოკატმა გ. ლეჟავამ საჩივრით მიმართა პროკურატურისა და სასამართლოების ზემდგომ ორგანოებს. საბოლოოდ, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა სავსებით გაიზიარა ადვოკატის შუამდგომლობა და 1962 წლის 31 დეკემბრის დადგენილებით გააუქმა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება, ძალაში დატოვა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილება და ს-ძე გაათავისუფლა პატიმრობიდან.

დანაშაულის კვალიფიკაციის განსაზღვრის მხრივ ეს საქმე თითქოს რაიმე განსაკუთრებული სირთულით არ ხასიათდებოდა, მაგრამ ადვოკატს მაინც მოუხდა პრინციპული დავა და სერიოზული მუშაობის ჩატარება კანონთან შესაბამისი დადგენილების მიღების უზრუნველსაყოფად.

კანონთან შესაბამისი დაცვის სწორი პოზიცია აირჩია ქ. თბილისის კიროვის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატმა პ. ყუფარაძემ, როცა ის სახალხო სასამართლოში იცავდა სამართალში მიცემულ ნ. ბ-ლის ინტერესებს, რომელსაც ავტომატურად მოძრაობის წესების დარღვევაში და ამის შედეგად მოქ. კ-გის მკვლელობაში ედებოდა ბრალი.

საქმეში უტყუარი მასალები იყო იმის შესახებ, რომ ბ-ლის მიერ არ იყო დარღვეული მოძრაობის არავითარი წესი, რომ დაზარალებული კ-ვი მოტოციკლით, რომელსაც ის მართავდა, თვითონ დაეჯახა უკანა მხირდან ავტომატის და რომ უბედური შემთხვევა არ ყოფილა გამოწვეული სამართალში მიცემულის დაუდევრობის მიზეზით.

ადვოკატმა პ. ყუფარაძემ იშუამდგომლა სახალხო სასამართლოში ნ. ბ-ლის უდანაშაულოდ ცნობისა და მისი გამართლების შესახებ. სახალხო სასამართლომ არ გაიზიარა შუამდგომლობა და ბ-ლს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

ადვოკატის საკასაციო საჩივრის საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ სამჯერ იქნა გაუქმებული ამ საქმეზე სხვადასხვა დროს გამოტანილი გამამტყუებელი განაჩენი. 26 კომისიის რაიონის სახალხო სასამართლოში, საქმის მეოთხედ განხილვის დროს, ნ. ბ-ლი გაამართლეს როგორც სრულიად უდანაშაულო.

ეს მაგალითი განსაკუთრებით დამახასიათებელია საბჭოთა ადვოკატის პროფესიონალური მოვალეობის სანიმუშოდ შესრულების თვალსაზრისით. ჩვენთვის ცნობილია, რომ მსჯავრდებულს მოსწყინდა საჩივრების განუწყვეტელი წერა-ამიტომ თითქოს შეეგუა კიდევ უკანონო განაჩენს. მართალ ადამიანს სასჯელის საკმაოდ მძიმე ღონისძიება ჰქონდა შეფარდებული, რაშიც მტკიცედ იყო დარწმუნებული ადვოკატი. აქ კი მისმა პრინციპულობამ და სიმართლის დადგენისათვის ბრძოლამ იჩინა თავი და გაიმარჯვა კიდევც.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ თუ სისხლის სამართლის საქმეთა გახილვაში მონაწილე ადვოკატების უმრავლესობა საფუძვლიან ანალიზს უკეთებს მასალებს, სწორ დაცვით პოზიციას ირჩევს, ზოგიერთი ადვოკატის მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს დაცვითი პოზიციების შერჩევისას არათანხმოებლობას, საქმის მასალების შეუსაბამო ანალიზს, კანონის დაუსაბუთებლად მომარჯვებას, დანაშაულის კვალიფიკაციის არასწორად განსაზღვრას და სხვ.

ქ. თბილისის კიროვის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატმა ი. ტ.-ქემ არასწორი დაცვითი პოზიცია აირჩია სამართალში მიცემულ ს. კ-ვის დაცვის დროს. კ-ვის საზოგადო ქონების ვატაცებაში ედებოდა ბრალი და მისი დანაშაული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 94 მუხლის III ნაწილით იყო დაკვალიფიცირებული. საბრალდებო დასკვნის მიხედვით კ-ვს ბრალი ედებოდა მასში, რომ ის აფორმებდა ყალბ ხელშეკრულებებს და საბუთებზე ყალბი ხელმოწერით ითვისებდა თანხებს.

წინასწარი გამოძიების დროს ჩატარებული კრიმინალისტური ექსპერტიზის დასკვნით სიყალბე კ-ვის მიერ იყო ჩადენილი, ეს უკანასკნელი კი უჩვენებდა, რომ დანაშაული ჩადენილი ჰქონდა კანტორის ყოფილ უფროსს, იმ დროისათვის უკვე გარდაცვალებულ მ-ვას.

უდავოდ იყო დადგენილი, რომ მ-ვა ამ ყალბი საბუთების შედგენის დროს იყო მწოლიარე ავადმყოფი, ექსპერტიზის დასკვნით მას სიყალბის ჩადენაში არავითარი ბრალი არ მიუძღოდა. ადვოკატ ი. ტ.-ქეს არ ჰქონდა საჭირო მოხატვები ემუშაოდგომლა სასამართლოში კ-ვის უდანაშაულოდ ცნობის შესახებ.

კრიმინალისტური ექსპერტიზის დასკვნა, რომ ყალბი საბუთები კ-ვის ხელით იყო შესრულებული, ადვოკატმა მხოლოდ ლიტონი განცხადებით უარყო და სასამართლოს მოახსენა: „მე მჯერა, რომ კ-ვს არ ეკუთვნის სადავო ქვითრებზე ხელის მოწერა“.

ადვოკატ ი. ტ.-ქის მიერ შერჩეული დაცვითი პოზიციის დაუსაბუთებლობაზე მიუთითებდა ისიც, რომ მისი მოთხოვნა სახალხო სასამართლოში ალტერნატიული ხასიათის იყო, მან იმუშაოდგომლა: „თუ კ-ვს ჩათვლით დამნაშავედ, იმ შემთხვევაში ვადაკვალიფიცირეთ მისი ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 191 მუხლზე“.

საქმის საკასაციო კოლეგიაში განხილვისას კი კატეგორიულად მოითხოვა განაჩენის გაუქმება და საქმის წარმოებით შეწყვეტა.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ერთ-ერთი ადვოკატი კი უფრო შორს წავიდა და საქმის მასალების ყოველგვარი ანალიზის გარეშე იმუშაოდგომლა სამართალში მიცემულ ნ-ს გამართლება მაშინ, როცა წინასწარი და სასამართლო გამოძიებით დადგენილი იყო, რომ ნ-ამ ქრთამის სახით 1400 მანეთი მიიღო ტ-ქისაგან ამ უკანასკნელის ქალიშვილის ჩასარიცხად პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

სამართალში მიცემული არ უარყოფდა იმ გარემოებას, რომ მან ნაძღვილად



სთხოვა ინსტიტუტის ერთ-ერთ ხელმძღვანელ მუშაკს ტ-ძის ინსტიტუტში ჩა-
რიცხვა. ხსენებული ხელმძღვანელი მუშაკი კი თავის მხრივ უჩვენებდა, რომ მას
ნ-მ ორი ოქროს საათი მიუტანა და საჩუქრად შესთავაზა.

ადვოკატმა ოდნავ დამაჯერებელი არგუმენტიც კი ვერ მოიყვანა იძისათვის,
რომ საფუძველი ჰქონოდა შუამდგომლობისათვის ნ-ის გასამართლებლად.

აქედან დასკვნა — დასახელებულმა ადვოკატებმა ვერ განახორციელეს კა-
ნონით გათვალისწინებული მოვალეობა, პროცესის მსვლელობის დროს მათ
სრულყოფილად ვერ გამოარკვეეს ის გარემოებანი, რომლებიც ამართლებდნენ
სამართალში მიცემულთ ან ამსუბუქებდნენ მათ პასუხისმგებლობას.

ადვოკატისათვის კანონით გათვალისწინებული სავალდებულო შოთხოვის
შესრულებისათვის საჭიროა კარგად ეუფლებოდე მოქმედ კანონმდებლობას,
თანმიმდევრულად იმალდებდე იურიდიული ცოდნის დონეს და თითოეულ კონკ-
რეტულ საქმეზე ღრმა ანალიზს აკეთებდე კანონთან შესაბამისი და საფუძვლიანი
დაცვითი პოზიციის არჩევისათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუღებელი, უკანონო და მცდარი დაცვითი
პოზიციების არჩევით ადვოკატი ხშირად კი არ ეხმარება სამართალში მიცე-
მულს, არამედ ზოგჯერ ზიანსაც აყენებს მის კანონიერ ინტერესებს.

დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად სპეციალური ორგანოები არსე-
ბობენ. პირველ რიგში ისინი არიან მოწოდებულნი დანაშაულის შემცირებისა
და მისი საბოლოო ლიკვიდაციისათვის, მაგრამ საბჭოთა ადვოკატურა, როგორც
ძლიერი რგოლი სოციალისტური მართლმსაჯულების სისტემაში; მხარში უნდა
ედგეს ამ ორგანოებს კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

დღეს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კანონმდებლობის
განმტკიცებას, მართლწესრიგის დარღვევათა ლიკვი-
დაციას და იმ მიზეზების მოსპობას, რომლებიც და-
ნაშაულს წარმოშობენ; ყველაფერი ეს დიდ მო-
თხოვნილებას აკისრებს ადვოკატურის დარგის მუშა-
კებს. საქართველოს ადვოკატები პოლიტიკური და
პროფესიული ცოდნის დონის ამაღლებით ყოველ-
თვის იზრუნებენ იმისათვის, რომ თავიანთი წვლილი შეიტა-
ნონ საფუძვლიანი და კანონთან შესაბამისი განაჩენებისა და გადაწყვეტილებე-
ბის გამოტანის საქმეში.



კრიმინალისგუკი ექსპერტიზა ილია ჭავჭავაძის მკვლევობის საქმეზე

1907 წლის 30 აგვისტოს სოფელ საგურამოს მახლობლად, წიწამურის ხეობაში, მეფის რუსეთის ჯალათებმა ვერაგულად მოჰკლეს ქართული კულტურის მშვენიება და სიამაჲე, გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე, ვისაც „ერის წყლული აჩნდა წყლულად, ეწოდა მის ტანჯვით გული“. ილია იყო ჩვენი ხალხის სინდისი, მისი უკვდავების დამოწმება და დადასტურება, ჩვენი დიდი მოქირანახლე, მე-19 საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დედაბოძი.

საქართველოში კრიმინალისტური ექსპერტიზისა და მისი დაწესებულებების ისტორიის შესწავლისას, ჩვენ დაგვანტერესა საკითხმა — იყო თუ არა ჩატარებული კრიმინალისტური ექსპერტიზა ილიას მკვლელობის საქმის გამოძიებისას. საქართველოს ცენტრალურ, სახელმწიფო ისტორიულ არქივში მუშაობისას ამ მიმართულებით ბევრი საინტერესო მასალა იქნა ნახული¹.

როგორც ცნობილია ილიაზე და მის მეუღლეზე თავდასხმა მოაწყო ბანდამ, რომელშიც შედიოდნენ: პავლე ფშავიშვილი (იგივე აფციაური), გიორგი ბერბიჭაშვილი, ივანე ინაშვილი, თედო ლაბაური და გიგოლა მოძღვრიშვილი. ამ ბანდის სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი იყო ილია ჭავჭავაძის ყოფილი მოურავი, მეფის „ობრანის“ ცნობილი აგენტი დიმიტრი ჯაში.

გამოძიებას ამ საქმეზე ატარებდა თბილისის ოლქის სასამართლოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი ილიაშენკო. ილია ჭავჭავაძის გვამის გაკვეთისას ამოღებული იქნა და საქმეს დაერთო როგორც ნივთმტკიცება რამდენიმე საფანტი და „უბრალო მრგვალი ტყვია“.

1907 წლის 12 სექტემბერს დუშეთის მაზრის უფროსმა ყარამან გრიგოლის-ძე ფაღვამ ქ. თბილისის გუბერნატორს გაუგზავნა წერილი, რითაც ატყობინებდა, რომ მას შეუძლია პირადად გადასცეს გამომძიებელს „ილია ჭავჭავაძის მკვლე-

ზე — გიგოლა მოძღვრიშვილზე ჩამორთმეული ორლულიანი სანადირო თოფი ფალასკით, („პატრონტაშით“ განმარტება ჩვენია ო. მ.), რომლის ნაწილებზე აღინიშნება დიდი რაოდენობით სისხლის კვალები, ასევე იქნება გადაცემული 14 მასრა“. „როგორც ცნობილია. — სწერს შემდეგ ფაღვა, — ილია ჭავჭავაძის გვამის გაკვეთისას ამოღებული იქნა რამდენიმე საფანტი და უბრალო მრგვალი ტყვია. ამ უკანასკნელთა შედარებით დუშეთის მაზრის გამომძიებლის თანდასწრებით, მოძღვრიშვილზე ჩამორთმეულ მასრებში არსებულ საფანტებთან და ტყვიებთან, ყველა ისინი ერთმანეთის სახეებით მსგავსი აღმოჩნდნენ“².

1907 წლის 18 სექტემბერს დუშეთის მაზრის უფროსმა ფაღვამ მართლაც წარმოადგინა ქ. თბილისში აღნიშნული ნივთმტკიცებანი, რომლებიც პირველ რიგში დათვალიერებული იქნა გამომძიებელ ილიაშენკოს მიერ, შემდეგ კი ამ ნივთმტკიცებთა მიმართ ჩატარდა ბალისტიკური ექსპერტიზა. მოგვყავს დათვალიერების ოქმის მთლიანი ტექსტის ქართული თარგმანი:

„დათვალიერების ოქმი“

„1907 წლის 24 სექტემბერს თბილისის ოლქის სასამართლოს სასამართლო გამომძიებელმა ილიაშენკომ მოვანდინე დუშეთის მაზრის უფროსის თავად ფაღვას მიერ ა. წ. 18 სექტემბერს წარმოადგენილი გიგოლა მოძღვრიშვილზე ჩამორთმეული — თოფის, ტყვიების, ვაზნების და მასრებიანი ფალასკის დათვალიერება, რადროსაც აღმოჩნდა შემდეგი:

- 1) თოფი ორლულიანი, ჩანჩახიანი, სისხლის მაგვარი კვალებით ლულის ბოლოსთან, ნიშანთან და ჩანჩახის ახლოს; 2) ტყვია, მრგვალი, დაუშუშავებელი და შვიდი, სხვადასხვა ზომის, ასევე დაუშუშავებელი საფანტი და ფინდახი, მოთავსებული ერთ მასრაში, აგრეთვე სხვადასხვა ზომის საფანტი შეხვეული ქაღალდში, მოთავსებული ერთ მასრაში; 3) თოფის წამალი ორ

¹ Фонд 13, „Канцелярия наместника на Кавказе“ 1905—1907 гг. „Дело об убийстве Ильи Чавчавадзе“.
² Фонд 17, „Канцелярия Тифлисского губернатора“, материалы 1860—1917 гг. „Дело об убийстве поэта Чавчавадзе“.
³ Фонд 17, арх. № 5888, 1907 г. „Дело об убийстве поэта Чавчавадзе“, ст. 14.

პარკში, ერთში წვრილი ყვითელი ფერის, მეორეში ღია ფერის და მომსხო; 4) უბრალო, სარტყლიანი ფალასკა 14 ცალი სხვადასხვა ზომის მასრით. ფალასკაზე აღინიშნება სისხლის მაგვარი კვანძები.

სასამართლო გამომძიებელი — ხელმოწერილია, თანამოწმენი — ხელმოწერილია“.

როგორც დავინახეთ ნივთმტკიცებათა დათვალიერება მოხდენილია დეტალურად, სათანადო პროცესუალური გაფორმებით.

გიგოლა მოძღვრიშვილზე ჩამორთმეული ნივთმტკიცების და ილია ჭავჭავაძის გვამიდან ამოღებული საფანტისა და ტყვიის მიმართ ჩატარებული იქნა ბალისტიკური ექსპერტიზა, რომლის

დასკვნითაც დადგენილ იქნა, რომ „ოქმით დათვალიერებული და გვამიდან ამოღებული ტყვია და საფანტი არ არის ერთი და იგივე“².

ექსპერტიზის ამ დასკვნას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქეშმარიტების დადგენისათვის, მან სწორ გზაზე წაიყვანა გამომძიება, რომელმაც საბოლოოდ დაადგინა, რომ დიდი ილიას მკვლელი გიორგი ბერბიჭაშვილი იყო. ილიას გვამიდან ამოღებული ტყვია და საფანტი სწორედ მისი თოფიდან იყო გასროლილი.

ოთარ მგელაძე,

თბილისის სამეცნიერო-კვლევითი კრიმინალისტური ლაბორატორიის უფროსი ექსპერტი.

¹ Фонд 17, арх. № 5888, 1907 г. „Дело об убийстве поэта Чавчавадзе“. ст. 14.

პროკურატურის მდივანი თამარ მაისურაძე



ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა იყო თამარ პავლეს ასული მაისურაძე, როცა 1934 წელს მდინარე დაიწყო მუშაობა ხაშურის რაიონის პროკურატურაში, შემდეგ იგი სამუშაოდ ქ. თბილისში გადმოდის... 1954 წლიდან მუშაობს პირველი მაისის რაიონის პროკურატურის მდივნად.

29 წელია, რაც ჩვენი თამარი პროკურატურის ორგანოებშია. მან სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა არა მარტო პროკურატურის თანამშრომლებში, არამედ მიღებაზე მოსულ მოქალაქეთა შორისაც.

რამ განაპირობა თამარის ასეთი დაფასება? იგი დიდ ყურადღებას აქცევს მინდობილ სამუშაო უბნის კულტურას, წესრიგში აქვს საქმეების, საჩივრების წარმოება, პროკურატურაში მოსულ მოქალაქეებს იღებს თავაზიანად, კულტურულად, დროულად პასუხობს აღიშენების, საბნაო, შრომის თუ სხვა საკითხებზე შემოტანილი საჩივრების გადაწყვეტის მიმდინარეობას.

პროკურატურის ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის რესპუბლიკისა და ქალაქ თბილისის პროკურატურების ხელმძღვანელობამ მას გამოუცხადა 13 მაღლობა, დააჯილდოვა ფასიანი საჩუქრით, სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა კი—საპატიო სიგელებით.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავთან დაკავშირებით, თამარ მაისურაძემ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი დაიმსახურა.

იგი აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივი ორგანიზაციების ცხოვრებაში, სამსახურებრივ მუშაობას კარგად უთავსებს საზოგადოებრივ საქმიანობას. არჩეულია პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის მოადგილედ, არის აგრეთვე კარგი აღმზრდელი დედა.

დიდი კმაყოფილება არიან თამარის ასეთი ნაყოფიერი მუშაობით პროკურატურის მთელი კოლექტივი. ხშირად გაიგონებთ მის მიმართ მაღლობის გამოთქმებს, იმ სიტყვებს, რომლებიც სრულიად სამართლიანად იყო აღნიშნული გაზეთ „იზვესტიის“ ფურცლებზე, რომ... „ტიქნიკური მდივანი თუ გნებავთ დაწესებულების სახეა, მდივნის შრომა არსებითად ადამიანებთან მუშაობაა... რომლის ნაყოფიერება განიზომება არა პროცენტებით არამედ გულუხვობითა და გულკეთილობით... მდივნის შრომა იოლი არ არის და ყოველნაირი პატივისცემის ღირსია“.

მართლაც დაფასებულია თამარ მაისურაძის შრომა, რომლის ოპერატიული, მოქნილი, საქმიანი მუშაობა ხელს უწყობს რაიონის პროკურატურის მუშაობის გაუმჯობესებას, პროკურატურის წინაშე მდგარი ამოცანების განხორციელებას.

3. გიგუშაძე,

საქართველოს სსრ პროკურორის თანაშემწე აღსრულებელზე კონტროლის დარგში, იუსტიციის მრჩეველი.

თ ა ლ დ ი თ ი „ ი შ ვ ე დ ე რ ი “

ეს ამბავი მოგონილი არ არის. იგი ქალაქ ბათუმში მოხდა ამ რამდენიმე ხნის წინათ. გალინა ზაქირის ასული ფუგასოვა ქ. ყაზანიდან დასასვენებლად ჩამოვიდა ბათუმში და ბინად მის ნაცნობთან მიეწყო.

ერთ დღეს, როდესაც იგი ზღვიდან სახლისაკენ ბრუნდებოდა, მას წამოეწია ახოვანი, კარგად ჩაცმული ახალგაზრდა კაცი, რომელმაც ჩაილაპარაკა — „შესანიშნავი ქალია, სწორედ ჩემი გემოვნების“, შემდეგ გაუცინა ქალს და მიმართა — „უნდა გამოგიტყუდ ქვირფასო, დიდი ხანია თქვენისთანა ქალს დავეძებ და ვნახე კიდევ, გათხოვილი ხართ?“.

— არა, მორცხვად უბასუხა ქალმა, რომელსაც სახეზე სიწითლემ გადაკრა“.

ვლადიმერ რუბენის-ძე ოვანუშოვმა შეიტყო, რომ ახლად გაცნობილი ქ. ყაზანის ერთ-ერთი კინო-თეატრის მოლარედ მუშაობდა, გაიფიქრა, ამას ალბათ ფული ექნება, მოდი გავეთამაშებო, მოვინჯავ შეიძლება დავტყუო რამეო.

— მამაჩემი ქ. კრასნოდარში ცხოვრობს, ხელბით იუველერია, მეც შევისწავლე მამის ხელობა, ამქამდ ბათუმში ვმუშაობ, მაგრამ ამ ბოლო ხანებში მასალა ვერ ვშოულობ და სამუშაოც ცოტა მაქვს, ყაზანში ხომ ვერ იშოვის კაცი ოქროს? — რა მოგახსენოთ, არასოდეს დამჭირებია, — უბასუხა მამაკაცის გარეგნობითა და ტკბილი ენით მოხიბლულმა ქალმა.

მალე ისინი მიუახლოვდნენ სახლს, რომელშიაც ფუგასოვა ცხოვრობდა, ერთმანეთს პაემანი დაუნიშნეს და დაცილდნენ. გალინამ სახლის პატრონს უამბო თუ როგორ გაიცნო შესანიშნავი გარეგნობის მამაკაცი, რომელთანაც საღამოს პაემანი ჰქონდა დანიშნული.

— გისურვებ გაბედნიერებას, შენ სწორედ ზედი გქონია. — ასე გაისტუმრა სახლის პატრონმა იგი პაემანზე.

დანიშნულ დროს ახლადგაცნობილი ზღვისპირის პარკთან შეხვდნენ ერთმანეთს, ჩასხდნენ მანქანაში და მახინჯაურის რესტორნისკენ გასწიეს.

როდესაც სუფრას მიუსხდნენ ვლადიმერმა განაგრძო — „ხომ იცი ნამდვილ ოქროს მონეტას კიდევში აწერია „სუფთა ოქრო“, ოქრო ისე მჭირდება, რომ თითო მონეტაში 120 მანეთს მივცემ, გემუდარები გამოწვი მეგობრული სამსახური და თუ შეხვდი გასაყიდ ოქროს იყიდე, ფულს მაშინვე გადაგიხდი. თან ქალს ექვი რომ არ შეპარვოდა მის გულწრფელობაში უთხრა,

რომ გამოიღველს ფულს მთლიანად ნუ გადაუხდიდა, ნაწილის მისაცემად მერე დაუბარებინა. ამასობაში იგი გასინჯავდა ოქროს და თუ ნამდვილი აღმოჩნდებოდა დანარჩენ ფულს მერე მისცემდნენ. თუ ოქრო ვიშოვეთ სამუშაოც ბევრი მექნება, ფულსაც კარგად ავიღებ, შემდეგ ბედნიერი ცხოვრება... ჯერ სოჭაში გავისეირნებთ გემით, შემდეგ მშობლიურ თბილისში წაგიყვან და ჩემს ნათესაებს გაგაცნობ.

ქალმა ერთი წუთით ბედნიერად წარმოიდგინა თავისი თავი, შემდეგ თანხმობა უთხრა და თან დასძინა — „თუ ფული არ მეყო სახლის პატრონისაგან ვისესხებ და მერე დავუბრუნებთო“.

მეორე დღეს ვ. ოვანუშოვის მიგზავნილი კაცი მივიდა სახლში, სადაც გალინა ცხოვრობდა, თან ქალის საზაფხულო ფეხსაცმელები მიიტანა და სტუმრად ჩამოსულ ვ. ფუგასოვას შესთავაზა ეყიდა ისინი, მაგრამ ქალს ფეხსაცმელები არ მოერგო, მაშინ უცნობმა ჯიბიდან 4 ცალი ლითონის მონეტა ამოიღო და ჰკითხა, ხომ არ იყიდა ოქროს. ქალს გაახსენდა, რომ ვლადიმერმა სთხოვა ოქროს ყიდვა, გასინჯა მონეტები და კიდევ „სუფთა ოქრო“ ამოიკითხა, თანაც პატრონმა დაარწმუნა ნამდვილი ოქროაო და მორიგდნენ თითო ცალში 110 მანეთს მისცემდა, იქვე ხელში ჩაუთვალა 380 მანეთი და თან უთხრა, რომ ფული მეტი ახლა არ ჰქონდა, დანარჩენ 60 მანეთს ისესხებდა და საღამოს მისცემდა. უცნობი წავიდა, ხოლო გახარებული ქალი მოუთმენლად ელოდა ვ. ოვანუშოვის გამოჩენას, მაგრამ ამოდ...

ვ. ფუგასოვას სამგზავრო ფულის სესხება დასჭირდა, რომ ყაზანში დაბრუნებულიყო.

ამის შემდეგ რამდენიმე ხანმა განვლო. ვ. ოვანუშოვმა იფიქრა ყველაფერმა უხეფათოდ ჩაიარაო და კვლავ გააგრძელა თავისი „ხელობა“. ერთ დღეს შევიდა ერთ-ერთ მაღაზიაში, გვერდზე გაიხმო გამოიღველი ე. ი. ვალუსტიანი, უთხრა თითქოს ჩამოსულია ქ. კრასნოდარიდან, ცოლს გაეყარა, მთელი ქონება მას დაუტოვა, თვითონ ერთი ხელი ტანისამოსით წამოვიდა სახლიდან და ეკონომიურ სივრწოვეს განიცდის, სთხოვა მას დახმარებოდა ძვირფასი თვლიანი ბეჭდის გაყიდვაში, რომელიც დედისაგან საჩუქრად შერჩენოდა. ვალუსტიანს ბეჭედი ძალიან მოეწონა, სურვილი გამოსთქვა თვითონ შეეძინა იგი, ვინაიდან მას ქალიშვილი ჰყავდა გასათხოვარი და საჩუქარი უნდოდა ეყიდა მისთვის.

ვ. ოვანუშოვმა ჯიბიდან ამოიღო ქალულში

გახვეული ნამდვილი ბრილიანტის თვლიანი ბეჭედი და უთხრა წაეღო და გაეხინჯა. მართლაც ე. გალუსტიანმა ბეჭედი იუველერს გაასინჯა, რომელმაც დაადასტურა, რომ ბეჭედი ნამდვილი ბრილიანტის თვლებით იყო გაწყობილი. როდესაც ქალი შეხვდა ვ. ოგანეზოვს, ამ უკანასკნელმა ბეჭედი 700 მანეთად დააფასა, ქალი კი 600 მანეთს აძლევდა.


მეორე დღეს ოგანეზოვმა ხელმეორედ მიუტანა ე. გალუსტიანს იგივე ბეჭედი, ქალმა ისევ წაიღო გაასინჯა და დაბრუნდა მაღაზიაში, მაგრამ ოგანეზოვმა ჩხუბი დაუწყო ე. გალუსტიანს, თითქოს ეთქვას ვიღაცა ბიჭებისათვის ოგანეზოვს ბრილიანტი აქვს და ისინი მას უთვალთვალეზდნენ. ბოლოს მორიდდნენ 650 მანეთად. ვ. ოგანეზოვმა ჯიბიდან ამოიღო ქა-

ლალში გახვეული უბრალო ბეჭედი, მისი ქალს, გამოართვა ფული და თან უთხრა ქუჩაში გაჩერებული ბიჭების მეშინაო და სთხოვა ტაქსის გაჩერებამდე გაეცილებინა. გალუსტიანმა თხოვნა შეუსრულა, როცა მაღაზიაში დაბრუნდა, გაზეთში გახვეული ბეჭედი ნახა, მიხვდა, რომ მოატყუეს, თავში იცა ხელები, მაგრამ გვიანა იყო...

ვ. ოგანეზოვი რამდენიმე თვის განმავლობაში მიმაღვამი იყო და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში კვლავ თაღლითური გზით ცხოვრობდა, მაგრამ შილიციის მუშაკებმა ბოროტმოქმედის კვალს მიაგნეს და მან ღირსეული სასჯელი მიიღო.

3. ცხვარაძე,

აჭარის ახსრ პროკურორის თანაშემწე.



გზყვეთულ ჯიჟვნი

1

ვერცხლისფერი სამგზავრო ლანინური ილ-14 თითქმის უხმაუროდ შეეხო აეროდრომის ბეტონის ფილებს. თვითმფრინავის მრგვალ ფანჯრებში უცებ გაივლია აეროპორტის გაჩირადნებულმა შენობამ. რამდენიმე წუთის შემდეგ მსუბუქი რყევა შეწყდა და მგზავრებმა შვებით ამოისუნთქეს. ახლა უკვე უხმოდ ბრუნავდნენ გამორთული მობრტოები. სარეისო თვითმფრინავი თბილისი — ადღერი გაჩერდა.

ნოდარ ერთეუ წამოდგა და ჩასასვლელად გამზადებულ მგზავრებში გაერია. თვითმფრინავის კარზე მიდგმული ტრაპი სწრაფად ჩაირბინა და მიმოიხედა.

ელექტრონისა და ნეონის შუქით გაბრწყინებული აეროპორტის შენობა ყურადღებას იქცევდა. მოსაცდელ დარბაზში ახლადჩამოსული მგზავრები და გამცილებლები ერთმანეთში ირეოდნენ.

— გავაღწიე თბილისიდან მგონი არავინ ამყვია — გაიფიქრა ნოდარმა და ნაცნობი მგზავრები შეათვალიერა. ყველანი ზღვაზე დასასვენებლად ჩამოსულებს ჰგავდნენ, თუმცა...



ციფერმა ავტობუსმა აეროდრომის წინ პატარა მოედანს შემოუარა და გაჩერდა. მგზავრები აჩოჩქოლდნენ.

და როცა ნოდარმა ჩაჯდომა დააპირა, მაღალმა, გამხდარმა კაცმა, რომელსაც ხელზე გადაკიდებული ლურჯი საწვიმარი ეჭირა, მხარზე ხელი დაადო და წყნარად უთხრა:

— თქვენ ნუ აჩქარდებით, გამოწყევით.

მათი თვალები წამით შეხვდნენ ერთმანეთს. ნოდარმა იცნო მგზავრი, რომელიც თვითმფრინავში უკანასკნელ წუთს ამოვიდა. იცნო და ინსტიქტურად გვერდზე გაიხედა.

— ფრთხილად, — მკაცრად უთხრა უცნობმა და ჯიბეში ხელი ჩაიყო. ხმაურის ატეხვა შემგონი არ ღირს. ხალხი გაატარეთ!...

ნოდარის ტანში თითქოს ელექტროდენის ღენმა დაუარა. უცებ მოდუნდა და მოეჩვენა, რომ მუხლები ეკეცებოდა. ხმის ამოდება ვეღარ შესძლო. უცნობს მორჩილად გაჰყვა.


ეს „უცნობი“ მგზავრი მილიციის სამმართველოს გამომძიებელი ნიკოლოზ ავალიანი იყო, რომელიც შრომა-გასწორების კოლონიიდან გაქცეულ ნოდარისა და მის ამხანაგებს დაეძებდა.

2

— სულელურად ჩავვარდი, — ჯავრობდა თავისთავზე ნოდარი და ხაფანგში გამომწყვდეული ნადირივით საკანის კედლებს აქეთ-იქით აწყვლებოდა. — ალბათ გამცეს... თუმცა ჯერ არაფერს ვიტყვი. იქნებ კიდევ არაა გვიან...

და ნოდარის თვალწინ წარმოუდგა ძმაბიჭების გაფითრებული სახეები, შრომა-გასწორების კოლონიიდან გაქცევა, ღვესა და უძილო ღამეები.

გაქცევა ცნობილი ქურდის — რეზო გავაშელის, გვამით ჩაიარა. კოლონიაში შემოსული თვითმცლელი ავტომანქანის მძღოლი პატიმრებმა წუთში შეჰკრეს, პირში ჩვარი ჩასწარეს და მანქანის ძარაში დააწვინეს. რეზო გავაშელი საჭეს მიუჯდა. ნოდარი და ორი პატიმარიც ძარაში ჩაწვინენ. რეზომ მანქანა აამუშავა და მავთულბით შემოსალტული კარისაკენ გააქანა. თოფიანმა მეთვალყურემ გვიან შეამჩნია მანქანაზე უცხო კაცი და გაჩერება ანიშნა. მაგრამ ავტომანქანა თანდათან უმატებდა სიჩქარეს. შემდეგ ყველაფერი სწრაფად მოხდა. კარის დაჯახებისა და გამტრევის ხმამ მანქანა შეაზანზარა. ცოტაც და ისინი უკვე სამშვიდობოს



იყვნენ. ამ ხმაურში აღარც სროლის ხმა გაუგიათ. ტყესთან მანქანა მიაგდეს და აქეთ-იქით გაიფანტნენ.

...ნოდარი მეზობლის ხმამ გამოაფხიზლა. ხან-შიშესულმა და წვერგაუბარსავმა კაცმა სიჩუმეს ველარ გაუძლო და ახალ ბინადარს გადამაღული პაპიროსი გაუწოდა.

— დაწყნარდი და ჩამოჯექი, თორემ ჩემს წლოვანებამდეც ვერ მიიღწევ. სიფიცხე ჩვენს საქმიანობაში არ გიშველის. შენ რაზე...

ნოდარიმ არაფერი უბასუხა. პაპიროსი გამოართვა და მოსაყიდებლად დაიხარა.

— შენისთანა ახალგაზრდა კაცისათვის ძნელი ასატანი იქნება ციხე, — განავრძო მოხუცმა და ნოდარისაკენ მიიწია. — მაინც რაზე ჩაგვსევს?

— ქურდობისათვის ვიჯექით. მალაზია გავტეხეთ და კაციც შემოგვაკვდა. შემდეგ კოლონიიდან გავიქეცი. და აი, ახლა შვეებულებიდან ისევ დაგვაბრუნეს, სცადა ხუმრობა ნოდარმა და მოხუცს ფრთხილად შეხედა.

— რაღაც ნაცნობი ხმა გაქვთ ბერიკაცო. მგონი საღაღაც მინახიართ.

— მე ძია სამსონი ვარ, — ჩაახველა მოხუცმა, — შენისთანა ბიჭები ბევრი ვამიწვრთნია და ბევრი საქმეც მიკეთებია; მაგრამ მოკვდა ის დრო. ახლა ძველ ქურდებსაც კი გაგვიჭირდა ცხოვრება. მე უკვე 60 დავახურდავე, მაგრამ პატიოსნების გზაზე მაინც ვერ დავდექი. ძნელი ყოფილა სისხლსა და ხორცში გამჭდარი საქმის გადაჩვევა.

ნოდარმა პაპიროსი გააბოლა, მოხუცს მიუახლოვდა და წყნარად ჰკითხა:

— დიდი ხანია ზიხართ?

— ჩემი ცხოვრების 16 წელი ციხეში გავატარე, — ამოიხვნეშა მოხუცმა, — ზოგი ციხის შემდეგ კაცი გახდა, მე კი სიჯილის საუკეთესო წლები ოხრად გადავყარე. მაგრამ რაც იყო იყო. ახლა გვიანაა სინანული. უბედურება ისაა, რომ ახალგაზრდებს აღარ სჯერათ ძველი ქურდებისა, თუმცა ისინი შეიძლება მართალნიც იყვნენ...

მოხუცმა ჩაახველა, შემდეგ ნარგადაკრულ საწოლზე ბებრულად მოიკეცა და ნოდარის ფრთხილად შემოხედა.

— აი, მე რომ შენოდენა ვიყო...

კედლების მიღმა უცებ ბავშვების ხმაური მოისმა. ორივენი გაჩუმდნენ. ნოდარი სწრაფად წამოდგა და საკანში სიარული დაიწყო. მას ნერვები ღლატობდა.

— ჯანიანი და მოვლილი ბიჭი სჩანხარ, ალბათ ცოდნაც გექნება — ალაპარაკდა მოხუცი. — პატრონი გყავს?

ნოდარის უკანასკნელი სიტყვა გულზე მოხვ-

და. ბებერმა მეგლმა ამ მოგონებით მას გულ გაუკაწრა.

— ჰოც და არაც, — რატომღაც ენის ბოძიკით უთხრა მან და გაჩუმდა.

— არეული ოჯახი ყოფილა, — მიუხედა მიხუცი და შუბლი მოიფხანა, — დიდი ხანია დაცილდნენ?

— 5 წელია.

და ნოდარის უცებ გაახსენდა ოჯახი, სკოლა, თავისი მეგობრები, გაახსენდა თავისი საყვარელი კრივი. რას აღარ უწინასწარმეტყველებდნენ მაშინ ახალგაზრდა მეორეთანრიგოსან მოკრივეს. და ეს იყო წინათ, 5 წლის წინათ...

ნოდარის შეგნებაში აწმყო გაქრა და წარსულით მოგონებამ შეიპყრო მთლიანად. ის ისევ ხუთი წლის წინანდელი ნოდარი იყო, სახლიდან მამის წასვლით გულმოსული, ოჯახარეული და ბრაზით აღსავსე. ნოდარის თვალწინ წარმოუდგა უბატრონო და ვაციებული კერა, ავადმყოფი დედის ცრემლები და თვითონაც უნებურად ცრემლი მოერიდა.

ეს იმ გახსენების, იმ ტკბილი და უშფოთველი სიყმაწვილის ცრემლები იყო ხუთი წლის წინ რომ დაკარგა დედასთან ერთად.

...ბებიანი დაროს ანაბრად დარჩენილი ნოდარი კალაპოტიდან ამოვარდა. სკოლის უკანასკნელ კლასში გაეცნო ის სვანეთის უბნის კალაპოტიდან ამოვარდნილ ბიჭებს. გაეცნო და პირუკუ შემობრუნდა მისი ცხოვრებაც. პატიოსან ცხოვრებასთან დამაკავშირებელი ძაფი, მამის მიერ ოჯახის მიტოვებისა და დედის გარდაცვალების შემდეგ, საბოლოოდ გაწყდა. ნოდარი გრძნობდა, რომ სულ უფრო და უფრო ეშვებოდა ფსკერისაკენ, მაგრამ უკვე აღარ შეეძლო შეჩერება. 17 წლის ბიჭმა სწავლაზე მალე აიყარა გული და მძაბიჭებისაგან გზააღდენილმა თავისი ცხოვრების მოწოდება ქურდობაში დაიწახა.

...წვრილმან ძარცვას სერიოზული საქმეები მოჰყვა. ავტომანქანების გატაცებიდან ბინების გატეხვაზე გადავიდნენ. მაგრამ თბილისში მაინც უჭირდათ. „მოწყურებულმა“ მძაბიჭებმა ისევ სოფლის მალაზიებს მიაშურეს.

სოფელი... ნოდარის ვერ წარმოედგინა თუ ის კაცის მკვლელობამდე მივიდოდა, მაგრამ მოხდა.

დეკემბრის მოწმენდილი ღამე იყო. ციდან მკრთალად იყურებოდა ლიმონისფერი მთვარე. გაყვიითლებულ ტყიდან ცივი ქარი ქროდა.

სოფლის მალაზიის დარაჯს პაპა გაიოზს იქვე პატარა ფიტრულის ჯიხური ეღდა. ღამის სიცივისაგან გათოშილი მოხუცი ღუმელს ანთებდა. და მალაზიის შემოვლის შემდეგ ცხვრის სქელ ქურქში გახვეული სითბოზე ისვენებდა.

ასე იყო იმ დამესაც. ბიჭებმა კარგად შეისწავლეს მალაზიის ყოველი კუნჭული. ჯერ კიდევ ორი დღის წინ ისინი სოფელში ნოდარის ბეზია დაროს ესტუმრნენ. სტუმრებმა დიდი ყურადღება გამოიჩინეს სოფლის კლუბისა და სამკითხველოს მიმართ და რამდენჯერმე მალაზიაშიც „შეიხედეს“. ვემოვნებით ჩაცმული ახალგაზრდების დანახვაზე არავის შეჰპარვია ეჭვი. ვინ იფიქრებდა, რომ ორი დღის შემდეგ ისინი სოფელს ქურდებდალ ეწვეოდნენ.

...თბილისში მოტაცებული მანქანა მალაზიიდან ცოტა მოშორებით გააჩერეს. გვიანი ღამის შუაშუ ლანდებდა ქცეულებმა რაღაც წაითათბირეს. შემდეგ ერთმა ფრთხილად დაუსტივინა და ცხვირბაჭუთა ომარის სიტყვით რომ ეთქვათ, „წარმოდგენა“ დაიწყო.

მაგრამ, სამწუხაროდ, წარმოდგენა იმაზე ადრე დამთავრდა, ვიდრე ვარაუდობდნენ. თორმეტი დღის შემდეგ სამივე მეგობარი გამოძიებულთან იჯდა.

3

მალაზიის გატეხვისა და დარაჯის მკვლელობის თაობაზე რაიონში დილითვე დარეკეს. რაიონილიციის ოპერატიულ ჯგუფთან და ექსპერტთან ერთად ადგილზე დათვალიერებას პროკურატურის გამოძიებელი სანდრო გოშაძე ესწრებოდა.

მალაზიასთან ზღვა ხალხი იდგა. საყარაულოო ჯიხურისათვის რკალი შემოერთყათ და არავის უშვებდნენ. ქალებს შუაში ჩაეყენებინათ პაპა გაიოზის მეთლღე, რომელიც ხმამაღლა ქეთითინებდა.

ხალხში გარეული ნოდარი ხმაკაკენდლიო იდგა. ვაფთორებული სახე და ამღვრეული თვალები მის ადღევებას ვერ მალავდა. ერთით კი ენუგეშებოდა გული. ეგონა რომ ამ „უჩინმაზინის საქმეს“ ვერაფერს გაუგებდნენ. მოხუცზე კი ნამდვილად წუხდა. პაპა გაიოზის მკვლელობა მან გვიან შეიტყო. ომარის სიტყვებმა — მოხუცი მხოლოდ გაბრუვდა და დილაღე ვედარ გაიღვიძებო, — მოატყუა.

ხანშიშესული გამოძიებელი ყურადღებით ათვალიერებდა ვატეხილი მალაზიის თაროებსა და დარაჯის ჯიხურს, დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. სასწრაფოდ უნდა მონახულიყო დანაშაულის ჩადენის კვალი და პროკურატურის გამოძიებელი მილიციის ოპერატიულ მუშაკებთან ერთად საქმეს შეუდგა.

მალაზიის დათვალიერებისას გამოირკვა, რომ დამნაშავეს კარის შემტვრევისას ალბათ დაეზინებინა ხელი, რადგან კარის სახელურის სისხ-

ლის შეყინული წვეთები ეტყობოდა. იქვე ეგდო რკინის მოკლე ლოში, რომელსაც ერთი შეხედვით რაიმე შესამჩნევი კვალი არა ჰქონდა. მძარცველებს დახლზე დაეტოვებინათ გახსნილი შამპანურის ბოთლი, რომელსაც ნახევარი აქლდა.

მალაზიიდან გატაცებული იყო დაახლოებით 3 ათასი მანეთის ღირებულების საქონელი. დათვალიერებით ზუსტად დადგინდა გატაცებული საქონლის ასორტიმენტი და ოდენობა. ექსპერტის დასკვნისათვის. შამპანურის ბოთლი და სისხლის ლაქების კვალი ამოღებული იქნა.

მალაზიის დათვალიერების შემდეგ გამოძიებელი ექიმი-ექსპერტთან ერთად გვამის დათვალიერებას შეუდგა.

გვამი კარისაკენ ზურგით იყო წაქცეული. მას დაბამული შარავლი და რუხი ფერის გახუნებული ჯარისკაცური თბილი ხალათი ეცვა. შუბლის არეში მიყენებული ჭრილობიდან წამოსული სისხლი წარბებთან შემხმარყო. გვამს სახეზე სისხლი სხვა ადგილას არ ეტყობოდა. ალბათ დარტყმის მომენტში დარაჯს კარებთან დავარდნილი ძველი ტყავის ქუდი თავზე ეხურა. სწორედ ამ ქუდმა შეუშალა ხელი სისხლის გაშეფხებას.

— მოხუცი მოკლეს მაშინ, როცა ჯიხურში შედიოდა — ჩაილაპარაკა გამოძიებელმა და ლუმელიც მოსინჯა, — კარებთან გახეული შეშის ნაჭრები ხელში სჭერდა დარაჯს. რაც შეეხება მკვლელს ის ეტყობა მოხუცზე ადრე შეიპარა ჯიხურში, რადგანაც ეს კარი შეგინდან არ იკეტება.

ჯიხურის კარს საკეტი მხოლოდ გარედან ჰქონდა. ლუმელიც ცივი იყო. ეტყობოდა მოხუცს ვერ მოესწრო მისი დანთება.

— დარაჯი თავში ბლაგვი საგნის დარტყმითა მოკლული. თქვენის აზრით ბატონო გიორგი შუბლზე რისგან შეიძლება იყოს მიყენებული ასეთი ჭრილობა? — მიუბრუნდა გამოძიებელი ექსპერტს.

ექიმი დაიხარა და გვამს ნაჭრილობები ფრთხილად და დაკვირვებით გაუსინჯა. შუბლზე გარკვეული შეიმჩნეოდა მძიმე საგნის დარტყმისაგან ჩაშვებული ზოლი.

— ასეთი ჭრილობა შეიძლება გამოწვეული იყოს ლომით, ან რკინის სხვა რაიმე გრძელი ჯოხით, ან...

— ლომი! — ახლად მოავონდა გამოძიებელს მალაზიის კარებში დადგებული რკინა. იმავე წუთს მოატანინა და დახედა.

— აი ისიც, — ხმამაღლა წამოიძახა სანდრომ და მილიციის ახალგაზრდა კაპიტანს ლომის ბოლოზე შერჩენილი სისხლის ლაქისმაგვარი



დაანახვა. ალბათ ეს ჩაარტყეს მოხუცს და შემდეგ ამითვე გატეხეს მალაზიის საეკტი.

მილიციის მხიარული სახის კაპიტანმა თავი დაუქნია. სანდრო გოშაძე სწორი იყო.

— აბა ვაზომეთ ამ ჯიხურის სიმაღლე — მიუბრუნდა სანდრო ერთ ქერა მილიციელს და ისევ ლომს დახედა.

— სიმაღლე 2 მეტრი და 30 სანტიმეტრი.

— ასე, — თავისთვის ჩაილაპარაკა გამომძიებელმა. ლომის სიგრძე კი 60 სანტიმეტრს აღწევს. რაკი ლომის მოქნევისას ჯიხურის ქერს არ დასტყობია რაიმე კვალი ე. ი. ...

— აა... — მიუხედა მილიციის ახალგაზრდა კაპიტანი — მკვლელი ეტყობა დაახლოებით ამ მოკლე დარაჯის ტანისა. თქვენ მართალი ხართ ამხანაგო სანდრო. მკვლელი ლომის მთელი ძალით მოქნევის დროსაც კი ვერ შესწევდენია ქერს...

4

ნოდარი იმავე საღამოს თბილისში იყო. ნანახი და გაგონილი მეგობრებს აცნობა. მათ უკვე „დაეზინავებინათ“ საქონელი და ახლა ვასაღების თადარიგს შესდგომოდნენ. ნოდარის მონაყოლს მათზე შთაბეჭდილება არ მოუხდენია. დარაჯის სიკვდილსაც გულგრილად შეხვდნენ.

— მოხუცი არ უნდა მოგვეკლა, მოხუცი — იმეორებდა თავისთვის გულში ნოდარი და დარაჯის მტირალი მეუღლე აგონდებოდა.

5

როცა წარმოსადები ტანის, ხანშიშესულმა პროკურორმა მთელი შეკრებილი მასალა ვაიცნო, გამომძიებელს სანდრო გოშაძეს საქმის დასაწყისი მოუწონა და რამდენიმე კონკრეტული მითითება მისცა.

ავტომაქანანის კვალის ძებნამ შედეგი არ გამოიღო. მოხერხდა მხოლოდ შამპანურის ბოთლზე დარჩენილი ხელის ორი თითის ანაბეჭდის მიღება. კრიმინალისტიკურმა ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ მალაზიის კარის სახელურზე და ლომზე შერჩენილი ლაქები ნამდვილად სისხლის წვეთები იყო.

გამომძიებლის აზრით მკვლელობა აშკარად

გაძარცვის მიზნით იყო ჩადენილი. მოხუცი გაიოზი უწყინარი კაცი იყო და სოფელში მტერი არავინ ჰყავდა. საქმისათვის ხელისჩასაჭიდი სხვაგან უნდა ეძებნათ.

და როცა სოფელში იმ ხანებში ჩამოსული უცხო სტუმრებისა და საეკვიო ყოფაქცევის აღმდინების სიას აზუსტებდნენ — მალაზიის გამყიდველმა ნოდარი და მისი ორი ამხანაგი გაიხსენა.

გავიდა რამდენიმე დღე. საქმე ადგილიდან არ იძვროდა. რჩებოდა გამომძიებლისათვის ერთადერთი იმედი. ნოდარისა და მისი ორი უცნობი მეგობრით მილიციის ორგანოები დაინტერესდნენ.

ნოდარი იმ ამბის შემდეგ სოფელში აღარ გამოჩენილა. ძმებიც მათ გატაცებული ნაღვლის გაყიდვა მოახერხეს. ქეიფებმა და დროსტარებამ უხშირა.

მილიციის ორგანოების მიერ სასწრაფოდ დადგინდა ნოდარისა და მისი მეგობრების ეზონობა და საქმიანობა. მალე სამივე საეკვი ახალგაზრდა დააკავეს.

ასოვს ნოდარის, ახლაც კარგად ასოვს მეგობრების გაფითრებული სახეები. — არაფერი იცინა და ვერც გაიგებნო, — მოასწრო ვადაჩურჩულება შიშისაგან მხრებში მოხრილმა ომარმა.

...შემდეგ დაკითხვები. პირველი შეხვედრისას თავის ასაკზე ახალგაზრდა შესახებ მისი გამომძიებელი რატომღაც გამოუცდელი მოეჩვენა ნოდარს. მაგრამ მალე მიხვდა თავის შეცდომას. რამდენიმე კითხვის შემდეგ ნოდარი დაიბნა. ხოლო ამხანაგებთან დაპირისპირებამ და ხელის თითის ანაბეჭდების დამთხვევამ საბოლოოდ დააწმენა იგი თავიანთი ჯიუტობის უსუსურობაში.

ნოდარიმ დაპატიმრების შემდეგ ვაიგო აღლერში „ჩავარდნის“ ისტორია. შრომა-გასწორების კოლონიიდან გაქცეულებზე საგანგებო ძებნა გამოცხადდა. და სწორედ იმ საღამოს, როცა ნოდარი სხვისი ადგილზე ბილეთით თვითმფრინავში აღიოდა, იგი მორიგე მილიციელმა იცნო. სასწრაფოდ გამოძახებულმა მილიციის სამმართველოს გამომძიებელმა კი უკანასკნელ წუთს მიუწყო თვითმფრინავის გასვლას და ამიტომ იძულებული იყო ნოდარს ერთდროულად ჩაჰყოლოდა.

...და აი ისევ საკანი. ნოდარი ფანჯარასთან იდგა. სიჩუმე იყო. წვერგაუბარსავ მოხუცს უკვე ეძინა.

— მე რომ შენოდენა ვიყო... — თითქოს ვიღაც ჩასძახოდა ყურში გარინდებულ ბიჭს ძველი ქურდის სიტყვებს და ნოდარი ვედარ არჩევდა ეს მოწოდება იყო თუ ბედისწერა.

...საერთო საკანში გადაყვანის რამდენიმე დღის შემდეგ ციხის ბიბლიოთეკიდან წიგნი მოითხოვა. განგებ თუ შემთხვევით მას ბორის პოლევოის „ამბავი ნამდვილი ადამიანისა“ მისცეს. ნოდარი ამ წიგნს დიდხანს კითხულობდა. თითქოს მთელი საუკუნე იყო გასული, რაც მას წიგნი აღარ აეღო ხელში. შემდეგ ერთ წიგნს მეორე მოჰყვა.

...იმ დღესაც საკანში ვიღაც ახლადშემოყვა-

ნილი პატიმრებთან ფეხბურთის ამბებზე საუბრობდა. რკინის ბაღიან ფანჯარაში მორცხვად იჭვრიტებოდა იენისის მზე. ყველანი უსმენდნენ.

ნარზე წამოწოლილი ნოდარი კითხულობდა. ახლა მას გვერდზე მხატვრულ ლიტერატურასთან ერთად სკოლის სახელმძღვანელოები ეწყო. ის ციხეში აპირებდა საშუალო სკოლის პროგრამის შეთვისებას. ეს მისი ოცნება იყო და მას უკვე ბუნდოვნად ესახებოდა მომავალიც. რა ვუყოთ რომ წინ მიიმე 8 წელი იყო გასავლელი. პირველი დამბოძკავი ჯაჭვი გაწყვეტილი იყო. ნოდარ ერაძე ცხოვრების გიგანტურ კიბეზე ნელა აღიოდა ზევით და უკვე ამის შეგნება აძლევდა მას დაუოკავ ენერგიას.



სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის

რ ე რ გ ე ნ ი დ ე ბ ა № 3

ქ. მოსკოვი,

1963 წლის 18 მარტი.

იმის შესახებ, თუ როგორ ასრულვან სასამართლო ორგანოები სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1961 წლის 12 სექტემბრის № 6 დადგენილებას „სასამართლოთა მიერ იმ პირებთან ბრძოლის გაქრობის თაობაზე კანონმდებლობის გამომავლის პრაქტიკის შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ანტისაზოგადოებრივ პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან“

მოისმინა და განიხილა რა რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ამხ. ლ. სმირნოვის, ლიტვის სს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ამხ. ა. ლ. ლიკაის და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის ამხ. გ. ზ. ანაშკინის მოხსენებები იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებენ სასამართლო ორგანოები სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1961 წლის 12 სექტემბრის № 6 დადგენილებას, აგრეთვე გარჩია რა ანტისაზოგადოებრივი პარაზიტული ელემენტების საქმეებზე სასამართლოთა პრაქტიკის განვითარების მასალები, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი აღნიშნავს, რომ ბოლო დროს რუსეთის სფს რესპუბლიკის, ლიტვის სს რესპუბლიკისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო ორგანოებმა რამდენადმე გააუმჯობესეს ამ საქმეთა გარჩევის ხარისხი, უფრო სწორად იყენებენ კანონმდებლობას იმ პირებთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ანტისაზოგადოებრივ პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან.


რუსეთის სფს რესპუბლიკის, ლიტვის, ყაზახეთის, აზერბაიჯანისა და ესტონეთის მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესმა სასამართლოებმა შეამოწმეს, თუ როგორ ასრულებენ რესპუბლიკების სასამართლოები სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1961 წლის 12 სექტემბრის დადგენილებას, განიხილეს პლენუმებზე ამ შემოწმების შედეგები და მისცეს სასამართლოებს სახელმძღვანელო განმარტებანი. ბევრი სასამართლო უფრო ხშირად სწავლობს და აწვავს ამ საქმეთა განხილვის

პრაქტიკას და შეაქვს შესაბამის ორგანოებში წარდგინებანი იმის შესახებ, რომ აღმოიხვედრას მიწვევები და პირობები, რომლებიც ხელს უწყობენ ცალკეულ პირთ გასწიონ ანტისაზოგადოებრივი ცხოვრება.

ამასთან ერთად პლენუმი აღნიშნავს, რომ ზოგიერთი რაიონის (ქალაქის) სახალხო სასამართლო ამ საქმეებს არ აქცევს სათანადო ყურადღებას, უშვებენ ისეთ შემთხვევებს, როცა დანაშაულის ჩამდენ პირს სისხლის სამართლის სასჯელის მთავრად, ადმინისტრაციულ სასჯელს უფარდებენ.

მასალთა წინასწარი შემოწმების და სასამართლოების მიერ ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის დროს მუდამ როდი ავლენენ პასუხისმგებლობის მიცემულთა უკანონოდ შექმნილ ქონებას, მისი შექმნის წყაროებს, რის შედეგადაც კონფისკაციას არ უშვებიათ არაშრომითი გზით მოპოვებულ ფასეულობებს.

ზოგიერთი სასამართლო მუშაკებს საჭირო დასკვნა არ გამოუტანიათ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობიდან და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1961 წლის 12 სექტემბრის დადგენილებიდან და მათ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიებებს უფარდებენ არა მარტო მათ, ვინც შრომისუნარიანია, ჯიუტად არ ეწევა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და განაგრძობს პარაზიტულ ცხოვრებას, მიუხედავად იმისა, რომ მის მიმართ გამოიყენეს აღმზრდელობითი სახის ღონისძიებანი, დაეხმარნენ სამუშაოზე მოწოდებაში და გააფრთხილეს საზოგადოებრივმა და სახელმწიფო ორგანოებმა, არამედ იმ პირებსაც, რომელთაც ვისაც ასეთი გამაფრთხილებელი ღონისძიებანი არ შეუფარდებიათ. სასამართლოების მუ-



შაობის პრაქტიკაში იყო შემთხვევები ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიებათა გამოყენებისა იმ პირობისადმი, რომლებიც დროებით არ მუშაობენ და რომლებსაც არ დაუშვიათ რაიმე ფაქტი, რომელიც მოწმობდეს მათ ანტისაზოგადოებრივ პარაზიტულ არსებობას.

ცალკეული სასამართლოები არასაკმარისად აფასებენ იმას, რომ კანონმდებლობას იმ პირობებთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ანტისაზოგადოებრივ პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან გამაფრთხილებელი მნიშვნელობა აქვს, არასწორად ისახავენ თავიანთ ამოცანად პასუხისგებაში მიცემულ პირთა მხოლოდ გასახლება, რაც იწვევს კანონიერების უხეშ დარღვევას.

მიუხედავად სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მიერ წინათ მიცემული განმარტებისა, სახალხო სასამართლოები არ იყენებენ თავიანთ უფლებას საჭირო შემთხვევებში პასუხისგებაში მიცემულ პირს მისცენ დამატებითი ვადა სამუშაოზე მოსაწყობად და თავისი ყოფაქცევის შესაცვლელად. მუდამ როდი ითვალისწინებენ მიზეზებს, რამაც გამოიწვია შრომითი საქმიანობის შეწყვეტა, რის შედეგადაც უფარდებენ დაუსაბუთებელ დადგენილებებს გასახლების შესახებ.

არსებობს ცალკე შემთხვევები ადმინისტრაციულ ღონისძიებათა შეფარდებისა არაპრომისუნარიან პირებისადმი, კერძოდ, იმ პირებისადმი, რომლებმაც საპენსიო ასაკს მიაღწიეს, აქვთ ინვალიდობის ესა თუ ის ჯგუფი, ან დროებით დაკარგეს შრომისუნარიანობა, ქალებისადმი, რომლებსაც მცირეწლოვანი ბავშვები ჰყავთ, პირებისადმი, რომლებიც ავად არიან, რაც ხელს უშლის მათ შრომითს საქმიანობას და რომლებსაც სპეციალური მკურნალობა ესაჭიროებათ, აგრეთვე პირებისადმი, რომლებიც ეწევიან კანონით დაშვებულ რეწვას, აქვთ რა ამაზე შესაბამისი ნებართვა.

სახალხო სასამართლოები თავიანთ წარმოებაში ხშირად იღებენ საქმეებს, რომლებშიც არასაკმარისადაა გამორკვეული გარემოებანი, რაც ახასიათებს დამრღვევის პიროვნებას, მის შრომით წარსულ საქმიანობას, ჯანმრთელობის მდგომარეობას, ბოლო სამუშაო ადგილიდან განთავისუფლების მიზეზებს, არ არის გამორკვეული ადმინისტრაციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აზრი განთავისუფლებულის წარმოებაში დაბრუნების შესაძლებლობის შესახებ, კოლექტივისათვის ხელახლად აღსაზრდელად გადაცემით, აგრეთვე იღებენ საქმეებს, რომლებშიც არ არის გამორკვეული სხვა, არსებითი

მნიშვნელობის მქონე გარემოებანი, ხოლო საქმეთა განხილვის დროს ამარტივებენ განხილვის წესს, არ იძახებენ სამსჯავრო სხდომაზე საჭირო მოწმეებს, კმაყოფილებიან რა მხოლოდ მილიციის ორგანოების დასკვნის გამაოქმევნებითა და პასუხისგებაში მიცემულის გამარტებების მოსმენით. იმ პირთა მიმართ, რომლებიც შემოსავალს იღებენ მიწის ნაკვეთის, საცხოვრებელი ფართობისა და სხვათა ექსპლოატაციისაგან, მუდამ როდი ირკვევენ მიღებული თანხის ოდნობას და იმას, არის თუ არა ეს შემოსავალი გამდიდრების წყარო.

სასამართლოები არ ეხმარებიან თანამდებობის პირთა უკანონო მოქმედებას, რაც გამოიხატება იმაში, რომ დაუსაბუთებლად აძლევენ პასუხისგებაში ცალკეულ მოქალაქეებს, ართმევენ მათ პასპორტებს, შრომის წიგნაკებსა და სხვა დოკუმენტებს, რომლებიც საჭიროა სამუშაოზე მოსაწყობად, უკანონოდ აკავებენ და აპატიმრებენ მოქალაქეებს იმ დროს, როცა არ არსებობს მონაცემები, რომ პასუხისგებაში მიცემული პირი თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას.

განსაზღვრავენ რა გასახლების ვადას, სასამართლოები ყოველთვის როდი ითვალისწინებენ დამრღვევის ოჯახურ მდგომარეობას, მისი ანტისაზოგადოებრივი ყოფაქცევის გამომწვევ მიზეზებს, მისი ხელახლა აღზრდისა და გამოსწორების შესაძლებლობას. ამის შედეგად გასახლების ვადის დანიშვნის დროს სასამართლოები ცალკეულ შემთხვევებში შემწყხარებლურად ეპყრობიან ბოროტ ანტისაზოგადოებრივ ელემენტებს და იმავე დროს დაუსაბუთებლად უნიშნავენ გასახლების ხანგრძლივ ვადებს პირთ, რომელთა გამოსწორება ამახ არ მოითხოვს.

ბევრი რაიონის (ქალაქის) სახალხო სასამართლო არღვევს საქმეთა განხილვის ვადებს, რაც ამცირებს ანტისაზოგადოებრივ ელემენტებთან ბრძოლის ეფექტურობას.

ზოგიერთი სახალხო სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილებათა ხარისხი დაბალია. ამ დადგენილებებში არ არის გამოაშკარავებული რაში მდგომარეობს პასუხისგებაში მიცემული პირის ანტისაზოგადოებრივი ყოფაქცევა, ან არ არის დაკონკრეტებული ეს ქმედობანი, ხოლო დამრღვევის მოსაზრებანი უკუგდებული არ არის.

ბევრი რაიონის (ქალაქის) სახალხო სასამართლო არასაკმარისად აფასებს ამ საქმეებზე სასამართლო პროცესების აღმზრდელი მნიშვნელობას, იშვიათად არჩევენ ამ საქმეებს გამსვლელ სესიასზე, საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

ზოგჯერ არ ითვალისწინებენ, რომ გასახლებულითა ხელახლა აღზრდა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მათთვის შექმნილ შესაბამის



შრომითა და საყოფაცხოვრებო პირობებზე, აღმზრდელითი მუშაობის დონეზე. ამავე დროს, რაიონის სახალხო სასამართლოები, არჩევენ რა წარდგინებებს გასასწავლელთა შრომისათვის თავის არიდების შესახებ და საქმეებს გასასწავლების აღვლელიდან გაქცევის შესახებ, არ სწავლობენ ამ და სხვა სამართლის დარღვევათა მიზეზებს და არ ახორციელებენ ღონისძიებებს იმ პირობების აღმოსაფხვრელად, რომლებიც ხელს უწყობენ მათ ჩადენას.

აღნიშნული ნაკლოვანებანი რაიონის (ქალაქის) სახალხო სასამართლოების საქმიანობაში იმ პირობათა საქმეების განხილვაში, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ანტისაზოგადოებრივ პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან, აიხსნება უმთავრესად იმით, რომ ზოგიერთი სასამართლოს მუშაკები არასაკმარისად აფასებენ კანონიერების მტკიცედ დაცვის საჭიროებას ადმინისტრაციულ დარღვევათა საქმეების განხილვის დროს, აგრეთვე უმაღლესი, სამხარეო და საოლქო სასამართლოების ჯერ კიდევ სუსტი კონტროლით სახალხო სასამართლოების მუშაობისადმი.

იმ მიხედვით, რომ შემდგომ ამაღლდეს საქმეთა სასამართლო განხილვის სარისხი და დამყარდეს ერთიანობა სასამართლოთა მიერ იმ პირობებთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკაში, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ანტისაზოგადოებრივ პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ა დ გ ე ნ:

1. მიტკიცეს სასამართლოების ყურადღება იმას, რომ ანტისაზოგადოებრივ პარაზიტულ ელემენტებთან ბრძოლის შეუსუსტებლად, მათ ასეთი საქმეები უნდა განხილონ კანონიერების უმტკიცესი დაცვის საფუძველზე, რათა პირებმა, რომლებიც ბოროტად არიდებენ თავს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ანტისაზოგადოებრივ პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან, ავგონ კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხი, ხოლო ამაში უდანაშაულო მოქალაქეებს არ დაეღოთ ადმინისტრაციული სასჯელი.

წინადადება მიეცეთ სასამართლოებს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1961 წლის 12 სექტემბრის № 6 დადგენილების შესრულების უზრუნველყოფით აღმოფხვრან შემოადანიშნული ნაკლოვანებანი პარაზიტული ელემენტების მიმართ საქმეთა განხილვაში.

განმარტოს სასამართლოებს, რომ საფუძველი ადმინისტრაციული შემოქმედების იმ ღონისძიებათა გამოყენებისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების ბრძანებულებებით, არის ის, რომ დადგინდეს შრომის-

უნარიანი პირის ანტისაზოგადოებრივი პარაზიტული არსებობა, რაც საშუალებას აძლევს მას უშრომლად იცხოვროს საზოგადოების ხარჯზე.

2. რჩევა მიეცეთ რაიონის (ქალაქის) სახალხო სასამართლოებს საქმეები ანტისაზოგადოებრივი ელემენტების შესახებ უფრო სწორად გაარჩიონ გამსვლელ სესიებზე საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, სახლმართველობებში საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

იმ მიხედვით, რომ ამაღლდეს სასამართლო გადაწყვეტილებათა აღმზრდელითი შემოქმედება გასასწავლელ პირთა მიმართ, წარდგინებანი მათი ვალდებულ განთავსუფლების შესახებ, ისევე როგორც დასასტუმრების ადგილებში შრომისათვის თავის ამრიდებელთათვის გამასწორებელი სამუშაოების დანიშვნის შესახებ და გამასწორებელ სამუშაოებისათვის თავის არიდების შემთხვევაში თავისუფლების აქვეითის დანიშვნის შესახებ, აგრეთვე საქმეები გასასწავლელთა მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ, როგორც წესი, განხილულ იქნას დასასტუმრების ადგილებში.

3. სასამართლოებმა თავიანთ წარმოებაში არ უნდა მიიღონ საქმეები, რომლებზედაც ზერდებულა შემოწმებელი მასალები. იმ შემთხვევაში, როცა შეუძლებელია შეიგნოს საქმის მასალები მისი მოსახმენად მომზადების პროცესსა და სასამართლო განხილვის მსვლელობაში, სასამართლომ უნდა გამოიტანოს დადგენილება საქმის დაბრუნების შესახებ დამატებითი შემოწმებისათვის.

იღებენ რა საქმეებს თავიანთ წარმოებაში, სასამართლოებმა უნდა შეამოწონ, რომ მილიციის ან პროკურატურის დასკვნები დაწერილებით გადმოსცემდნენ საქმის ყველა გარემოებას: ფაქტებს, რომ პირი ეწევა ანტისაზოგადოებრივ პარაზიტულ ცხოვრებას, მისი არსებობის წყაროებსა და მის მიერ ჩადენილ ანტისაზოგადოებრივ საქციელს, მონაცემებს, პასუხისგებაში მიცემის ვინაობის შესახებ (ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური პირობები, წარსული შრომითი საქმიანობა, ნასამართლობა); აგრეთვე დასკვნებს პასუხისგებაში მიცემული პირის ბრალეულობის შესახებ.

საქმეში უნდა იქნეს მასალები, რომლებიც ადასტურებენ დასკვნაში გადმოცემულ ფაქტებსა და გარემოებებს.

4. დაეკისროს სასამართლოებს ამაღლონ იმ პირთა საქმეების განხილვის სარისხი, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან.

სასამართლოებმა ეს საქმეები უნდა განიხი-



ლონ იმ წესით, რომელიც უზრუნველყოფს სწორი და დასაბუთებული დადგენილებების გამოტანას. პასუხისგებაში მიცემულ პირს უნდა მიეცეს შესაძლებლობა გაეცნოს საქმის მასალებს, აღძრას შუამდგომლობა დამატებითი მონაცემების, მათ შორის დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ და მოწმეების გამოძახების შესახებ. სამსჯავრო სხდომაზე გულდასმით უნდა გამოიკვირონ ყველა შეგროვილი დამამტკიცებელი საბუთი, მოისმინონ და შეამოწმონ სამსჯავრო სხდომაზე გამოძახებული ყველა პირის განმარტებანი. მოწმეთა დაკითხვისა და საქმეში არსებული დამამტკიცებელი საბუთების გამოკვლევის შემდეგ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება უნდა მიეცეს დამატებითი განმარტება მისცეს სასამართლოს.

იმ შემთხვევაში, როცა სამსჯავრო სხდომაზე მონაწილეობს პროკურორი ან როცა პასუხისგებაში მიცემული პირი შუამდგომლობს უზრუნველყონ იგი დაცვით, სასამართლომ საქმეში მონაწილეობისათვის უნდა დაუშვას დამცველი.

მოწმის სახით სამსჯავრო სხდომაზე გამოძახებულ პირთ უნდა განემარტოთ მათი მოვალეობა მისცენ სასამართლოს სწორი ჩვენება და მათი პასუხისმგებლობა ცრუ ჩვენების მიცემისათვის.

გასახლების ვადის დანიშვნა უნდა ხდებოდეს მტკიცე ინდივიდუალურიობით, დამრღვევის პიროვნების, მისი ასაკის, ჩადენილი სამართლის დარღვევის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათისა და ხარისხის და საქმის იმ გარემოებათა გათვალისწინებით, რომლებიც ამსუბუქებენ და ამძიმებენ პასუხისმგებლობას.

სასამართლოთა მიერ გამოტანილი დადგენილებანი დაწვრილებით უნდა იყოს დასაბუთებული, შეიცავდნენ კონკრეტულ მონაცემებს, რომლებიც მოწმობენ იმ პირის ანტისაზოგადოებრივი პარაზიტული ცხოვრების შესახებ, რომელსაც შეეფარდა აღმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიება.

5. საქმის კონკრეტულ გარემოებებზე და პასუხისგებაში მიცემულის ვინაობაზე დაყრდნობით სასამართლოებმა უნდა განიხილონ საკითხი იმის შესაძლებლობის შესახებ, რომ დამნაშავეს მიეცეს დამატებითი ვადა თავისი ყოფაქცევის შესაცვლელად და სამუშაოზე მოსაწყობად, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ამაზე შუამდგომლობს საზოგადოებრივი ორგანიზაცია ან მშრომელთა კოლექტივი, რომლებიც ვალდებულებას კისრულობენ სამუშაოზე მოაწყონ დამნაშავე და ხელახლა აღზარდონ იგი.

6. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესმა სასამართლოებმა, სამხარეო და საოლქო სასამართლოებმა გააძლიერონ კონტროლი სახალხო სასამართლოების მიერ ანტისაზოგადოებრივი პარაზიტული ელემენტების მიმართ მასალების გადაჭრის კანონიერებისადმი, პერიოდულად განაზოგადონ სასამართლო პრაქტიკა, განახორციელონ შემოწმება ადგილებზე და ქმედითი ზომები მიიღონ, რათა აღმოფხვრას და თავიდან აცილებულ იქნას ნაკლოვანებები და შეცდომები სახალხო სასამართლოების მუშაობაში.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ბ. გორკინი

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მდივანი ი. ბრინზანიძე

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის

რეკომენდებები № 4

ქ. მოსკოვი,

1963 წლის 18 მარტი.

სამოქალაქო საქმეებსა და სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლოს ნაპრობლემათა აღმოფხვრის უზრუნველყოფის მიზნით

სამოქალაქო საქმეებსა და სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლოს ხარჯების გააღწევის უზრუნველყოფის მიზნით, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლოების მუდამ როლი იცავენ მოქმედ კანონმდებლობას ამ საკითხებზე, არსებით შეცდომებს უშვებენ. ხშირად სამოქალაქო საქმეებზე სასარჩელო განცხადებებისა და საკასაციო საჩივრების მიღების დროს სასამართლოები არ ახდენენ კანონით გათ-

ვალისწინებულ გადასახადს ან არასწორად განსაზღვრავენ ამ გადასახადის ოდენობას. მუდამ როლი ითვალისწინებენ, რომ საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც სასამართლომ გასწია და სახელმწიფო გადასახადი, რომლისგანაც მოსარჩელე გათავისუფლდა, უნდა გადახდეს მოპასუხეს სახელმწიფოს სასარგებლოდ სასარჩელო მოთხოვნათა დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორ-



ციულად არღვევენ რა რუსეთის სფს რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 45 მუხლს და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო საპროცესო კოდექსების შესაბამის მუხლებს, ბევრი სასამართლო მხარეებისაგან არ მოითხოვს იმ თანხების წინასწარ შეტანას, რომლებიც საქირა იმისათვის, რომ აწარმოებდნენ მოწმეებისა და ექსპერტების გამოძახების ხარჯები, აგრეთვე ადგილობრივი დათვალიერების მოხდენასთან დაკავშირებული ხარჯები.

სისხლის სამართლის საქმეების გარჩევის დროს სასამართლოები ხშირ შემთხვევაში არ იხილავენ მსჯავრდებულისათვის სასამართლოს ხარჯების გადახდევინების საკითხს, მუდამ როდი მოითხოვენ საქმეს დაერთოს ცნობები წინასწარი გამოძიებისა და მოკვლევის წარმოების დროს გაწეული სასამართლოს ხარჯების შესახებ; ხშირად სასამართლოს ხარჯებს ახდევინებენ მსჯავრდებულებს სოლიდარული წესით, რაც კანონს არ შეესაბამება.

სასამართლოს მუშაობაში არსებითი ნაკლოვანებაა ეგრეთვე ის, რომ ისინი სუსტ კონტროლს უწევენ სასამართლოს ხარჯების გადახდევინების შესახებ გადაწყვეტილებათა და განაჩენთა აღსრულებას.

სამოქალაქო საქმეებსა და სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლოს ხარჯების გადახდევინების პრაქტიკაში ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ადგენს:

1. მიექცეს სასამართლოების ყურადღება იმას, რომ მტკიცედ შეასრულონ კანონის მოთხოვნები სამოქალაქო საქმეებსა და სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლოს ხარჯების გადახდევინების შესახებ.

2. სასამართლოს ხარჯები სამოქალაქო საქმეებზე შედგება ერთიანი სახელმწიფო გადასახადისა და საქმის წარმოების ხარჯებისაგან, ე. ი. თანხებისაგან, რომლებიც საქირა იმისათვის, რომ დაიფაროს მოწმეებსა და ექსპერტებზე გაწეული ხარჯები და ადგილობრივი დათვალიერების მოხდენასთან დაკავშირებული ხარჯები.

3. მიექცეს სასამართლოების ყურადღება იმას, რომ შეასრულონ რუსეთის სფს რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 45-ე მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო საპროცესო კოდექსების შესაბამისი მუხლების მოთხოვნები, რომელთა თანახმად მხარე, რომელიც სასამართლოს თხოვს გამოიძახოს მოწმე ან ექსპერტი, ან მოახდინოს ადგილობრივი დათვალიერება, ვალდებულია წინასწარ შეიტანოს მოწმეებისა და ექ-

სპერტიზის ხარჯების ასანაწლავურებლად საქირა თანხა.

4. იმ შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების 23-ე მუხლით, აგრეთვე სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სხვა კანონმდებლობით, გადასახადი და ხარჯები სამოქალაქო საქმის წარმოებისათვის სახელმწიფოს სასარგებლოდ არ უნდა იქნეს გადახდევინებული. ამასთან ერთად სასამართლოებმა მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ მათ უფლება არა აქვთ მოსარჩელე ან მოპასუხე განთავისუფლონ იმ სასამართლოს ხარჯებისაგან, რომლებიც გადახდევინებულ უნდა იქნას ერთერთი მხარის სასარგებლოდ. სამოქალაქო საქმეზე მხარეთა სასამართლოს ხარჯებისაგან განთავისუფლების საკითხი უნდა გადაიჭრას სასარჩელო განცხადების მიღების დროს, ხოლო საქირა შემთხვევაში-საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანის დროს.

5. განქორწინების საქმეებზე სასამართლოს შეუძლია განსაზღვროს თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს ერთმა ან ორივე მეთულემ მათთვის განქორწინების მოწმობის გაცემის დროს. განსაკუთრებულ შემთხვევებში, მატერიალური მდგომარეობის მხედველობაში მიღებით, სასამართლოს შეუძლია განთავისუფლოს ერთი ან ორივე მხარე განქორწინების მოწმობის გაცემის დროს კანონით გათვალისწინებული თანხის გადახდასაგან.

6. განმარტებულ იქნას, რომ სახელმწიფო გადასახადი რუსეთის სფს რესპუბლიკის საპროცესო კოდექსის 36-ე მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო საპროცესო კოდექსების შესაბამისი მუხლების თანახმად უნდა გამოითვალოს:

ა) ალიმენტების გადახდევინების ყველა სარჩელე — ერთი წლის განმავლობაში ფულადი გადასახადების ერთობლიობის მიხედვით, ხოლო ალიმენტების დავალიანების გადახდასაგან განთავისუფლების, ალიმენტების ოდენობის შემცირების ან გადიდების სარჩელეებზე — იმ თანხის მიხედვით, რა თანხითაც მცირდება ან ღიღდება ალიმენტების ოდენობა, მაგრამ არაუმეტეს ერთი წლის განმავლობაში ფულადი გადასახადების ერთობლიობისა.

ბ) დასახირებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით მიყენებული ზარალის ასანაწლავურებლად მუდმივი და უვადო ფულადი გადასახადების, აგრეთვე სულ ცოტა სამი წლის ვადით განსაზღვრული ფულადი გადასახადების სარჩელეებზე — სამი წლის განმავლობაში ფულადი გადასახადების ერთობლიობის მიხედვით,

თუ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული; გარყვეული ვადით ზარალის ანაზღაურების ოდენობის შემცირების ან გადიდების სარჩელზე — იმ თანხის მიხედვით რა თანხითაც მცირდება ან დიდდება ეს ოდენობა, მაგრამ არა უმეტეს სამი წლის განმავლობაში ფულადი გადასახადების ერთობლიობისა;

გ) ყიდვა-გაყიდვის, ჩუქების, ანდერძის ხელშეკრულებების ბათილად ცნობის სარჩელზე — სადავო ქონების ღირებულების მიხედვით; დ) ქონების გაყოფის (გამოყოფის) სარჩელზე — მოსაძებნი ქონების ღირებულების მიხედვით.

ქონებით სარგებლობის წესის განსაზღვრის სარჩელზე, როცა არ არის დავა იმ ქონებაზე საკუთრების უფლების შესახებ — გადახდევინებულ უნდა იქნას ფულადი გადასახადი 30 კაპიკის ოდენობით.

7. ქონებრივ დავაზე კოლმეურნეობებსა და საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანებებს შორის, აგრეთვე სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან კოლმეურნეობებისა და საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანებების დავაზე გადახდევინებულ უნდა იქნას ფულადი გადასახადი სარჩელის ფაზის 1 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არა ნაკლებ 10 კაპიკისა.

მოქალაქეებთან კოლმეურნეობათა დავაზე ფულადი გადასახადი გადახდევინებულ უნდა იქნას საერთო საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მოქალაქენი კანონის ძალით უნდა განთავისუფლდნენ სასამართლოს ხარჯების გადახდასაგან.

8. განმარტებულ იქნას, რომ რუსეთის სფს რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე, 106-ე და 206-ე მუხლებისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო საპროცესო კოდექსების შესაბამისი მუხლების აზრით, სასამართლოს ხარჯები სისხლის სამართლის საქმეებზე შედგება:

თანხებისაგან, რომლებსაც მოკვლევის, წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოს ორგანოები უხდიან მოწმეებს, დაზარალებულებს, დამსწრეებს, ექსპერტებსა და თარჯიმნებს იმასთან დაკავშირებით, რომ მათ გასწიეს სამკვა-

რო და საცხოვრებელი ოთახის დასაქირავებელი ხარჯები იმ ოდენობით, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით; აგრეთვე თანხებისაგან, რომლებსაც უხდიან არამომწმეებ მოწმეებს, დაზარალებულებსა და დამსწრეებს ჩვეულებრივი საქმიანობიდან მათი მოწყვეტის გამო; თანხებისაგან, რომლებიც დაინარჩუნა ნივთიერი საბუთების შენახვის, გადაკვანისა და გამოკვლევისათვის; მიცემული საქმის წარმოების დროს გაწეული სხვა ხარჯებისაგან, რომლებსაც, კერძოდ, მიეკუთვნება სასამართლოსაგამომძიებლო ექსპერიმენტების წარმოების დროს გაწეული ხარჯები.

9. სასამართლოს ხარჯებში სისხლის სამართლის საქმეებზე არ შეიტანება: საშუალო ხელფასი სამუშაო ადგილის მიხედვით, რომელიც კანონის შესაბამისად მოწმის, დაზარალებულის, ექსპერტის, თარჯიმნისა და დამსწრის სახით გამოძახებულ პირს უნარჩუნდება მთელი იმ დროის განმავლობაში, რაც მას დაეხარჯა მოკვლევის მომხდენ პირთან, გამომძიებელთან, პროკურორთან ან სასამართლოში გამოძახების გამო; თანხები, რომლებსაც უხდიან ექსპერტს ან თარჯიმანს იმისათვის, რომ მათ სასამართლოში ან წინასწარი გამოძიებისა და მოკვლევის ორგანოებში შეასრულონ სამსახურებრივი სახის მოვალეობანი; საკანცელარიო და საფოსტო ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მიცემული საქმის წარმოებასთან წინასწარი გამოძიების ორგანოებსა და სასამართლოში.

10. განმარტებულ იქნას, რომ რუსეთის სფს რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 107-ე მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო საპროცესო კოდექსების შესაბამისი მუხლების აზრით სასამართლოს ხარჯებს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მსჯავრდებულები ანაზღაურებენ წილობრივი წესით თითოეული მსჯავრდებულის ბრალის, პასუხისმგებლობის ხარისხისა და ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.

არასრულწლოვანთა საქმეებზე სასამართლოს ხარჯები კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეიძლება დაეკისროთ მათ მშობლებს ან მეურვეებს.

სასამართლოში ყოველი სისხლის სამართლის საქმის შემოსვლის დროს მოსამართლენი მო-



ვალენი არიან მოსტხოვონ წინასწარი გამოძიებისა და მოკვლევის ორგანოებს წარმოადგინონ ცნობა წინასწარი გამოძიებისა და მოკვლევის პერიოდში გაწეული სასამართლოს ხარჯების სახეობისა და ოდენობის შესახებ.

11. იმ შემთხვევაში, როცა სასამართლოს ხარჯების საკითხი არ ყოფილა გადაჭრილი განაჩენის გამოტანის დროს, ეს საკითხი უნდა გადაჭრას განაჩენის გამომტანმა სასამართლომ რუსეთის სფს რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებული წესით.

12. სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო და ზედამხედველობის წესით განხილვის დროს ზემდგომმა სასამართლოებმა ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, თუ რამდენად სწორად გადახდებიან პირველი ინსტანციის სასამართლოებმა სასამართლოს ხარჯები სამოქალაქო სამართლისა და სისხლის სამართლის საქმეებზე.

13. მიექცეს სასამართლოს ყურადღება იმას, რომ უზრუნველყოფილ იქნას გადაწყვეტილებათა და განაჩენათ აღსრულებისადმი კონტროლი სასამართლოს ხარჯების გადახდევინების ნაწილში.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ბ. გორკინი

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მდივანი ი. ბრიშანი

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს კლენუმის

რ ე რ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 5

ქ. მოსკოვი,

1963 წლის 18 მარტი.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 62-ე მუხლის გამოყენების პრაქტიკის შესახებ


სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 62-ე მუხლი ითვალისწინებს სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების და ცალკეული უწყებების საწარმოთა და დაწესებულებათა სახლებიდან გამოსახლების განსაკუთრებულ შემთხვევებს.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა 1962 წელს მიიღეს დადგენილებანი „საუწყებო და სამსახურებრივი საცხოვრებელი სახლების გამოყენების მოწესრიგების შესახებ“ და სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 62-ე მუხლის შესაბამისად დამატაციეს სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების და ცალკეული უწყებების იმ საწარმოთა და დაწესებულებათა სიები, რომელთა სახლებიდანაც დასაშვებია სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად გამოსახლება მუშებისა და მოსამსახურეებისა, რომლებმაც შრომითი ურთიერთობა გაწყვიტეს იმასთან დაკავშირებით, რომ სამუშაოს თავი დაანებეს საკუთარი სურვილით, დაარღვიეს შრომის დისციპლინა, ან ჩაიდინეს დანაშაული. მოკავშირე რესპუბლი-

კების მინისტრთა საბჭოების ამ დადგენილებებში აღნიშნულია სერიოზული ნაკლოვანებანი საუწყებო საცხოვრებელი ფონდის გამოყენებაში, რაც იწვევს კადრების დენადობას, ხელს უშლის მათ დამაგრებას საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, აძნელებს ახალი მუშებისა და მოსამსახურეების მიღებას წარმოებაში, მათ უზრუნველყოფას საცხოვრებელი ფართობით.

საუწყებო საცხოვრებელი სახლების გამოყენებაში ნაკლოვანებათა აღმოფხვრა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორად გამოიყენებენ სასამართლოები სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 62-ე მუხლს.

იმ საფუძვლებზე გამოსახლების საქმეთა სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ, რომელსაც ითვალისწინებს აღნიშნული საფუძვლების 62-ე მუხლი, ცხადყო, რომ სასამართლოების მუშაობაში აღნიშნული კანონის გამოყენებისას არ არსებობს ერთიანობა, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში ზოგიერთი სასამართლო სერიოზულ შეცდომებსაც უშვებს. ეს შეცდომები გამოი-



ბატება იმაში, რომ სასამართლოები სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებს 62-ე მუხლს სწორად იყენებენ საქმის კონკრეტულ ვარემოებათა გაუთვალისწინებლად, არ ამოწმებენ არის თუ არა შეტანილი საწარმო და დაწესებულება იმ სივრცეში, რომელთა სახლებიდანაც დასაშვებია გამოსახლება საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად. არსებობს აგრეთვე იმის ფაქტები, რომ დაუსაბუთებლად ეუბნებიან უარს სარჩელზე გამოსახლების შესახებ, რომელიც აღარ არსებობს სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 62-ე მუხლის თანახმად.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ადგენს:

1. მიეცეს სასამართლოების ყურადღება იმას, რომ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებს 62-ე მუხლის სწორ გამოყენებას, მუხლისა, რომელიც ითვალისწინებს საწარმოთა და დაწესებულებათა სახლებიდან გამოსახლების განსაკუთრებულ შემთხვევებს, დიდი მნიშვნელობა აქვს საუწყებო საცხოვრებელი ფონდის გამოყენებაში ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების საწარმოებსა და დაწესებულებებში მომუშავე მუდმივი კადრების დამაგრებისა და შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმეში.

2. განმარტებულ იქნას, რომ სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებს 62-ე მუხლით დადგენილი პირობები, რომლის დროსაც დასაშვებია საწარმოთა და დაწესებულებათა სახლებიდან გამოსახლება საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, ამომწურავია და განვრცობით ახსნა-განმარტებას არ ექვემდებარება.

3. სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 62-ე მუხლის შესაბამისად სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების და ცალკეული უწყებების საწარმოებსა და დაწესებულებებს უფლება აქვთ მოითხოვონ აღნიშნული კანონით გათვალისწინებულ საფუძველზე მხოლოდ იმ პირობა გამოსახლება, რომლებსაც საცხოვრებელი ფართობი მიეცათ დასახლებულ საწარმოებსა და დაწესებულებებთან შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებით და მხოლოდ იმ სახლებში, რომლებიც ამ საწარმოებსა და დაწესებულებებს ეკუთვნის ან, რომლებსაც ისინი იჯარით იღებენ.

პირთ, რომლებმაც შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებით საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან მიიღეს საცხოვრებელი ფართობი, რომელიც ამ საწარმოებსა და დაწესებულებებს გამოეყოთ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სახლებში ან სხვა უწყებების სახლებში, სამოქალაქო კანონმდებ-

ლობის საფუძვლების 62-ე მუხლის საფუძველზე ვერ გამოასახლებენ.

4. განმარტებულ იქნას, რომ სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 62-ე მუხლი ვრცელდება საუწყებო საცხოვრებელ სახლებზე, რომლებიც აშენდა მუშებისა და მოსახლასურების შრომითი მონაწილეობით, ვინაიდან ამ სახლების აშენების წესი არ ცვლის მათ უფლებრივ მდგომარეობას.

5. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებებით დაწესდა, რომ პირნი, რომლებმაც 1962 წლის 1 იანვრის შემდეგ შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა იმასთან დაკავშირებით, რომ საკუთარი სურვილით დაანებეს თავი სამუშაოს, შეიძლება გამოსახლებულ იქნან საუწყებო საცხოვრებელი სახლებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი უარს იტყვიან დაბრუნდნენ წინანდელ სამუშაო ადგილას.

აღნიშნული დებულების გამოყენების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ იმ შემთხვევაში, როცა ადმინისტრაცია უარს აცხადებს მიიღოს მუშა ან მოსახლასურე, რომელმაც ისურვა წინანდელ სამუშაო ადგილზე დაბრუნება, აგრეთვე არ აძლევს მას სამუშაოს სპეციალური მიხედვით, სარჩელები საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად ასეთ მუშაკთა გამოსახლების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ აგრეთვე სხვა განსაკუთრებული ვარემოებანი, რომლებიც ხელს უშლიან მუშებისა და მოსახლასურების წინანდელ სამუშაო ადგილზე დაბრუნებას.

6. სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 62-ე მუხლის შესაბამისად მუშებისა და მოსახლასურების გამოსახლების საკითხთა გადაჭრის დროს საჭიროა გაირკვეს, ხომ არ იმყოფებიან ისინი ან მათი ოჯახის წევრები შრომით ურთიერთობაში იმ უწყებათა საწარმოებთან, რომელთა მუშაკებიც სსრ კავშირის მთავრობის მიერ მიღებული დადგენილებების შესაბამისად არ უნდა იქნან გამოსახლებული მიუხედავად იმისა, თუ რომელ უწყებას ეკუთვნის სახლი.

უკეთეს მუშაკი, რომელსაც შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებით მიეცა საცხოვრებელი ფართობი, დაითხოვს, მაგრამ იმავე საწარმოში მუშაობს ოჯახის რომელიმე წევრი, რომელიც მასთან ერთად ცხოვრობს, ამ ოჯახის გამოსახლება სხვა საცხოვრებელ ფართობის მიუცემლად დაუშვებელია.

7. განმარტებულ იქნას, რომ სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 62-ე მუხლის II ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს შემთხვევებს, რა დროსაც დაუშვებელია გამოსახლება სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ ერთად მცხოვ-



რებ ოჯახის წევრთა მიმართ, იმისდა მიუხედავად, თუ რომელ მათგანს მიეცა საცხოვრებელი ფართობი საწარმოსთან შრომითი ურთიერთობის გამო და ვინ არის ძირითადი მოქირავნი.

8. იმ შემთხვევებში, როცა საწარმოს ან დაწესებულებას ადრე მოქმედი კანონმდებლობით არ ჰქონდა მინიჭებული მათი კუთვნილი სახლებიდან გამოსახლების უფლება სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუხედავად, ხოლო ამჟამად ისინი შეიტანეს სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების საწარმოთა და დასახლებათა სიაში, სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 62-ე მუხლი შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ იმ პირთა მიმართ, რომლებმაც შრომითი ურთიერთობა საწარმოსთან ან დაწესებულებასთან შეწყვიტეს მას შემდეგ, რაც ეს საწარმოები და დაწესებულებები შეიტანეს აღნიშნულ სიაში.

9. სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 62-ე მუხლის გამოყენებისას იმ პირებისადმი, რომლებმაც შრომითი ურთიერთობა შეწყვიტეს საკავშირო დაქვემდებარების სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების საწარმოებსა და დაწესებულებებთან, ასეთ საწარმოთა და დაწესებულებათა სიების დადგენამდე, უნდა იხელმძღვანელოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 10 სექტემბრის ბრძანებულების მე-2 მუხლით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით, რომლებიც მიღებულია ამ ბრძანებულების შესაბამისად.

10. უკეთეს სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების მიღებამდე პროკურატურის ორგანოებმა არ მისცეს საწესი იმაზე, რომ დაქირავებულნი აღმინისტრაციული წესით გამოასახლონ საუწყებო სახლებიდან, სასამართლომ არ უნდა განიხილოს სარჩევები ამ დაქირავებულთა გამოსახლების შესახებ, რომლებიც აღძრულია იმავე საფუძველზე.

11. გამოსახლების შესახებ გადაწყვეტილებათა გამოტანის დროს სასამართლოებმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ რუსეთის სფს რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო საპროცესო კოდექსების შესაბამისი მუხლებით, უნდა განიხილონ გადაწყვეტილების აღსრულების ვადის საკითხი, გაითვალისწინონ რა ამახთან ერთად წლის დრო, ის რომ საჭიროა გამოსახლებულთ მიეცეთ ვადა სხვა საცხოვრებელი სახლის მოსაძებნად და სხვა გარემოებებისათვის. სასამართლოს შეუძლია აგრეთვე გააგრძელოს გადაწყვეტილების აღსრულებას ვადა გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგაც.

12. მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესმა სასამართლოებმა გააძლიერონ ზედამხედველობა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 62-ე მუხლის გამოყენებისადმი, უზრუნველყონ სასამართლო პრაქტიკის ერთიანობა ამ კატეგორიის საქმეთა პერიოდული განზოგადების გზით.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე — ბ. გორბაჩინი
სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი — ი. ბრიზანინი

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს კლენუმის

ქ ე რ გ ე ნ ი ც ე ბ ა № 6

ქ. მოსკოვი

1968 წლის 3 ივლისი.

არასრულწლოვანთა დანაშაულის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ

კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდნენ და უთმობენ მოზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდის, არასრულწლოვანთა უმთავალუფრობისა და დამნაშავეობის ლიკვიდაციის საკითხებს.

რამდენიმე წლის მონაცემები მოწმობენ, რომ არასრულწლოვანთა დამნაშავეობა შემცირდა, მაგრამ ეს არა მარტო არ გამოირიცხავს, არამედ, პირიქით, გულისხმობს, რომ საჭიროა

შემდგომ განხორციელდეს ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ დამნაშავეობის სრულ აღმოფხვრას.

ამ ამოცანის გადაჭრისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს გაუმჯობესდეს სასამართლოების საქმიანობა არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობასთან ბრძოლის ორგანიზაციის დარგში, აღმოიფხვრას ნაკლოვანებანი ასეთ საქმეთა განხილვისას, განხორციელდეს გამაფრთხილებელი ღონისძიებანი.

საქართველო
საგარეო ურთიერთობების
სამსახური

ამავე დროს უკანასკნელ ხანს ზოგიერთმა სასამართლომ შეასუსტა ყურადღება არასრულწლოვანთა შორის სამართლის დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გამაფრთხილებელ ღონისძიებათა განხორციელებისადმი, რის შედეგადაც ზოგიერთ ოლქებსა და ქალაქებში მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა რიცხვი რამდენადმე გადიდა.

სასამართლო პრაქტიკის განვითარების მოწყობების ცხადყოფენ, რომ ზოგიერთი სასამართლო დღემდე ზერტლედ, ფორმალურად ეკიდება არასრულწლოვანთა დანაშაულის საქმეთა განხილვას, რაც ამცირებს სასამართლო პროცესების აღმზრდელობით მნიშვნელობას, მათ გამაფრთხილებელ როლს და ხშირად კანონიერების დარღვევასაც იწვევს.

გამოძიების ორგანოები და სასამართლოები ყოველთვის როდი ადგენენ არასრულწლოვანის ასაკს, რაც ზოგჯერ იწვევს მსჯავრის დადებას ისეთი მოზარდებისათვის, რომლებიც სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-10 მუხლის ძალით არ უნდა მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისმგებანი.

იმ დანაშაულის საქმეებზე, რომელიც ჯგუფმა ჩადინა, მათ შორის აგრეთვე მოზრდილთა მონაწილეობით, გამოძიების ორგანოები და სასამართლოები ყოველთვის საკმარისი სისრულით როდი ადგენენ დანაშაულებრივი ჯგუფის ყველა მოზარდის, დანაშაულის ყოველი მონაწილის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხს, არ ავლენ მოზრდილ პირთა როლს დანაშაულებრივ საქმიანობაში არასრულწლოვანთა ჩასათრევად.

ამ კატეგორიის საქმეთა სასამართლო განხილვის დროს დაშვებულია სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევები.

სასამართლოები ზოგჯერ ყურადღებას არ აქცევენ იმას, რომ წინასწარი გამოძიების ორგანოებმა საჭიროა დაიცვან სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლების 22-ე მუხლი; რუსეთის სფხ რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების შესაბამისი მუხლების მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, სამსჯავრო სხდომაზე ყოველთვის არ უზრუნველყოფენ დამცველთა მონაწილეობას ამ საქმეებზე.

არღვევენ რა რუსეთის სფხ რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლსა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების შესაბამის მუხლებს, სასამართლოები იშვიათად იძახებენ სამსჯავრო სხდომაზე არასრულ-

წლოვანთა მშობლებს ან სხვა კანონიერ წარმომადგენლებს. ზოგჯერ ამ პირებს მხოლოდ მოწმეებად კითხავენ იმ გარემოებათა გამო, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია დანაშაულის ფაქტთან, ხოლო არასრულწლოვანის ცხოვრების წესს, აღზრდის პირობების საკითხებს არ ავლენენ. არის შემთხვევები, როცა კანონიერ წარმომადგენლებს ყოველგვარი საბაბის გარეშე უფლებებს არ აძლევს წარმოადგინონ დამამტკიცებელი საბუთები, მონაწილეობა მიიღონ მათ გამოკვლევაში, განაცხადონ შუამდგომლობანი და აცილებანი.

სასამართლოები არასაკმარისად იყენებენ მათთვის მინიჭებულ უფლებას (რუსეთის სფხ რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-400 მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების შესაბამისი მუხლები) გამოიძახონ სამსჯავრო სხდომაზე იმ სკოლის ან სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულების წარმომადგენლები, სადაც სწავლობდა არასრულწლოვანი ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები არასრულწლოვანის სამუშაო ადგილის მიხედვით, აგრეთვე მისი მშობლები, მეურვე ან მზრუნველი.

ყოველთვის სათანადო სისრულით როდი ავლენენ მიზეზებსა და პირობებს, რომლებმაც ხელი შეუწყვეს დანაშაულის ჩადენას, იშვიათად გამოაქვთ ამ საბაბით კერძო (განსაკუთრებული) დადგენილებები. რიგ შემთხვევებში ასეთი დადგენილებები არაკონკრეტულია, არ არიან დასახელებული პირები, რომელთაც ბრალი მიუძღვით დანაშაულის ჩადენის ხელსაყრელ გარემოებათა შექმნაში, არ უთითებენ მიზეზებსა და პირობებს, რომლებმაც ხელი შეუწყვეს მოზარდის მიერ დანაშაულის ჩადენას. ასეთი დადგენილებების აღსრულებისადმი კონტროლი დღემდე არადაამკაყოფილებლად ხორციელდება.

სასამართლო პრაქტიკაში სასჯელის ღონისძიებათა დანიშვნისას არ არის აღმოფხვრილი სერიოზული ნაკლოვანებები. არის ფაქტები, როცა პირებს, რომლებმაც პირველად ჩაიდინეს დანაშაული და, რომლებიც დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენენ, ან დანაშაულის მეორეხარისხიანი მონაწილეებს დაუსაბუთებლად უფარდებენ თავისუფლების აღკვეთას მცირე ვადით, ნაცვლად იმისა, რომ დაუნიშნონ სასჯელის სხვა ღონისძიებანი, რომლებიც თავისუფლების აღკვეთასთან არ არის დაკავშირებული. სასამართლოები არ ითვალისწინებენ იმას, რომ სასჯელის ასეთ ღონისძიებას დადებითი ზემოქმედების ნაცვლად შეუძლია უარყოფითად იმოქმედოს არასრულწლოვანის გამოსწორებასა და ხელახალ აღზრდაზე, ვინაიდან დანიშნული თავისუფლების



ადკვეთის მცირე ვადის მნიშვნელოვან ნაწილს მოზარდი ფაქტიურად იხდის არა შრომით კოლონიაში არასრულწლოვანთათვის, არამედ წინასწარი პატიმრობის ადგილებში.

ამასთან ერთად სასამართლოები ხანდახან კანონის შესაბამისად არ იყენებენ სასჯელის მკაცრ ღონისძიებებს არასრულწლოვანის მიმართ იმ შემთხვევაში, როცა მან ჩაიდინა საშიში დანაშაული, და დამნაშავის პიროვნება, აგრეთვე საქმის სხვა გარემოებანი საფუძველს არ იძლევიან სასჯელის შემსუბუქებისათვის.

პირობითი მსჯავრის შეფარდების დროს სასამართლოები არასაკმაოდ იყენებენ საზოგადოებრიობის დახმარებას პირობით მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდისათვის. პირობით მსჯავრდებულთ, აგრეთვე მსჯავრდებულთ, რომელთაც შეეფარდათ სასჯელი, რომელიც თავისუფლების ადკვეთასთან არ არის დაკავშირებული, არადამაკმაყოფილებლად უწყვეტ ზედამხედველობას რათა ისინი ხელახლა აღზარდონ და, როგორც წესი, არ ატყობინებენ ამის შესახებ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებს, რომლებსაც კანონით ეკისრებათ თვალყური ადევნონ ასეთ არასრულწლოვანთა ყოფაქცევას.

სასამართლოების საქმიანობის ნაკლოვანებანი არასრულწლოვანთა დანაშაულის საქმეების განხილვაში მნიშვნელოვანწილად, იმის შედეგია, რომ ამ საქმეში მათ არა აქვთ დამყარებული სათანადო კონტაქტი პროკურატურის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოებთან, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებთან, აგრეთვე პროკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

სასამართლო საკასაციო ინსტანციები ყოველთვის არ ახდენს რეაგირებას კანონის იმ დარღვევებსა და ნაკლოვანებებზე, რაც დაშვებულია არასრულწლოვანთა დანაშაულის საქმეების განხილვის დროს. საოლქო, სამხარეო სასამართლოები და ავტონომიური და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები სახალხო სასამართლოების საქმიანობის შემოწმების დროს იშვიათად ამოწმებენ არასრულწლოვანთა საქმეებზე გამოტანილი განაჩენების კანონიერებასა და დასაბუთებულობას, მიღებულ გადაწყვეტილებათა დროულ აღსრულებას, არ უწყვეტ მათ სათანადო დახმარებას არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის თავიდან აცილების საქმიანობის ორგანიზაციაში.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ადგენს:

1. სასამართლოთა უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიჩნეულ იქნას სასამართლო საქმიანობის ისეთი ღონის უზრუნველყოფა, რომელიც მაქსიმალურად ხელს შეუწყობს იმას, რომ წარმატებით გადაიჭრას არასრულწლოვანთა შო-

რის დამნაშავეობის აღმოფხვრის ამოცანა. ამ მიზნით სასამართლოებმა უნდა გააუმჯობესონ არასრულწლოვანთა დანაშაულის საქმეთა სასამართლო განხილვის ხარისხი, თითოეულ ასეთ საქმეს უნდა მიაპყროს საზოგადოებრიობის ყურადღება. სასამართლო პროცესმა და კანონის ზუსტი შესაბამისობით მიღებულმა გადაწყვეტილებამ საჭირო აღმზრდელობითი და გამჯობისილებელი შემოქმედება უნდა მოახდინონ სამართალში მიცემულსა და სხვა პირებზე, მთ შორის აგრეთვე იმ პირებზე, რომლებიც პასუხს აგებენ მოზარდი თაობის აღზრდისათვის კომუნისტური მორალის მოზონანთა შესაბამისად.

2. რჩევა მიეცეთ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებს, სამხარეო, საოლქო და სახალხო სასამართლოებს მოაწიონ არასრულწლოვანთა დანაშაულის საქმეების განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოებში ერთსა და იმავე მოსამართლის თავმჯდომარეობით, რომელსაც ყველაზე მეტი გამოცდილება აქვთ, ხოლო საკასაციო ინსტანციაში—სასამართლოს ერთსა და იმავე წევრების შემადგენლობით, უზრუნველყოფენ რა ამასთან სისტემატური კონტროლი, რათა თავის დროზე და სწორად გადაიჭრას ასეთი საქმეები.

ამ კატეგორიის საქმეთა თავისებურებების გათვალისწინებით მიზანშეწონილია სასამართლოს შემადგენლობაში შეყვანილ იქნეს სახალხო მსჯულები იმ პედაგოგთა და სხვა პირთა რიცხვიდან, რომლებსაც აქვთ ახალგაზრდობის აღზრდის გამოცდილება.

3. მიეცეს მოსამართლეთა ყურადღება იმას, რომ განსაკუთრებული გულდასმით უნდა მიუდგნენ ყველა იმ საკითხის გამორკვევას, რომლებიც დაკავშირებულია არასრულწლოვანი ბრალდებულის სამართალში მიცემასთან. იმისათვის, რომ დაწვრილებით განიხილონ სამართალში მიცემის შესახებ წინადადების დასაბუთებულობა (კერძოდ, იმის შესაძლებლობა რომ დაკმაყოფილდნენ აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებათა გამოყენებით), აირჩიონ ისეთი აღმკვეთი ღონისძიება, როგორცაა დაპატიმრება, აგრეთვე სხვა საკითხები, რჩევა მიეცეთ მოსამართლეებს არასრულწლოვანთა დანაშაულის საქმეები შეიტანონ სასამართლოს გამწესრიგებელ სხდომაზე განახილველად.

4. სასამართლოებმა უნდა განახორციელონ ღონისძიებანი, რათა ზუსტად დაადგინონ არასრულწლოვანის ასაკი (დაბადების რიცხვი, თვე) საკითხი იმის შესახებ, მიაღწია თუ არა არასრულწლოვანმა გარკვეულ ასაკს, უნდა გადაიჭრას რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების



საარჩევნო
სამსახური

შესაბამისი მუხლების მოთხოვნათა მიხედვით. ამასთან პირი გარკვეულ ასაკს მიღწეულად ჩაითვლება არა დაბადების დღეს, არამედ დაწყებული შემდეგი დღე-ღამიდან. იმ შემთხვევაში, როცა არასრულწლოვანი ბრალდებულის ასაკს ადგენს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, მაშინ მის მიერ დაბადების წლის განსაზღვრისას, დაბადების დღედ უნდა ჩაითვალოს ამ წლის უკანასკნელი დღე, ხოლო მინიმალური და მაქსიმალური ასაკის განსაზღვრისას, სასამართლომ სარწმუნოდ უნდა მიიჩნიოს ასეთი პირის ის მინიმალური ასაკი, რომელიც ექსპერტიზამ ივარაუდა.

5. მითითება მიეცეთ სასამართლოებს, რომ საჭიროა უმჯობესად დაიცვან სისხლის სამართლის საპროცესო ნორმები, რომლებიც არასრულწლოვან ბრალდებულთათვის უზრუნველყოფენ დაცვის უფლებას. კერძოდ, კანონის მოთხოვნის დარღვევა არასრულწლოვანთა საქმეებზე ბრალდების წარდგენის მომენტიდან დამცველის დაშვების შესახებ, აგრეთვე ამ საქმეებზე სასამართლო განხილვის დროს დამცველის მონაწილეობის აუცილებლობის შესახებ უნდა განიხილებოდეს როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის არსებითი დარღვევა.

გათვალისწინებულ უნდა იქნას, რომ საქმეში კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობა, უკეთეს უკანასკნელი რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლების საფუძველზე ერთდროულად დაცვასაც არ ახორციელებს, არ გამოიციხავს დამცველის მონაწილეობის აუცილებლობას.

განმარტებულ იქნას, რომ იმ პირის მიმართ, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა არასრულწლოვან ასაკში, მაგრამ საქმის სასამართლო განხილვის მომენტისათვის თვრამეტი წლის ასაკს მიაღწია, სასამართლოს, ჩადენილი დანაშაულის ხასიათის, საქმის გარემოებათა, ბრალდებულის ვინაობის გათვალისწინებით შეუძლია აუცილებლად იცნოს დამცველის მონაწილეობა სისხლის სამართლის სასამართლო წარმოებაში არასრულწლოვანთა დანაშაულის საქმეებზე დადგენილი კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

6. მითითება მიეცეთ სასამართლოებს, რათა ზუსტად და განუზრტლად დაიცვან რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 399-ე და მე-400 მუხლების და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების შესაბამისი მუხლების მოთხოვნები სამსჯავრო სდომავზე არასრულწლოვანი ბრალდებულის კანონიერი წარმომადგენლების მონაწილეობისა და მათი საპროცესო უფლებების უზრუნველყოფის შე-

5. საბჭოთა სამართალი № 5.


სახებ, აგრეთვე სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობის შესახებ.

7. არასრულწლოვანისათვის სასჯელის ღონისძიების დაწესების დროს სასამართლოებმა უნდა იხელმძღვანელონ კანონის მოთხოვნებით და გაითვალისწინონ ის, რომ სასჯელი ასეთ პირთა მიმართ განსაკუთრებით უნდა დაეკვემდებაროს დამნაშავის გამოსწორებისა და ხელახლა აღზრდის და ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების მიზანს.

არასრულწლოვანთ, რომლებმაც მიძიმე დანაშაული ჩაიდინეს, საჭირო შემთხვევებში უნდა შეუფარდდეს სასჯელის მკაცრი ღონისძიებანი. მაგრამ, სასამართლოები, რომლებიც იხილავენ სასჯელის ღონისძიების შეფარდების საკითხს, მოვალენი არიან სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საფუძვლების 32-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად გაითვალისწინონ არა მარტო ჩადენილი დანაშაულის ხასიათი და საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი, არამედ აგრეთვე დამნაშავის ვინაობა და საქმის გარემოებანი, რომლებიც ამსუბუქებენ და ამძიმებენ პასუხისმგებლობას, აგრეთვე მიზეზები, რომლებთანაც დაკავშირებულია მოცემული დანაშაულებრივი გამოვლინება. კერძოდ, სასამართლოებმა მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 33-ე მუხლის ძალით დანაშაულის ჩადენა არასრულწლოვანის მიერ შემამსუბუქებელი გარემოებაა. ეს განსაკუთრებით უნდა გაითვალისწინონ 14—16 წლის ასაკის მოზარდთა მიმართ.

საწარმოებში, კომპიუტერობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და დაწესებულებებში მომუშავე არასრულწლოვანთათვის სასჯელის ისეთი ღონისძიებების შეფარდების დროს, როგორცაა გამასწორებელი სამუშაოები თავისუფლების აღუკვეთავად, სასამართლოებმა გულდასმით უნდა შეაფასონ მსჯავრდებულის მატერიალური პირობები, იქონიონ რა მხედველობაში, რომ ამ პირობების გაუარესებას შეუძლია უარყოფითი გავლენა მოახდინოს მოზარდის ხელახლა აღზრდაზე.

არასრულწლოვანთ სისხლის სამართლის სასჯელის ღონისძიებანი არ უნდა შეუფარდდეს სამართლის ცალკეული უმნიშვნელო დარღვევისათვის, რომლებიც ზოგჯერ ბავშვური სიცვლქის ხასიათს ატარებენ (მაგალითად, ბაღში ვაშლისა და სხვა ხილის, ბოსტანში ბოსტნეულის და სხვ. წვერილმანი ქურდობა). როგორც წესი, არ დაიშვას არასრულწლოვანთათვის მსჯავრის დადება მშობლების ან მათთან ერთად სხვა მცხოვრები ოჯახის წევრების გაქურდვისა-



თვის, თუ თვით დაზარალებულებმა არ მიმართეს შესაბამის ორგანოებს თხოვნით იმის შესახებ, რომ არასრულწლოვანის წინააღმდეგ აღძრას საქმე სისხლის სამართლის წესით. აგრეთვე უნდა გაითვალისწინონ, რომ მოზარდთა ზოგიერთი მოქმედება, ზოგჯერ გარეგნულად ჰგავს დანაშაულის ისეთ შემადგენლობებს როგორცაა ქურდობა და ძარცვა, თუმცა თავისი სუბიექტური მხარით არ შეიცავს ამ დანაშაულის შემადგენლობას (მაგალითად, ველოსიპედის გატაცება გასივრების მიზნით, მტრედების გადაბირება და ა. შ.)

8. იმის გათვალისწინებით, რომ საზოგადოებრივად განსაკუთრებით საშიშროების მქონე მოქმედება იმ მოზარდული პირებისა, რომლებიც მიზნად ისახევენ არასრულწლოვანთა დანაშაულში ჩათრევას, დაევალოს სასამართლოებს გულდასმით გამოარკვიონ ხომ არ იყვნენ მოზარდული წამქეზებელნი და სხვა თანამონაწილენი დანაშაულისა, რომლებიც არასრულწლოვანმა ჩაიდინა. მოზარდი მონაწილის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიეცემისას გამოამუღვენონ უკანასკნელის ნამდვილი როლი დანაშაულის ჩადენაში, არასრულწლოვანზე მისი ზემოქმედების ხარისხი და გაითვალისწინონ ეს გარემოებანი სასჯელის ღონისძიების დანიშვნის დროს. განემარტოთ სასამართლოებს, რომ:

ა) მოქმედება დანაშაულის სრულწლოვანი მონაწილისა, რომელმაც ამ დანაშაულის ჩადენაში ჩაითარა სხრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-10 მუხლში აღნიშნულ ასაკს მიღწეული არასრულწლოვანი, უნდა დაკვალიფიცირდეს იმ მუხლების ერთობლიობით, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას არასრულწლოვანთან ერთად კონკრეტული დანაშაულის ჩადენისათვის და არასრულწლოვანის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩათრევისათვის (რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის 210-ე მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის შესაბამისი მუხლები).

ბ) დანაშაულის სრულწლოვანი მონაწილე, რომელმაც ჩაითარა ამ დანაშაულში არასრულწლოვანი, რომელსაც 14 წელი არ შესრულებია, ან ჩაითარა 14-დან 16 წლამდე ასაკის მოზარდი იმ დანაშაულის ჩადენაში, რომლისთვისაც უკანასკნელს კანონით არ ეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, უნდა განიხილებოდეს, მიუხედავად მისი მონაწილეობის ფორმისა, როგორც ამ კონკრეტული დანაშაულის ამსრულებელი, და მისი მოქმედება, გარდა ამისა, ერთობლივად უნდა დაკვალიფიცირდეს აგრეთვე სისხლის სამართლის კოდექსის მუხლით, რომელიც ითვალისწინებს პასუ-

ხისმგებლობას დანაშაულებრივ საქმიანობაში არასრულწლოვანთა ჩათრევისათვის.


9. სასამართლოებმა უფრო ფართოდ უნდა ჩააბან საზოგადოებრიობა პირობით მსჯავრდებული არასრულწლოვანის ხელახლა აღზრდასა და გამოსწორებაში, არ დაუშვან, რომ მშრომელთა კოლექტივებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, აგრეთვე არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებს დაუხმებულად ეთქვათ უარი შუამდგომლობაზე დანაშაულის პირველად ჩამდენ პირთათვის პირობითი მსჯავრის შეფარდების შესახებ მათი გადაცემით ამ კოლექტივებსა და ორგანიზაციებისათვის ხელახლა აღზარდელად და გამოსასწორებლად.

უკეთუ ასეთი შუამდგომლობა შემოვიდა განაჩენის გამოტანამდე, სასამართლო იღებს მასზე გადაწყვეტილებას და ჩამოაყალიბებს მას განაჩენში. თუ ასეთი შუამდგომლობა არ შემოსულა განაჩენის გამოტანამდე, სასამართლომ პირობითი მსჯავრის შესახებ განაჩენის გამოტანის შემდეგ უნდა გამოარკვიოს, თანახმაა თუ არა გარკვეული კოლექტივი ან კონკრეტული პირი კოლდებულება იკისროს თვალყურის ადევნის პირობით მსჯავრდებულს და ჩაატაროს მასთან აღზრდელიობითი მუშაობა, და უნდა გამოიტანოს ამის შესახებ დადგენილება განაჩენის აღზრდების წესით (რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 366-ე მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების შესაბამისი მუხლები).

10. ყველა შემთხვევაში, როცა იყენებენ პირობით მსჯავრს, აგრეთვე სასჯელის ღონისძიებებს, რომლებიც თავისუფლების აღკვეთასთან არ არის დაკავშირებული, ან აღზრდელიობით ხასიათის გამაფრთხილებელ ღონისძიებებს, სასამართლოები ვალდებული არიან ასეთი განაჩენის ან დადგენილების ასლი გაუგზავნონ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას არასრულწლოვანის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, აგრეთვე საწარმოს, დაწესებულების ან შესაბამისი საზოგადოებრივი ორგანიზაციის (კომკავშირული, პროფკავშირული, მშობელთა კომიტეტის და სხვ.) ხელმძღვანელს არასრულწლოვანის მუშაობის ან სწავლის ადგილის მიხედვით.

დაევალოს მოსამართლეებს, უშუალოდ და საზოგადოებრიობის ჩაბმის გზით შეამოწმონ თუ რამდენად დროულად და ქმედითად ახორციელებენ შესაბამისი პირები ან ორგანიზაციები არასრულწლოვანის ზედამხედველობის, შრომითი მოწყობისა და ხელახლა აღზრდის ღონისძიებებს.

იყენებენ რა პირობით მსჯავრს, სასამართლოებმა არ უნდა დაუშვან, რომ არასრულწლოვანს დარჩეს დაუსჯელობის გრძნობა ჩადენილი და-



ნაშულისათვის. ამიტომ სასამართლომ სამართალში მიცემულს უნდა განუმარტოს გამოსაცდელი ვადის მნიშვნელობა და გააფრთხილოს იგი, რომ იმ შემთხვევაში თუ გამოსაცდელი ვადის პერიოდში ჩაიდენს ისეთსავე ან არანაკლებ მძიმე დანაშაულს, დაისჯება პირველი დანაშაულისათვისაც, რაც უნდა აღინიშნოს სამსჯავრო სხდომის ოქმში.

11. სასამართლოებმა თვითეულ საქმეზე მის ფაქტიურ გარემოებათა გულმოდგინე, ყოველმხრივი და სრული კვლევა-ძიების უზრუნველყოფასთან ერთად უნდა გამოარკვიონ მიზეზები და პირობები, რომლებიც ხელს უწყობდნენ არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენას და განახორციელონ ღონისძიებანი მათ აღმოსახვევრებად.

ამ მიზნით სამსჯავრო სხდომაზე უნდა დაიკითხონ პირნი, რომლებმაც კარგად იციან სამართალში მიცემულის ცხოვრებისა და აღზრდის პირობები. ამასთან უნდა გამოარკვეული იქნას ცხოვრების რა პირობები აქვს ოჯახს, როგორ ასრულებენ მშობლები ან მათი შემცველნი პირები ბავშვების აღზრდის მოვალეობებს, რა საყოფაცხოვრებო გარემოცვა და ინტერესები აქვს მოზარდს, როგორ იქცევა იგი სახლში, სკოლაში, საწარმოში, მონაწილეობს თუ არა საზოგადოებრივ მუშაობაში, აქვს თუ არა წინათ დარღვევები და რა ხასიათის ღონისძიებანი შეუფარდეს მოზარდს ადრეუკეთუ სამართალში მიცემული დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის არ სწავლობდა და არ მუშაობდა, უნდა გამოირკვეს, რა მიზეზით და რამდენი ხანი არ სწავლობდა და არ მუშაობდა, და ყველა სხვა საკითხი, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ იმისათვის, რომ სწორად და რაც შეიძლება უფრო ზუსტად დადგინდეს დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზები და პირობები.

იმ გამოვლინებული მიზეზებისა და პირობების გათვალისწინებით, რომლებმაც ხელი შეუწყეს მოზარდისათვის ანტისაზოგადოებრავ შეხედულებათა და ჩვევათა აღმოცენებას, კონკრეტული დანაშაულებრივი განზრახვის ჩამოყალიბებასა და თვით დანაშაულის ჩადენას, სასამართლოებმა უნდა გამოიტანონ კერძო (განსაკუთრებული) დადგენილებანი. ეს დადგენილებანი არ უნდა შეიცავდნენ მხოლოდ ნაკლოვანებათა აღწერას მოზარდთა აღზრდაში, არამედ შეძლებისდაგვარად კონკრეტულად უნდა უთითებდნენ თუ რა საშუალებით შეიძლება აღმოიფხვრას ეს ნაკლოვანებანი.

დაადგენს რა იმ პირთ, რომლებიც მოზარდისადმი თავიანთი არასწორი ყოფაქცევით ან დამოკიდებულებით უშუალოდ არიან დამნაშავენი ისეთი პირობების შექმნაში, რაც ხელს უწყობს მოზარდში ანტისაზოგადოებრივი ჩვე-

ვების აღმოცენებას ან მის მიერ დანაშაულის ჩადენას, სასამართლომ უნდა განიხილოს ასეთ პირთა პასუხისცემაში (კოლექტივის წინაშე, აღმინისტრაციულ ან სისხლის სამართლის პასუხისცემაში) მიცემის საკითხი.

დაევალოთ სასამართლოებს, რომ ყოველი კერძო (განსაკუთრებული) დადგენილება, რომელიც გამოტანილია არასრულწლოვანთა დანაშაულის საქმის განხილვის შედეგად, გაგზავნონ აგრეთვე არასრულწლოვანთა საქმეების კომისიაში.

იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს კონტროლი კერძო (განსაკუთრებული) დადგენილებათა შესრულებისადმი, რჩევა მიეცეთ სასამართლოებს, რათა ჩააბან ამ საქმიანობაში სახალხო მსაჯულები, აგრეთვე საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში მოქმედი ამხანაგური სასამართლოების წევრები, სკოლებთან არსებული მშობელთა კომიტეტები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და განახორციელონ ეს მუშაობა პროკურატურის ორგანოებთან, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებსა და საზოგადოებრივ წესრიგის დაცვის სამინისტროს ორგანოებთან კავშირში.

12. რჩევა მიეცეთ სასამართლოებს, რომ არასრულწლოვანთა შრომითი კოლონიიდან შრომა-გამასწორებელ კოლონიაში თვრამეტა წლის ასაკს მიღწეულ პირთა გადაყვანის საკითხის გადაჭრის დროს (იხ. „თავისუფლების აღკვეთის მსჯავრდებულ პირთათვის შრომა-გამასწორებელი კოლონიის სახეობის განსაზღვრის თაობაზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ ბლენუმის 1962 წლის 31 ივლისის დადგენილების მე-8 პუნქტი) ყოველი კონკრეტულ შემთხვევაში, დანაშაულის ხასიათის, სასჯელის ფაქტიურად მოხდელი ვადის, ამ პირის გამოსწორების დამადასტურებელი მონაცემების გათვალისწინებით, განიხილონ საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად შესაძლებელია გამოყენებული იქნას ვადამდე განათავისუფლება, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში შესაბამის ზედგამსასამართლოში შეიტანონ წარდგინება, რათა ფაქტიურად მოხდოდ ვადამდე ზედამხედველობის წესით შეიცვალოს განაჩენი სასჯელის ღონისძიების ნაწილი.

იმ მიზნით, რომ განმტკიცდეს გამოსწორებისა, ხელახლა აღზრდისა და სასკოლო და პროფესიულ-ტექნიკური სწავლების შედეგები, სასამართლოებს შეუძლიათ აგრეთვე აღმინისტრაციისა და არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების წარდგინებში მიზანშეუწონლად მიიჩნიონ 18 წლის ასაკს მიღწეულ მსჯავრდებულთა გადაყვანა არასრულწლოვანთა შრომითი კოლონიიდან შრომა-გამასწორებელ კოლონიებში, თუ მოსახდელი დარჩა სასჯელის მცირე



ვალა. ამ საკითხის გადაჭრის დროს სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ ყველა მონაცემები იმის შესახებ, თუ როგორ იქცეოდა ასეთი პატიმარი არასრულწლოვანთა შრომით კოლონიაში ყოფნის პერიოდში და რა გავლენას ახდენდა იგი ამ კოლონიაში მყოფ სხვა არასრულწლოვანებზე.

13. სასამართლოებმა განსაკუთრებული ყურადღებით უნდა განიხილონ არასრულწლოვანთა შრომითი კოლონიის ადმინისტრაციის ან არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის მიერ წარდგენილი მასალები იმის შესახებ, რომ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 45-ე მუხლის შესაბამისად, სასჯელისაგან გაათავისუფლონ და შეუცვალონ სასჯელი უფრო მსუბუქი სასჯელით პირთ, რომლებმაც თვრამეტ წლამდე ასაკში ჩაიდინეს დანაშაული. ამ მასალების განხილვის დროს, სხვა საკითხებთან ერთად, სასამართლოებმა უნდა გამოარკვიონ, სად და ვისთან იცხოვრებს არასრულწლოვანი მას შემდეგ, როცა ვადამდე განთავისუფლებას შეუფარდებენ.

არასრულწლოვანის ვადამდე განთავისუფლების დადგენილების ასლი დაუყოვნებლივ უნდა გაეგზავნოს არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით; სასამართლომ აგრეთვე უნდა აცნობოს მშობლებს ან სხვა კანონიერ წარმომადგენლებს არასრულწლოვანის ვადამდე განთავისუფლების შესახებ.

14. საკაციაო წესით, აგრეთვე სასამართლო ზედამხედველობის წესით საქმეთა განხილვის დროს ზემდგომმა სასამართლოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ სისხლის სამართლის სასჯელის დანიშნული ღონისძიება იყო მართლწომიერი და სამართლიანი; დაცულ იქნას ნორმები კანონისა არასრულწლოვანთა დანაშაულის საქმეებზე სასამართლო წარმოების წესის შესახებ.

15. მოსამართლეებსა და სახალხო მსჯულებებს პერიოდულად უნდა ჩაუტარდეთ სემინარები არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობასთან ბრძოლის სასამართლო წარმოების თავისებურებათა შესწავლისა და გამოცდილების გაზიარების შესახებ.

მიეცეთ სასამართლოებს მითითება, რომ საჭიროა უფრო ფართოდ გაშალონ მუშაობა იმ

კანონების განმარტებისათვის, რომლებიც ითვალისწინებენ არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობას სოციალისტური მართლწესრიგის დარღვევისათვის და მშობელთა პასუხისმგებლობას მათ მიერ ბავშვების აღზრდის მოვალეობის განუხორციელებლობისათვის, უფრო ხშირად გამოვიდნენ ლექციებითა და მოხსენებებით, აგრეთვე პრესაში იმის შესახებ, თუ როლი ენიჭება ოჯახს, სკოლას, მშობელთა კოლექტივებსა და თითოეულ მოქალაქეს ბავშვების აღზრდის, სოციალისტურ მორალთან შეუთავსებელი გადაცდენის, და დანაშაულის თავიდან აცილების საქმეში.

16. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, მხარის, ოლქისა და ქალაქის სასამართლოების თავმჯდომარეებმა დახმარება გაუწიონ სახალხო სასამართლოებს, რათა გაუმჯობესდეს მათი საქმიანობა არასრულწლოვანთა დანაშაულის საქმეების განხილვაში და არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის ღონისძიებათა განხორციელებაში. სასამართლოების საქმიანობის შემოწმების დროს ყურადღება მიექცეს არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის მდგომარეობას მოცემულ რაიონში, ქალაქში, ოლქში, მხარეში, დახმარება გაეწიოს სასამართლოებს ამ კატეგორიის საქმეთა სასამართლო პრაქტიკის განვითარებაში. განუგადების, შედეგები გამოყენებულ იქნას არა მარტო სასამართლო ორგანოების საქმიანობის გასაუმჯობესებლად, არამედ აგრეთვე იმ მუშაობის გასაუმჯობესებლად, რომელსაც ამ დარგში ახორციელებენ სხვა სახელმწიფო ორგანოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

სასამართლოები მუდამ უნდა ახორციელებდნენ არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობასთან ბრძოლის, სამართლის დარღვევის თავიდან აცილების, მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა ხელახლა აღზრდისა და გამოსწორების ღონისძიებათა კოორდინაციას პროკურატურის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოებთან, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებთან, საჭიროა ყოველი ღონისძიებით გაფართოვდეს და განმტკიცდეს საზოგადოებრიობასთან კავშირი არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის დაძლევისათვის ბრძოლაში.



რ ე ზ ე ნ ი ლ ე ბ ა № 7

ქ. მოსკოვი,

1968 წლის ივლისი.

მილიციის მუშაკთა და სახალხო რაზმელთა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ღირსების ხელყოფისათვის პასუხისმგებლობის პანონომალური შემარღობის თაობაზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 15 თებერვლის ბრძანებულებით „მილიციის მუშაკთა და სახალხო რაზმელთა სიცოცხლის ჯანმრთელობისა და ღირსების ხელყოფისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ დაწესდა პასუხისმგებლობა მილიციის მუშაკთა და სახალხო რაზმელთა კანონიერი განკარგულების ან მოთხოვნისადმი ბოროტად დაუმორჩილებლობისათვის, მათთვის შეუარაცხეოფის მიყენებისათვის, წინააღმდეგობის გაწევისათვის, ამ პირებისადმი ძალადობისა და მუქარის გამოყენებისათვის; ბრძანებულება აწესებს აგრეთვე გაზრდილ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას სამახურებრივ ან საზოგადოებრივ საქმიანობათან დაკავშირებით საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას მილიციის მუშაკთა და სახალხო რაზმელთა სიცოცხლის ხელყოფისათვის.


აღნიშნული ბრძანებულების გამოყენების პრაქტიკის შესწავლამ ცხადყო, რომ სასამართლოები ძირითადად სწორად წყვეტენ ამ კატეგორიის საქმეებს. ამასთან ერთად პლენუმი აღნიშნავს, რომ სასამართლოების საქმიანობაში არის შეცდომები და სერიოზული ნაკლოვანებანი. სასამართლოები საქმეთა განხილვის დროს ზოგჯერ არ ითვალისწინებენ იმას, თუ რა საზოგადოებრივი საშიშროების მქონეა დამნაშავე და სხვა ანტისაზოგადოებრივი ელემენტების მიერ მილიციის მუშაკთა, სახალხო რაზმელთა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ღირსების ხელყოფა.

სასამართლოები თავიანთ პრაქტიკაში სხვადასხვანაირად განსაზღვრავენ სიცოცხლის ხელყოფის ცნებას, არამკაფიოდ განასხვავებენ წინააღმდეგობის გაწევას, რომელსაც თან ერთვის ძალადობა ან ძალადობის გამოყენების მუქარა, წინააღმდეგობის გაწევისაგან დამამიძებელ გარემოებათა გარეშე, არ განასხვავებენ სისხლის სამართლის წესით დასჯად მოქმედებას, ურჩობისაგან, რაც ადმინისტრაციული სამართლის დარღვევაა. ქმედობას, რომელიც გამოიხატა წინააღმდეგობის გაწევაში ზოგჯერ დაუსაბუთებლად განიხილვენ მხოლოდ როგორც ბოროტ ურჩობას.

სხვადასხვანაირად აკვალიფიცირებენ დანაშაულს, რომელიც გამოიხატა ხულიგნობაში, რასაც თან ახლდა მილიციის მუშაკისა ან სახალხო რაზმელისათვის წინააღმდეგობის გაწევა. ზოგიერთი სასამართლო, წინააღმდეგობის გაწევის ფაქტს განიხილავს მხოლოდ როგორც ბოროტული ხულიგნობის ნიშანს, ზოგიერთი სასამართლო კი — როგორც დამოუკიდებელ დანაშაულს. ამის შედეგად დამნაშავეთა მოქმედებას, რომლებმაც ხულიგნობის ჩადენის დროს წინააღმდეგობა გაუწიეს, ერთ შემთხვევაში აკვალიფიცირებენ მხოლოდ რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 206 მუხლის მე-2 ნაწილით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით, მეორეში კი — როგორც ამ მუხლებით, ისე სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებით, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის წინააღმდეგობის გაწევისათვის, მაშინ როცა ძალადობის გარეშე წინააღმდეგობის გაწევას მთლიანად მოიცავს სისხლის სამართლის კოდექსის 206 მუხლის მე-2 ნაწილის დისპოზიცია და იგი არ საჭიროებს დამატებით კვალიფიკაციას.

ცნობენ რა პირს დამნაშავედ წინააღმდეგობის გაწევას ან ძალადობის გამოყენების მუქარაში, სასამართლოები ყოველთვის როდი უთითებენ განაჩენებში, კონკრეტულად რაში გამოიხატა ეს მოქმედება. ცალკეული სასამართლოები არ ითვალისწინებენ, რომ რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 191-1 მუხლის მე-2 ნაწილით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით დანაშაულის აკვალიფიცირებისათვის საქმარისი არ არის დადგინდეს ბრალდებულის მიერ დაზარალებულის მისამართით ძალადობის ყოველგვარი მუქარის მხოლოდ გამოთქმის ფაქტი, არამედ საჭიროა, რომ ამასთან არსებობდეს საფუძველი მისი განხორციელების საშიშროებისა.

საქმეთა განხილვის დროს სასამართლოები ზოგჯერ სათანადო ყურადღებას არ აქცევენ



იმას, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ზემოხსენებული ბრძანებულების მოთხოვნათა შესაბამისად პასუხისმგებლობა დანაშაულისათვის, რომელიც გათვალისწინებულია რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 191-1 და 192-1 მუხლებითა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით, დგება მილიციის მუშაკების ან სახალხო რაზმების წინააღმდეგობისათვის, როდესაც ისინი კანონიერ საქმიანობას ეწევიან.

არსებობს ნაკლოვანებანი აგრეთვე სახალხო მოსამართლეების მიერ მასალათა განხილვის პრაქტიკაში ბოროტეული დაუმორჩილებლობისათვის ადმინისტრაციულ პასუხისგებაში გადაცემის შესახებ. სათანადო ყურადღება არ ექცევა სასამართლოს განსახილველად წარმოდგენილ მასალათა უხარისხო გაფორმების შემთხვევებს, საკმაო სისრულით არ იკვლევა მომხდარი ამბის გარემოებები, არ ამოწმებენ პასუხისგებაში მიცემულ პირთა განმარტებებს, იმ დროს როცა ეს განმარტებანი ხშირად შეიცავენ ბრალდების საწინააღმდეგო სერიოზულ მოსაზრებებს, რომლებიც უნდა შემოწმდეს.

სახალხო მოსამართლის დადგენილებაში ხშირად არ არის აღნიშნული, რაში გამოიხატა ბოროტეული ხასიათი დაუმორჩილებლობისა.

ზოგიერთი სასამართლო საქმარისად არ აფასებს საზოგადოებრიობის როლს სამართლის მსგავს დარღვევასთან ბრძოლაში, არ იყენებს საქმეთა განხილვას კოლექტივებში, სადაც დამარღვევნი მუშაობენ, იშვიათად გადასცემენ მასალებს ბოროტი ურჩობის შესახებ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მშრომელთა კოლექტივებს, ამხანაგურ სასამართლოებს საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებების გამოსაყენებლად.

იმ მიზნით, რომ აღმოიფხვრას ნაკლოვანებები სასამართლოთა საქმიანობაში მილიციის მუშაკთა და სახალხო რაზმელთა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ღირსების ხელყოფის საქმეთა განხილვის დროს, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ადგენს:

1. მიექცეს სასამართლოების ყურადღება იმის აუცილებლობას, რომ საჭიროა გადაჭრული ბრძოლა მილიციის მუშაკთა და სახალხო რაზმელთა სიცოცხლის ჯანმრთელობისა და ღირსების ხელყოფის წინააღმდეგ, მათ მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობათა შესრულებისას მათი კანონიერი განკარგულებებისა და მოთხოვნებისადმი ბოროტეული დაუმორჩილებლობის წინააღმდეგ.

სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ „მილიციის მუშაკთა და სახალხო რაზმელთა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ღირსების ხელ-

ყოფისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 15 თებერვლის ბრძანებულებისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლების მოთხოვნათა ზუსტი და განუხრელი დაცვა. დამნაშავისათვის სასჯელის ღონისძიების განსაზღვრისას სასამართლოები მოვალენი არიან თვითიველ შემთხვევაში, გარდა თვით ამ საშიში დანაშაულის ჩადენის ფაქტისა, გათვალისწინონ აგრეთვე საქმის კონკრეტული გარემოებანი, დანაშაულის შედეგები, დაზარალებულისა და ბრალდებულის მოქმედებათა მოტივები, მონაცემები პიროვნების შესახებ, აგრეთვე სხვა შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი.

სასამართლოებმა არ უნდა დაუშვან სისხლის სამართლის სასჯელის შეფარდება პირებისადმი, რომლებსაც ბრალი მიუძღვით ბოროტ ურჩობაში, რაც იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.

2. სოციალისტური კანონიერების მოთხოვნათა გათვალისწინებით, სასამართლოები მოვალენი არიან უზრუნველყონ თვითიველი საქმის გულმოდგინე, ყოველმხრივი და ობიექტური განხილვა.

სასამართლოებმა მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ პასუხისმგებლობა დანაშაულისათვის, რომელიც გათვალისწინებულია რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 191—1, 191—2 და 192—1 მუხლებითა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით, დგება მხოლოდ მაშინ, როცა დანაშაულმა წინააღმდეგობა შეუქმნა მილიციის მუშაკთა და სახალხო რაზმელთა კანონიერ საქმიანობას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. ამიტომ ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის დროს საჭიროა ყველა შემთხვევაში დადგინდეს, მოქმედებდა თუ არა მილიციის მუშაკი ან სახალხო რაზმელი თავისი რწმუნების შესაბამისად და კანონით დადგენილი წესის დაცვით, აგრეთვე გამოიკვეს, კონკრეტულად რაში გამოიხატა დამნაშავის მოქმედება.

3. მიექცეს სასამართლოების ყურადღება იმას, რომ პასუხისმგებლობა დანაშაულისათვის, რომელიც გათვალისწინებულია რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 191—1, 191—2 და 192—1 მუხლებითა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით ითვალისწინებს, რომ დამნაშავემ იცის, რომ იგი ხელყოფს სწორედ მილიციის მუშაკს ან სახალხო რაზმელს მათ მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობათა შესრულების

დროს ან შესრულებასთან დაკავშირებით. ამასთან მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის კოდექსის ამ მუხლებით დეგრა მიუხედავად იმისა, მორიგეობდა თუ არა დაზარალებული ანდა თავისი ინიციატივით თუ მოქალაქეთა თხოვნით ახორციელებდა ღონისძიებებს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის თავიდან აცილებისა და დანაშაულის აღმოფხვრისათვის.

4. მიეცეთ სასამართლოებს განმარტება, რომ ა) ბ(სო)მტშულ დაშემორჩილებლ(საბ)ლ უნდა ჩაითვალოს უარისთქმა მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის მტკიცე, არაერთხელ განმეორებული განკარგულების ან მოთხოვნის შესრულებაზე, ან ურჩობა, რომელიც გამოიხატა უტიფარი ფორმით, რაც მოწმობდა საზოგადოებრივ წესრიგის დამცველ ორგანოებისადმი აშკარა უპატივცემულობის გამოვლინებას;

ბ) წინააღმდეგობის ბაწმებად, რომელიც გათვალისწინებულია სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 191—1 მუხლითა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით, ბორმტშული დაშემორჩილებლბისსაბან განსხვავებით მიჩნეული იქნას აქტიური მოქმედება იმის წინააღმდეგ, რომ მილიციის მუშაკმა ან სახალხო რაზმელმა განახორციელოს რწმუნებანი, რომლებიც მათ მინიჭებული აქვთ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით.

ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ძალადობასთან დაპაჰვირბაშული წინააღმდეგობა, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის ხსენებული მუხლის მე-2 ნაწილით, ითვალისწინებს აქტიურ მოქმედებათა ჩადენას, რომელიც გამოიხატება განზრახვი დარტყმის, ცემის, სხეულის დაზიანების მიყენებით იმ დროს, როცა მილიციის მუშაკი ან სახალხო რაზმელი ასრულებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობას.

წინააღმდეგობის გაწევა, რომელსაც თან არ ერთვის აღნიშნული მოქმედებანი და, რომელიც გამოწვეულია მხოლოდ მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის მხრივ ძალის კანონიერად გამოყენების საწინააღმდეგოდ (მაგალითად, დაკავების დროს გასხტობის ცდა), უნდა დაკვალიფიცირდეს რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 191—1 მუხლის I ნაწილითა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით;

გ) ძალადობის გამომყენების მშჰარბლ უნდა შივიჩნიოთ დამნაშავის მოქმედება ან გამოთქმა, რომლებიც გამოხატავენ რეალურ განზრახვას

გამოიყენოს ძალადობა მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის მიმართ;

დ) სიცოცხლის ხელყოფად უნდა განიხილებოდეს მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის მკვლელობა ან მკვლელობის მცდელობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მათ საქმიანობასთან დაკავშირებით.

მოკვლის მუქარა, გაუფრთხილებელი მკვლელობა, აგრეთვე სხეულის დაზიანების მიყენება სიცოცხლის მოსპობის განუზრახველად, რომლისთვისაც დაწესებულია პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლებით, უნდა დაკვალიფიცირდეს არა როგორც მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა, არამედ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულისათვის.

5. იმასთან დაკავშირებით, რომ პრაქტიკაში წამოიჭრა საკითხები საზოგადოებრივი წესრიგის დამცველ პირთა მიმართ ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, განემარტოთ სასამართლოებს, რომ:

ა) სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 15 თებერვლის ბრძანებულებით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაწესდა მხოლოდ ბრძანებულებით გათვალისწინებული იმ დანაშაულისათვის, რაც მიმართულია მილიციის მუშაკთა და სახალხო რაზმელთა წინააღმდეგ და განვრცობით განმარტებას არ ექვემდებარება. ასეთი სახის მოქმედებანი, რომლებიც ჩადენილია ხელისუფლების სხვა წარმომადგენელთა ან საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მიმართ, უნდა დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით;

ბ) დანაშაული, რომელიც ჩადენილია მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის მიმართ პირადი ურთიერთობის ან კონფლიქტების საფუძველზე უნდა განიხილებოდეს როგორც დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ და დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით;

გ) იმ შემთხვევაში, როცა დამნაშავის მოქმედებანი გამოიხატა მილიციის მუშაკთა და სახალხო რაზმელთა ხელყოფის სხვადასხვა სახეობის ერთობლივად ჩადენით (შეურაცხყოფა და წინააღმდეგობის გაწევა, წინააღმდეგობის გაწევა და სიცოცხლის ხელყოფა და ა. შ.), სასამართლოებმა, იმ შემთხვევაში, თუ ყველა ეს მოქმედება ფაქტიურად ქმნის ერთი დანაშაულის ელემენტებს, უნდა დააკვალიფიცირონ იგი სისხლის სამართლის კოდექსის მუხლით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ყველაზე უფ-

დროს ან შესრულებასთან დაკავშირებით. ამასთან მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის კოდექსის ამ მუხლებით დგება მიუხედავად იმისა, მორიგეობდა თუ არა დაზარალებული ანდა თავისი ინიციატივით თუ მოქალაქეთა თხოვნით ახორციელებდა ღონისძიებებს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის თავიდან აცილებისა და დანაშაულის აღმოფხვრისათვის.

4. მიეცეთ სასამართლოებს განმარტება, რომ ა) ბს(ს)მ(ბ)მ დაუშვარჩილებლ(ბ)ბმ უნდა ჩითვალდოს უარისთქმა მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის მტკიცე, არაერთხელ განმეორებული განკარგულების ან მოთხოვნის შესრულებაზე, ან ურჩობა, რომელიც გამოიხატა უტიფარი ფორმით, რაც მოწმობდა საზოგადოებრივ წესრიგის დამცველ ორგანოებისადმი აშკარა უპატივცემლობის გამოვლინებას;

ბ) წინააღმდეგობის ბაჟმბმ, რომელიც გათვალისწინებულია სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 191—1 მუხლითა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით, ბორმბმ(ბ)მ დაუშვარჩილებლ(ბ)ბმს განსხვავებით მიჩნეული იქნას აქტიური მოქმედება იმის წინააღმდეგ, რომ მილიციის მუშაკმა ან სახალხო რაზმელმა განახორციელოს რწმუნებანი, რომლებიც მათ მინიჭებული აქვთ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით.

ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ძალაღმობასთან დაკავშირებული წინააღმდეგობა, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის ხსენებული მუხლის მე-2 ნაწილით, ითვალისწინებს აქტიურ მოქმედებათა ჩადენას, რომელიც გამოიხატება განზრახვი დარტყმის, ცემის, სხეულის დაზიანების მიყენებით იმ დროს, როცა მილიციის მუშაკი ან სახალხო რაზმელი ასრულებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობას.

წინააღმდეგობის გაწევა, რომელსაც თან ერთვის აღნიშნული მოქმედებანი და, რომელიც გამოწვეულია მხოლოდ მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის მხრივ ძალის კანონიერად გამოყენების საწინააღმდეგოდ (მაგალითად, დაკავების დროს გასხლტომის ცდა), უნდა დაკვალიფიცირდეს რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 191—1 მუხლის I ნაწილითა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით;

გ) ძალადობის გამომყენების მუშარბლ უნდა შივიჩნიოთ დამნაშავის მოქმედება ან გამოთქმა, რომლებიც გამოიხატავენ რეალურ განზრახვას

გამოიყენოს ძალადობა მილიციის მუშაკის სახალხო რაზმელის მიმართ;

დ) სიცოცხლის ხელშეწყობა უნდა განიხილებოდეს მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის მკვლელობა ან მკვლელობის მცდელობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მათ საქმიანობასთან დაკავშირებით.


მოკვლის მუქარა, გაუფრთხილებელი მკვლელობა, აგრეთვე სხეულის დაზიანების მიყენება სიცოცხლის მოსპობის განუზრახველად, რომლისთვისაც დაწესებულია პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლებით, უნდა დაკვალიფიცირდეს არა როგორც მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა, არამედ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულისათვის.

5. იმასთან დაკავშირებით, რომ პრაქტიკაში წამოიჭრა საკითხები საზოგადოებრივი წესრიგის დამცველ პირთა მიმართ ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, განემარტოთ სასამართლოებს, რომ:

ა) სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 15 თებერვლის ბრძანებულებით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაწესდა მხოლოდ ბრძანებულებით გათვალისწინებული იმ დანაშაულისათვის, რაც მიმართულია მილიციის მუშაკთა და სახალხო რაზმელთა წინააღმდეგ და განვრცობით განმარტებას არ ექვემდებარება. ასეთი სახის მოქმედებანი, რომლებიც ჩადენილია ხელისუფლების სხვა წარმომადგენელთა ან საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მიმართ, უნდა დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით;

ბ) დანაშაული, რომელიც ჩადენილია მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის მიმართ პირადი ურთიერთობის ან კონფლიქტების საფუძველზე უნდა განიხილებოდეს როგორც დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ და დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით;

გ) იმ შემთხვევაში, როცა დამნაშავის მოქმედებანი გამოიხატა მილიციის მუშაკთა და სახალხო რაზმელთა ხელყოფის სხვადასხვა სახეობის ერთდროულად ჩადენით (შეურაცხყოფა და წინააღმდეგობის გაწევა, წინააღმდეგობის გაწევა და სიცოცხლის ხელყოფა და ა. შ.), სასამართლოებმა, იმ შემთხვევაში, თუ ყველა ეს მოქმედება ფაქტიურად ქმნის ერთი დანაშაულის ელემენტებს, უნდა დააკვალიფიცირონ იგი სისხლის სამართლის კოდექსის მუხლით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ყველაზე უფ-



რო მძიმე სახეობის ხელყოფისათვის, რაც დამ-
ნაშავემ ჩაიდინა.

რამდენიმე დანაშაულის ერთობლიობით
მსგავსი ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს მა-
შინ, როცა ეს ქმედობა ჩადენილი იყო სხვა-
დასხვა დროს და არ იყო მოცული ერთიანი
განწარხვით;

დ) სხეულის მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე
დაზიანების მიყენება მილიციის მუშაკის ან
სახალხო რაზმელისათვის წინააღმდეგობის გა-
წევის, ან ამ პირთა მიმართ ძალადობის გამო-
ყენების შედეგად იმ მიზნით, რომ აიძულონ
ისინი შეასრულონ აშკარად უკანონო მოქმე-
დებანი, მოიცავს დანაშაულის შემადგენლობას,
რომელიც გათვალისწინებულია რუსეთის სფს
რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის
191—1 მუხლის მე-2 ნაწილით და სხვა მოკავ-
შირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის
კოდექსების შესაბამისი მუხლებით, და დამა-
ტებით კვალიფიკაციას სისხლის სამართლის
კოდექსის სხვა მუხლებით არ საქირობს, ვინა-
იდან სხეულის დაზიანების მიყენება ამ შემ-
თხვევაში არის განხორციელების საშუალება
მეორე, უფრო საშიში დანაშაულისა, როგორ-
ცაა მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმე-
ლის ჯანმრთელობის ხელყოფა მათ მიერ სა-
ზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობა-
თა შესრულების დროს.

სხეულის მძიმე დაზიანების ან სხეულის ნა-
კლებად მძიმე დაზიანების მიყენება ზემოაღნი-
შნულ გარემოებებში, თუ უკანასკნელი მოკავში-
რე რესპუბლიკის კანონის მიხედვით იწვევს
უფრო მძიმე სასჯელს, ვიდრე ის, რომელსაც
ითვალისწინებს რუსეთის სფს რესპუბლიკის
სისხლის სამართლის კოდექსის 191—1 მუხლის
მე-2 ნაწილი და სხვა მოკავშირე რესპუბლი-
კების სისხლის სამართლის კოდექსების შესა-
ბამისი მუხლები, უნდა დაკვალიფიცირდეს და-
ნაშაულთა ერთობლიობით;

ე) მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმე-
ლის სიცოცხლის ხელყოფა, მიუხედავად დანა-
შაულებრივი შედეგის დადგომისა, უნდა განი-
ხილებოდეს როგორც დამთავრებული დანაშა-
ული და დაკვალიფიცირდეს მხოლოდ რუსეთის
სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდე-
ქსის 191—2 მუხლით და სხვა მოკავშირე რე-
სპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსე-
ბის შესაბამისი მუხლებით (სიცოცხლის ხელ-
ყოფა) და არ არის საქირო დამატებითი კვალი-
ფიკაცია რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის
სამართლის კოდექსის 102 მუხლით ან 15 და
102 მუხლებით და სხვა მოკავშირე რესპუბლი-
კების სისხლის სამართლის კოდექსების შესა-
ბამისი მუხლებით.

6. იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას

ერთგვაროვანი მიდგომა იმ დანაშაულის კვა-
ლიფიკაციისადმი, რომელიც გამოისხატა ხული-
გნობაში, რასაც თან სდევდა ხელისუფლების
წარმომადგენლის ან საზოგადოებრიობის წა-
რმომადგენლისათვის წინააღმდეგობის გაწევა
მათ მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის
მოვალეობის შესრულებისას, განმარტოთ სასა-
მართლოებს:

ა) ხულიგნური მოქმედების ჩადენისას და
უშუალოდ მასთან დაკავშირებით წინააღმდე-
გობის გაწევა ძალადობის გარეშე მილიციის
მუშაკისა ან სახალხო რაზმელისათვის, რომლე-
ბიც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვა-
ლეობას ასრულებენ, რუსეთის სფს რესპუბლი-
კის სისხლის სამართლის კოდექსის 206 მუ-
ხლის მე-2 ნაწილისა და სხვა მოკავშირე რე-
სპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების
შესაბამისი მუხლების თანხმად არის ხული-
გნობის დამაკვალიფიცირებელი ნიშანი, რასაც
სავსებით მოიცავს სისხლის სამართლის კო-
დექსის აღნიშნული მუხლის დისპოზიცია და და-
მატებით კვალიფიკაციას არ საქირობს.

ხულიგნური მოქმედების ჩადენისას გაწეული
წინააღმდეგობა, რომელსაც თან ერთვის ძალა-
დობა, ისე როგორც ყოველგვარი წინააღმდე-
გობა, თუ მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებ-
ლობა არ ითვალისწინებს ხულიგნობის ასეთ
დამაკვალიფიცირებელ ნიშანს, უნდა დაკვალი-
ფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით;

ბ) ხულიგნური მოქმედების შეწყვეტის შე-
მდეგ გაწეული წინააღმდეგობა, კერძოდ, იმა-
სთან დაკავშირებით, რომ შემდგომ დააკავს
დამნაშავე, არ უნდა განიხილებოდეს როგორც
ხულიგნობის დამამძიმებელი გარემოება და
უნდა დაკვალიფიცირდეს უკანასკნელთან ერთო-
ბლიობით;

გ) წვრილმანი ხულიგნობა, რომელიც იწ-
ვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ან
პასუხისმგებლობას რუსეთის სფს რესპუბლიკის
სისხლის სამართლის კოდექსის 206 მუხლის მე-3
ნაწილითა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების
სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი
მუხლებით და, რომელიც დაკავშირებულია მი-
ლიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელისათვის
წინააღმდეგობის გაწევასთან საზოგადოებრივი
წესრიგის დაცვის მოვალეობათა შესრულების
დროს, თუ ამასთან წინააღმდეგობის გაწევა
ფიქრობს არ ქმნის ბორკეტულ ხულიგნობას, არ
უნდა დაკვალიფიცირდეს რუსეთის სფს რეს-
პუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 206-ე
მუხლის მე-2 ნაწილითა და სხვა მოკავშირე
რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექ-
სების შესაბამისი მუხლებით.

ამის შესაბამისად სისხლის სამართლის წესით
დასჯადი წვრილმანი ხულიგნობა, რომელსაც

თან ერთვის მილიციის მუშაკისა ან სახალხო რაზმელისათვის წინააღმდეგობის გაწევა, უნდა დაკვალიფიცირდეს რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 206 მუხლის მე-3 ნაწ. და 191—1 მუხლით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით. იმ შემთხვევაში, თუ ჩადენილია წვრილმანი ხულიგნობა, რომელიც ადმინისტრაციული წესით ისჯება და, რომელსაც თან ერთვის წინააღმდეგობის გაწევა, დამნაშავეს მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 191—1 მუხლითა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით.

7. იმის გამო, რომ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-10 მუხლი ზღუდავს 14-დან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მხოლოდ გარკვეული წრის დანაშაულით, რომელშიც არ შედის მილიციის მუშაკთა და სახალხო რაზმელთა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ღირსების ხელყოფა, განმარტება მიეცეთ სასამართლოებს, რომ აღნიშნული ასაკის არასრულწლოვანებმა, რომლებმაც ჩაიდინეს მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის ხელყოფა, არ უნდა აგონ პასუხი რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 191—1, 191—2 და 192—1 მუხლებით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით, არამედ ისინი პასუხს აგებენ კონკრეტულად ჩადენილი მოქმედებისათვის, თუ უკანასკნელი შედის სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-10 მუხლით გათვალისწინებულ ნუსხაში.

8. მიექცეს სასამართლოების ყურადღება იმას, რომ საჭიროა ამაღლდეს იმ მასალების განხილვის ხარისხი, რომლებიც შეეხება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობის შესრულებისას მილიციის მუშაკთა ან სახალხო რაზმელთა განკარგულებისა და მოთხოვნისადმი ბოროტი ურჩობისათვის ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მიცემას.

სახალხო მოსამართლე, რომელიც განსახილველად იღებს მასალას ადმინისტრაციული სა-

მართლის დარღვევის შესახებ, მოვალეობა ატარებს გინოს შემთხვევის ფაქტიური გარემოებანი, ავითვალისწინოს რა მონაცემები, რომლებსაც სასამართლოში წარდგენილი მასალები შეიცავს და, იმ პირთა განმარტებანი, რომლებიც ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში არიან მიცემული და საჭირო შემთხვევაში გამოიძახოს მოწმეები ან გამოითხოვოს სათანადო მასალები.

სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ ის, რომ ფართოდ ჩაბან საზოგადოებრიობა ადმინისტრაციული სამართლის დარღვევის საქმეთა განხილვაში და საჭირო შემთხვევებში მასალები ბოროტი ურჩობის შესახებ გადასცენ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მშრომელთა კოლექტივებს, ამნაგურ სასამართლოებს საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებათა გამოსაყენებლად.

9. იმის გამო, რომ „მილიციის მუშაკთა და სახალხო რაზმელთა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ღირსების ხელყოფისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1962 წლის 15 თებერვლის ბრძანებულების I მუხლის I ნაწილი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობათა შესრულებისას მილიციის მუშაკთა ან სახალხო რაზმელთა კანონიერი განკარგულების ან მოთხოვნისადმი ბოროტი ურჩობისათვის, სასამართლოებმა, ამ მუხლით პასუხისმგებაში მიცემულ პირთა მასალების განხილვის დროს, უნდა გამოარკვიონ: რომელი განკარგულება ან მოთხოვნა არ შეასრულა დამნაშავემ, იყო თუ არა ეს განკარგულება ან მოთხოვნა კანონიერი, ბოროტი იყო თუ არა ურჩობა.

ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ბოროტი ურჩობა განკარგულების ან მოთხოვნისადმი, რომელიც დაკავშირებული არ არის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან, არ შეუძლია გამოიწვიოს პასუხისმგებლობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 15 თებერვლის ბრძანებულების I მუხლის I ნაწილით (მაგალითად, უარის თქმა უწყებით მილიციის ორგანოებში გამოცხადებაზე და ა. შ.).

10. მიეცეთ სასამართლოებს განმარტება, რომ იმ დროს, როცა ერთდროულად ჩადენილია წვრილმანი ხულიგნობა, რომელიც იწვევს აღ-



მინისტრაციულ პასუხისმგებლობას, და ბოროტი ურჩობა დამნაშავენი პასუხისგებაში უნდა მიეცენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 15 თებერვლის ბრძანებულების I მუხლის I ნაწილით.

11. სასამართლოებმა გულდასმით უნდა გამოარკვიონ მიზეზები სამართლის დარღვევისა, რომელიც გამოიხატა მილიციის მუშაკთა ან სახალხო რაზმელთა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ღირსების ხელყოფაში, განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი იმ გარემოებათა აღმოსაფხვრელად, რომლებიც ხელს უწყობენ სამართლის ამ დარღვევებს, მთელი თა-

ვისი საქმიანობით დაეხმარონ მოქალაქეთა აღზრდას საზოგადოებრივი წესრიგისა და ამ წესრიგის დამცველებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით. უკეთუ დადგინდა, რომ სამართლის დარღვევა გამოწვეულიყო ცალკეულ თანამდებობრივ პირთა ან ამ პირთა არასწორი მოქმედებით, რომლებიც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობას ასრულებენ, სასამართლოები მოვალენი არიან გამოიტანონ კერძო დადგენილება გამოაშკარავებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, ხოლო სათანადო შემთხვევებში დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე — ბ. გორპინი
სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის მდივანი — ი. ბრიშანინი



გლობკეს სასამართლო

— ჰანს იოზეფ მარია გლობკე!
ეს სახელი ხმაბლდა გაისმა ძველებური შე-
ნობის თაღებქვეშ: სასამართლოს აღმასრულე-
ბელმა ბრალდებული გამოიძახა...

1963 წლის 8 ივლისი, 10 საათი, დაიწყო სა-
სამართლო პროცესი გლობკეს საქმეზე. საქმეს
იხილავს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლი-
კის უმაღლესი სასამართლო დოქტორ ჰენრიხ
ტებლიცის თავმჯდომარეობით. ბრალდებას
მხარს უჭერს გერმანიის დემოკრატიული რესპუ-
ბლიკის გენერალური პროკურორი იოზეფ
შტრაიხი.

პიტლერის დროს შინაგან საქმეთა სამინისტრო
სამინისტროს გამოჩენილი ჩინოვნიკი, ამჟამად
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედე-
რალური კანცლერის უწყების სტატს-მდივანი
გლობკე სასამართლოში არ გამოცხადდა.

სასამართლო პროცესი ნორმალურად მიმდინა-
რობს. გამოდიან მოწმეები, ქვეყნდება დოკუ-
მენტები და ექსპერტიზის დასკვნები, პროკუ-
რორი და დაცვა შეკითხვებს სვამენ.

გლობკეს საქმე განსაკუთრებით რთული და
შეიძლება ითქვას უპრეტენდენტოა.

ბრალდებულის გამოუცხადებლობას საქმის
განხილვისათვის ხელი არ შეუშლია. ბრალდე-
ბის მიერ შეკრებილი მასალები უმრავლეს შემ-
თხვევაში უფრო მეტს ლაპარაკობენ, ვიდრე
ბრალდებული პროცესზე იტყოდა.

შეიძლება ითქვას ნიურნბერგის პროცესის შემ-
დეგ სასამართლო პირველად იხილავს მკვლელის
საქმეს, რომელსაც პირადად არ მოუკლავს,
მკვლელობა, რომელსაც იარაღისთვის იქნებ ერთ-
ხელად არ შეუხია ხელი; მას ბრალი ედება სამ-
ხედრო დანაშაულში და ფრონტზე არასდროს
არ ყოფილა. მის სახელთან არის დაკავშირებუ-
ლი მილიონობით ადამიანთა მსხვერპლი, მაშინ
როდესაც საკონცენტრაციო ბანაკი არ უნახია,
დახვრეტას არ დასწრებია. იგი მხოლოდ და
მხოლოდ ჩინოვნიკია. ბერლინის პროცესის მნი-
შვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ის საშუ-
ალებას გვაძლევს ჩავწვდეთ ბერლინის რაიხის
„წმიდათა-წმიდას“ და გამოვამყლავნოთ ზოგიერ-
თი საიდუმლოებანი იმ სასწაულებრივი მექანიზ-
მისა, რომელიც წარმოშვა გერმანულმა მონოპო-
ლიებმა და რაც ნაცისტურ ბატონობის დიქტა-
ტურად იწოდებოდა.

პიტლერული რეჟიმის მესვეურთ სხვადასხვა
სახის მსახურნი ესაჭიროებოდათ: პოლიციის

მაძებრები და მოხერხებული დემაგოგები, დი-
ლეგების ოსტატები და მარჯვე დიპლომატები.
საჭირონი იყვნენ აგრეთვე კვალიფიციური კა-
ნონთმცოდნენი, რომლებიც ყველა გარეგანი
ფორმების დაცვით მოახდენდნენ ნაცისტური ბა-
ტონობის სისტემის ორგანიზაციას ჯერ თავის
ქვეყანაში — შემდეგ ქვეყნის გარეთ. ამ კატე-
გორიის პირებს ეკუთვნოდა ჰანს გლობკე.

უკანასკნელ დრომდე მსოფლიო საზოგადოე-
ბის აზრი ხშირად გლობკეს სახელს უკავშირებ-
და ნაცისტურ-რასობრივ კანონმდებლობას —
1953 წლის ე. წ. „ნიურნბერგის კანონებს“, თუმ-
ცა გამოაშკარავდა, რომ ეს იყო გლობკეს საქ-
მის მხოლოდ მცირე ნაწილი. ბრალდება, რომე-
ლიც ბონის სტატს-მდივანს წაუყენეს სამი ძი-
რითადი ნაწილისაგან შედგებოდა:

1. თანამონაწილეობა ბრალდებულისა იური-
დიული საფუძვლების შექმნაში — გერმანიაში
პიტლერული დიქტატურის დამყარების მიზნით.
2. თანამონაწილეობა გერმანიაში ებრაულ მო-
სახლეთა დევნასა და განადგურება-გაყლევებაში.
3. თანამონაწილეობა ფაშისტურ აგრესორების
თავდასხმისაგან საფრთხეში ჩაგდებული ევრო-
პის ხალხთა გაგერმანელებაში.

15 წუთის სავალი გზა აშორებს შარხნორსტ-
რასსზე მდებარე რუხი ფერის სასამართლო შე-
ნობას ლეიციგერშტრასეზე მსგავს შენობასთან.

1933 წლამდე აქ სდომებდნენ მართავდა ბურჟუ-
აზიულ-დემოკრატიული გერმანიის პრუსიის სა-
ხელმწიფო სხპო. როგორც გამოირკვა, ამ და-
წესებულების მდებთან უშუალოდ კავშირი ჰქონ-
და შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩინოვნიკს —
ჰანს გლობკეს.

პროკურორის გამოსვლიდან, სასამართლოზე
გამოქვეყნებულ დოკუმენტებიდან შემდეგი სუ-
რათი იხატება: 1939 წელი, პიტლერული დიქ-
ტატურის პირველი ნაბიჯები. 24 მარტის უბო-
როტესი კანონი „საგანგებო უფლებამოსილების
შესახებ“, რომელიც მოწოდებული იყო მოეხ-
დინა საპარლამენტო სისტემის ლიკვიდაცია.

როგორ უნდა გატარებულიყო კანონი ცხოვ-
რებაში?

ბევრს უკვე დაავიწყდა, რომ პიტლერი მაშინ
ჩაღდა ხელისუფლების სათავეში, როდესაც ბუ-
რჟუაზიული დემოკრატია თავისივე ძალებით გა-
ანადგურა.

უხერხულობას გრძობდნენ რა მსოფლიო სა-
ზოგადოებრივი აზრისა და ხალხების წინაშე რუ-



რის ბარონები და პრუსიის გენერლები ჰიტლერისაგან გარკვეული ფორმალობის დაცვას მოითხოვდნენ. იმდროინდელი გენერალი ფონ კამერშტეინი პირდაპირ აცხადებდა: „თუ ნაცისტები ლეგალურად მივლენ ხელისუფლებასთან, მე ეს მაწყობს“. ჰიტლერი ხელისუფლების ხელში ჩაგდებას შემდეგაც იძულებული იყო გარკვეული სიფრთხილით ემოქმედა.

სწორედ მაშინ დაჭირდა მას ვეიმარის რესპუბლიკის ცბიერი სახელმწიფოებრივი სისტემის ზუსტი ცოდნით შეიარაღებული თანამშრომლები. პარლამენტალური დემოკრატიის ნგრევა ყოველგვარი წესების მიხედვით ჩატარდა. სხვაბთან ერთად ამ საქმით იყო დაკავებული პრუსიის შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალგაზრდა ჩინოვნიკი დოქტორი გლობეკი.

სამინისტროს არქივის მონაცემებიდან ირკვევა გლობეკს უშუალო მონაწილეობა იმ კანონების, ინსტრუქციების და დირექტივების შემუშავებაში, რომლებიც ჰიტლერის „საგანგებო უფლებამოსილებას“ უზრუნველყოფდნენ. ჰიტლერის-დროინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის ფრიკის აზრით გლობეკმ ამ კანონების შემუშავებაში მიიღო „სრულიად განსაკუთრებული მონაწილეობა“. დოკუმენტებით გამოირკვა, რომ გლობეკი პირადად წარუდგენდა ხოლმე პროექტებს გერინგს, რომელიც სიამოვნებით იწონებდა მათ.

ერთ-ერთი ასეთი პროექტით ფაქტიურად ლიკვიდირებული სახელმწიფო საბჭო „ნაცისტურ კლუბად“ გარდაიქმნა, სადაც შევიდნენ გერინგი, ჰიმლერი, ლეი და სხვა მიხაკისფერი მეთაურები.

ბედის ირონიით საბჭოს რეფორმის დროს მისი შემდაგენლობიდან გაიორცხა ვინმე დოქტორი კონრად ადენაუერი. იმ დროისათვის კათოლიკური პარტიის ეს მოღვაწე ჰანს გლობეკს ყურადღებას არ იმსახურებს. ახალგაზრდა ჩინოვნიკი ორიენტაციას გერინგზე და ჰიტლერზე იღებს.

ამრიგად გლობეკს კარიერა იწყება 1933-34 წლებიდან, როდესაც ის აქტიურად მონაწილეობს გერმანიის პარლამენტალური დემოკრატიის განადგურებაში.

* * *

მთელი დღეების განმავლობაში სასამართლო დარბაზში ლაპარაკია კანონებზე, დირექტივებზე, კომენტარებზე, პარაგრაფებზე. ეს დაკავშირებულია იურისტ გლობეკს მოღვაწეობის „სპეციალურ“ სფეროსთან. ასე მაგალითად: მოქალაქეობის უფლებასთან, გვარის შეცვლის უფლებრივ საფუძვლებთან, ადმინისტრაციული მმართველობის საკითხებთან და სხვა...

შინაგან საქმეთა სამინისტროს პირველ სამმართველოში გლობეკს მოღვაწეობა მეტად მნიშვნელოვანია. დოკუმენტების მიხედვით 1936


წელს იგი განაგებდა 14 პრობლემატურ საკითხს, 1938 წელს — 23-ს, 1941 წელს — 31-ს, 1943 წელს — 25-ს, 1945 წელს (როდესაც მინისტრად გახდა ჰიმლერი) — 30-ს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ შესძლო ჩამოეხსნა გლობეკს საქმიანობისათვის იურიდიული ფსევდომეტყინერის საფარი.

სასამართლო წინაშე იდგა მეტად რთული და სერიოზული ამოცანა: დაედგინათ თუ რას ნიშნავდა პრაქტიკულად იმ კანონებისა და დირექტივების განხორციელება, რომელიც გლობეკს კალამს მიეკუთვნებოდა. ამ ამოცანის გადაწყვეტა იმითმაც უფრო იყო აუცილებელი, რომ დასავლეთის პრესა უქანასკნელ დრომდე ასეთ პოზიციაზე იდგა: ეჭვგარეშეა მესამე რაიხში საშინელი ამბები ხდებოდა, მაგრამ რა პირდაპირი დამოკიდებულება აქვს მასთან გლობეკს? უდავოა, გზა შინაგან საქმეთა საიმპერიო სამმართველოდან ოსვენციმის კრემატორიამდე დიდია. ბუნებრივად და მიიდანეკის ღუმელთა კვამლი არ აღწევდა ბერლინის პირქვეშ შენობამდე. მაგრამ ასევე უდავოდ სასამართლომ დაადგინა, რომ ასეთელ გერმანელ ებრაელთა ტანჯული გზა იწყებოდა დოქტორ გლობეკს კაბინეტშიდან, რომელიც პრუსიული პედანტობით ამუშავებდა მრავალრიცხოვან რასისტულ წესებს. მის კალამს მიეკუთვნება: ინსტრუქციები, რომლებიც განმარტავდნენ, თუ ვინ უნდა მიეჩინათ ებრაელად; კანონები, რომლებიც უკრძალავდა ებრაელებს სახელის გამოცვლას; დირექტივები, რომლებიც კრძალავდნენ ე. წ. „შერეულ“ ქორწინებას; სხვადასხვა ინსტრუქციები, რომლებიც განსაზღვრავდნენ ებრაულ მოსახლეობის დისკრიმინაციის მეთოდებს, მუხლები, მუხლები, მუხლები...

მაგრამ ბერლინის სასამართლო დარბაზში მუხლებმა მიიღეს ცოცხალ ადამიანთა სახეები. როდესაც მოწმეთა დაკითხვა დაიწყო, პირველად ორი მოხუცი ბერნგარდი, და ემში კონები გამოცხადდნენ ლეიფცივიდან. 1933 წელს ისინი ახლადდაქორწინებულნი იყვნენ. ბერნგარდ კონი ნაცისტების შეხედულებით „ადამიანობამდე არ იყო ასული“ და მას არ ეკუთვნოდა არავითარი უფლებები. მეუღლესთან ერთად ის განიცდიდა აზაადამიანურ დაცინვას, საშინელ დევნას და მოხვდა ტერეზიენის საკონცენტრაციო ბანაკში.

ევრონ შუბერტი გეიდებერგიდან, გლობეკს მიერ შემუშავებული ინსტრუქციის თანახმად ითვლებოდა „პირველი ხარისხის ნარევი“ (მისი დედა ებრაელი იყო). მეორე ინსტრუქციის მიხედვით, რომლის ავტორიც იგივე გლობეკია, შუბერტს ქორწინებისათვის უნდა მიეღო სპეციალური ნებართვა ხელისუფლებისაგან, რომელმაც უარი უთხრა. მაშინ შუბერტმა შეიტანა სა-



ჩვიარი შინაგან საქმეთა სამინისტროში, საიდანაც უარყოფითი პასუხი მიიღო.

აქ სასამართლოს თავმჯდომარემ მოწმე შეაჩერა.

— ბატონო შუბერტი! ახლა სასამართლო გამოაქვეყნებს იმ დოკუმენტის ტექსტს, რომელიც დაკუთვლია არქივში... დოქტორმა ტეპლიცმა წაიკითხა დამცინავი წერილი გლობკეს ხელმოწერით. ეს იყო ეგონ შუბერტის ტანჯული გზის მხოლოდ დასაწყისი. გლობკეს წერილი მოითხოვდა სასწრაფო დაქორწინებას გესტაპოში. შუბერტი იძულებული იყო დათანხმებოდა მას და გაეარა ფაშისტური ჯოჯოხეთის ყველა „რგოლი“.

ასეთივე ტანჯვის გზა განვლო ჰენრიხ შტრასერმა აპოლიდან. ისიც რასისტული კანონმდებლობის მსხვერპლია. ჰენრიხ შტრასერს ქორწინება ავკრძალა. ვის მიერ? ამ კითხვაზე პასუხის ვასაცემად მან ამოიღო პორტფელიდან გაცრეცილი ქაღალდი. ეს იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს ამკრძალავი ტექსტი, რომელსაც ხელს აწერდა იგივე გლობკეს. სასამართლოს წინაშე გაივლია ადამიანის ბედის ერთმანეთზე უარესმა სახეებმა. მოწმეთაგან ზოგიერთი, მაგალითად შუბერტი და შტრასერი პირადად ხვდებოდნენ გლობკეს. ის შეუთმნეველად იჭრებოდა თავისი პარაგრაფებით სხვების ცხოვრებაში. შედეგი ერთი იყო: აბუჩად ავდებდა, წამებდა, სიკვდილი.

სასამართლოს წინაშე წარსდგნენ მოწმეები არა მარტო გერმანიიდან — აქ არიან რასისტული ტერორის მსხვერპლნი პოლონეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, საფრანგეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. საბჭოთა კავშირის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ჩადენილ სასწაულებრივ ბოროტებაზე ლაპარაკობდნენ მოწმეები: გერმერი, სავიცკასი, კანტორი, კლოვსკი, რაუბი, სირგე. როცა დარბაზი ისმენდა მათ მონათხრობს, მსმენელთ თვალებზე ცრემლები მოადგათ. ბევრ მოწმეს უკვე არ შეეძლო სასამართლოში გამოცხადება. ისინი ნაციტური ჯალათების მსხვერპლნი გახდნენ. მათ მაგივრად დოკუმენტები ლაპარაკობდნენ. გამოაშკარავდა ნამდვილად შემზარავი სურათი. შემდეგ კვლავ იკითხებოდა ინსტრუქციები, დირექტივები რომელთა საფუძველზე მოქმედებდნენ ესეგელი ჯალათები. თითქმის ყველა დოკუმენტს გლობკეს ხელმოწერა „ამწმენებდა“.

* * *

პროცესზე ირკვევა, რომ კანონის პარაგრაფით ისევე შეიძლებოდა ადამიანის მოკვლა, როგორც იარაღის გასროლით.

...ჯერ პარაგრაფზე. იგი 1939 წლის 29 მარტს გამოქვეყნდა, როდესაც დოქტორმა გლობკემ დაამუშავა პროექტი გერმანიის ქვეშევრ-

დომობის მინიშების შესახებ ე. წ. პროტექტორატის მოქალაქეებზე დაპყრობილ ჩეხოსლოვაკიაში. თითქმის ზომიერი, წმინდა იურიდიული პროცედურაა. ასევე ზომიერად გამოიყურებოდა 1939 წლის 9 დეკემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს დარბაზში გერინგისა და დოქტორ გლობკეს ხელმძღვანელობით ჩატარებული თათბირი, რომელიც მიეძღვნა სპეციალურ საკითხს: როგორ ჩაითვალოს ჩეხები, რომლებიც 29 მარტის შემდეგ გაიქცნენ ქვეყნიდან. გლობკეს პასუხი იუწყებოდა: ისინი უნდა ჩაითვალოს „პროტექტორატის მოქალაქეებად“.

ახლა მოვუხსენით ალიის შიშვას — პიროვნებას, რომელიც 1963 წლის 12 ივლისს სასამართლოს ნამდვილად საიქიოდან მოვევლინა. პროფესიით მფრინავი, ის ღრმად განიცდიდა გერმანელთა ურდოების მიერ თავისი სამშობლოს დაპყრობას.

შიშვა შედის წინააღმდეგობის არალეგალურ ჯგუფში, შემდეგ კი სტოვებს ჩეხოსლოვაკიას, რათა იარაღით ხელში ებრძოლოს ჰიტლერის მხმ. მან ინგლისამდე მიიღწია და გამანადგურებელთა ესკადრის პილოტი გახდა.

1941 წლის 28 დეკემბერს ალიის შიშვას თვითმფრინავი ჩამოგდებული იქნა ლია ზღვაში. ამას მოჰყვა 6 საშინელი დღე და ღამე რეზინის ნაფში. ეკიპაჟის ორი წევრი გავიდა და შიმშილი-საგან გარდაიცვალა. ორმა კი რაღაც სასწაულით გადაიტანეს უმძიმესი მდგომარეობა, სანამ შემთხვევით ნავი ჰოლანდიის ნაპირთან არ გამოირიყა.

ეს ტანჯვა-წვადების მხოლოდ დასაწყისი იყო. იგი ტყვედ ჩავარდა და თითქმის ერთი წელი ციხის საავადმყოფოში გაატარა. ძნელია აღწერო ის არაადამიანური მოპყრობა, დაცინვა, რასაც შიშვა იტანდა. სისხლში მოსვრილ შიშვას ექიმები აიძულებდნენ ფეხზე დამდგარიყო, რის შემდეგ გრძნობის დაკარგვამდე როზგავდნენ.

მალე შიშვამ გაიგო არაადამიანური წამების განსაკუთრებული მიზეზი: მას განუცხადეს, რომ იგი ცნობილია „სამშობლოს მოღალატედ“.

— რატომ? — ცდილობს წინააღმდეგობის გაწევას შიშვა. — მე ხომ ბრიტანეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ოფიცერი ვარ?

მაშინ შიშვას განუცხადეს, რომ 1939 წლის 29 მარტის კანონის თანახმად და შესაბამისი ინსტრუქციების მიხედვით გერმანელი ხელისუფალნი მას თვლიან „პროტექტორატის მოქალაქედ“. ამ კანონის ძალით შიშვას მიუხაჯეს სიკვდილით დასჯა „სამშობლოს ღალატისათვის“. მოკავშირე ჯარების შემოსვლამ იგი იხსნა სიკვდილისაგან.

შიშვას არასოდეს არ უნახია გლობკე და გლობკეს კი შიშვა, მაგრამ თავისი პარაგრაფით მან იგი სასიკვდილოდ გაგზავნა.



გლობკემ უარი თქვა სასამართლოში გამოცხადებაზე. გამოძახების ბარათი, რომელიც გაიზავნა ბერლინიდან ბონში დიქტარასის 10 ნომერში გლობკეს სახლში, დაბრუნდა „შტემპულით „ადრესატმა მიღებაზე უარი განაცხადა“.

საკვირველია, მაგრამ ფაქტია: გლობკეს ნაცვალად გამოძახება მიიღო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ. პროცესის პირველსავე დღეს მათ გამოაქვეყნეს სპეციალური განცხადება, რომელშიც შემდეგს ამტკიცებდნენ:

1. პროცესი წარმოადგენს „კომუნისტურ პროპაგანდას“.

2. ყველა ბრალდება სტატს-მდივნის საწინააღმდეგოდ წაყენებული „შემოწმებული და უარყოფილია“.

3. ბრალდებები უსამართლოა, რადგან გლობკე „შეძლებისდაგვარად“ იმპერიის რეჟიმის წინააღმდეგ მოქმედებდა...

პროცესზე ეს პასუხი განიხილეს. მისი შედეგები მეტად არასასიამოვნოა ბონის ხელისუფლებისათვის.

23 ქვეყნიდან ჩამოსული სტუმარი ხედავდა სასამართლო როგორი სიმკაცრით იხილავდა მასალებს და მოწმეთა ჩვენებებს, არქივის პირველად დოკუმენტებს.

რაც შეეხება მტკიცებას, თითქოს ყველა ბრალდება ბონში „შემოწმებული და უარყოფილია“ მიღებული იყო დიდი უნდობლობით.

მე შევეკითხე დასავლეთ გერმანიის ყურნალისტს, წიგნის „დოქტორ ჰანს გლობკეს“ ავტორის რიხარდ შტრეკერს:

— ბატონო შტრეკერ, — თქვენ როგორც ამ საკითხების სპეციალისტს, გთხოვთ მიპასუხოთ, სად განიხილეს ვფრ-ში ბრალდება მიმართული გლობკეს საწინააღმდეგოდ?

შტრეკერი პასუხობს.

— პრაქტიკულად არსად. 1961 წელს ბონის პროკურატურა აწარმოებდა წინასწარ გამოძიებას გლობკეს საქმიანობის შედარებით უმნიშვნელო ეპიზოდზე, რომელიც დაკავშირებული იყო საბერძნეთიდან ებრაელების გამოსახლებასთან... მაღე ძიება შეწყდა..

ბონის მტკიცებანი უარყოფილ იქნა შემდეგნაირად: მოწმე შუბერტის დაკითხვისას გამოიჩინა, რომ 1961 წლის დეკემბრის თვეში მან ბონის პროკურატურაში აღძრა სარჩელი, რომლითაც გლობკეს თვლდა თავის ტანჯვა-წამების პირად პასუხისმგებლად.

სასამართლოს თავმჯდომარე: როგორი იყო შედეგი?

შუბერტი: ბატონო თავმჯდომარე, არავითარი პასუხი აქამდე არ მიმიღია. სდუმს კანცლერი ადენაუერი, რომელსაც შევტყობინე ჩემი საქმის შესახებ.

12 ივლისს გლობკე ესწრება პროცესს, მხოლოდ არა ბერლინში, არამედ ვუბერტალში, სადაც სამხედრო დამნაშავე ესეკლებს ასამართლებდნენ. აქ ბონის სტატს-მდივანი და ჰილმარის ყოფილი ჩინოვნიკი დაცვის მოწმეზე გამოიღის. იგი ბრალდებულებებს დამნაშავეებად არ სცნობს, რადგან გლობკეს აზრით ხვრეტადნენ რა მშვიდობიან მოსახლეობას, ისინი მხოლოდ სხვის ბრძანებას ასრულებდნენ.

თუ ეს დემონსტრაციაა დოქტორ გლობკეს მხრიდან, მით უმეტეს დიდი მნიშვნელობა აქვს პროცესს, რომელიც ბერლინში მიმდინარეობს!!!

კვირის დასასრულს სასამართლო გადადის ბრალდების მესამე პუნქტზე: ბონის სტატს-მდივნის თანამონაწილეობა ჰიტლერის რაიხის მიერ დამონებულ ხალხთა გაგერმანელებაში.

ნაციტ დამპყრობთა ყველა ბრალდება ეს იყო წინასწარ გათვალისწინებული. მოქმედებანი, რომლებიც ხორციელდებოდა ღრმად შემუშავებული კანონების, ინსტრუქციებისა და ბრძანებების შესაბამისად. უთანასწორობა გამეფდა სამართლებრივი ნორმების გარეგნული ფორმების დაცვით. ამ სასწაულებრივ პროცესში მეტად აქტიურ როლს თამაშობდა დოქტორი გლობკე.

აი, 1939 წლის ისტორია ჰიტლერული არმიის მიერ კლაიპედის ოლქის მოწყვეტის შესახებ. ამ საკითხის ირგვლივ მოწმეების გამოჩენამ სენსაცია გამოიწვია: ლიტვის სავარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი იუოზას ურბშივიცი და ლიტვის შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსულტანტი ანტანას იაკობასი.

ურბშივიცი ყვება, რიბენტროპმა როგორც თავხედურად მოთხოვა ლიტვას გერმანიის გადასაცემად კლაიპედის ოლქი. კლაიპედის ოლქში შესვლამდე, ერთი დღით ადრე ჰიტლერმა ხელი მოაწერა კანონს კლაიპედის ოლქის მოსახლეობის „ქვეშევრდომობის“ შესახებ. ამ კანონის ცხოვრებაში გატარებას აწარმოებდა ჰანს გლობკე. იგივე გლობკე ინიშნება მესამე რაიხის სრულყოფილიან წარმომადგენლად ლიტვასთან მოლაპარაკებისას კლაიპედის ოლქის მცხოვრებთა „მოქალაქეობის“ პრობლემის მოწესრიგებისათვის. ამ მოლაპარაკების შესახებ დაწერილებით ყვება იურისტი ანტანას იაკობასი, რომელიც პირადად შეეხებათა გლობკეს.

გლობკემ ლიტვას თავს მოახვია ისეთი პირობები, რომელიც პრაქტიკულად ადგილობრივი მოსახლეობის იძულებით გაგერმანელებას, მისთვის ყოველგვარი მოქალაქეობრივი უფლების ჩამორთმევას და მესამე რაიხის მიერ უსირცხვილო ძარცვას ნიშნავდა.

ასე იყო არა მარტო კლაიპედის დაპყრობისას. ეს ტიპური მაგალითია მხოლოდ. როდესაც ვერმახტი შევიდოდა ამა თუ იმ ქვეყანაში ში-

ნაგან საქმეთა სამინისტრო მოსახლეობაზე მაშინვე ავრცელებდა ღირებულებებს და განკარგულებებს, რომლებსაც გლობკე და მისი კოლეგები ამუშავებდნენ. ეს კანონები სისრულეში მოპყავდათ ვერმანის დამსჯელ რაზმებს, პოლიციის ე. წ. „ეინზაცგუფებს“.

მოწმეთა ჩვენებები აგვიწერს იმ საშინელ რეჟიმს, რომელიც დამყარებული იყო პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, საბჭოთა კავშირის და დროებით დაპყრობილ სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე.

ჯალათები მოქმედებდნენ რასისტული კანონების საფუძველზე, რომელთა თანავეტორი გახლდათ დოქტორი გლობკე.

მოწმე ლატვიის სსრ-დან, საბჭოთა მოქალაქე მარია გერმერის სასამართლოს უყვება როგორ გახდა რასისტული კანონმდებლობის მსხვერპლი.

ესეული ჯალათები გლობკეს „კანონებით“ მოქმედებდნენ. მათ გერმერის სახელზე გასცეს სპეციალური დოკუმენტი, რომელიც გამოაქვეყნეს სასამართლოზე.

...ჩემს გვერდზე იჯდა ცნობილი ფრანგი მეცნიერი პროფესორი ბულიე, რომელმაც თავი ვერ შეიკავა და ხმამაღლა წამოიძახა:

— ღორები! — ღმერთო ჩემო, ეს ხომ ნამდვილი ღორბაა!...

სასამართლოზე გამოქვეყნებულ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს სამინისტროს მიერ შემუშავებული ინსტრუქციები, რომლებიც დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობის გაგერმანელების პოლიტიკას ეხებოდა.

ჩინაფიქრი ჭეშმარიტად ჯოჯოხეთური იყო: პოლონეთში, უკრაინაში, ბალტიისპირეთში განისაზღვრა ვიწრო წრე, რომელთა „გაგერმანელება“ უნდა მომხდარიყო. ეს პირები ირიცხებოდნენ ე. წ. „სახალხო სიებში“. დანარჩენი მოსახლეობა განწირული იყო განადგურებისათვის.

აი სასამართლოზე გამოქვეყნებული ერთ-ერთი დოკუმენტი: შტანდარტენფიურერის ეგერის ანგარიში ლიტვის ტერიტორიაზე მოქმედი მე-3 ეინზაცრაზმის საქმიანობის შესახებ. ეგერი ახსენებს: 1941 წლის 23 აგვისტოს განადგურებულია 1312 კაცი, 4602 ქალი, 1609 ბავშვი; 25 აგვისტოს 112 კაცი, 627 ქალი, 421 ბავშვი, 26 აგვისტოს — 767 კაცი, 1133 ქალი, 687 ბავშვი.

საბჭოთა მეცნიერების, აკადემიკოსს ხ. ხ. კრუჟინის და ი. მ. იურგენისის მიერ წარმოდგენილ ექსპერტიზაში მოცემულია გლობკეს მონაწილეობით შემუშავებული კანონების კონსტანტირება,

რომლის მიხედვით, ისინი (კანონები) წარმოადგენენ „ერთ-ერთ მძლავრ იარაღს გაგერმანელების მიზნის მიღწევისათვის“.

დასავლელი ცდილობს გლობკე წარმოადგინოს პიროვნებად, რომელიც პიტლერს „წინააღმდეგობას“ უწევდა. სწორედ ეს მტკიცება ედვა საფუძვლად ბონის 8 ივლისის განცხადებას, სადაც გლობკე გამოჰყავდათ, როგორც თავისი მოვალეობის უგულო შემსრულებელი, რომელიც შეძლებისდაგვარად ცდილობს შეუმსუბუქოს ფაშისტურ გერმანიაში ხალხს ბედი.

ეს ვერსია უარყოფილ იქნა მოწმეების მიერ. ანა პოკორა რანსდორფიდან შემდეგ ეპიზოდს ჰყვება: მისი ქმარი მივიდა გლობკესთან თხოვნით, შეუმსუბუქოს მდგომარეობა თავის ნათესავს, გდინში მცხოვრებ პოლონელ ექიმს.

გლობკემ შეჰყვირა:

— ის ჰერ კიდევ ცოცხალია? ეს როგორ მოხდა? მე კი მეგონა, რომ მთელი პოლონეთის ინტელიგენცია დახვრეტილია...

სასამართლომ გულმოდგინედ შეისწავლა ყველა დოკუმენტი და ვერ დაადგინა ვერც ერთი შემთხვევა, სადაც გლობკეს თავისი შეფების საწინააღმდეგოდ ემოქმედა.

საცხებით ნათელია, რომ გლობკე პირველ რიგში თავის დანაშაულისათვის უნდა გასამართლებულიყო სადაც ამჟამად ცხოვრობს — დასავლეთ გერმანიაში. მაგრამ ეს არ მოხდა.

უკანასკნელ წლებში დასავლეთ გერმანიის იუსტიცია საზოგადოებრივი ფართო წრეების აშკარა ზეგავლენით სულ უფრო ხშირად იძიებს სამხედრო დანაშაულთა საქმეებს.

მაგრამ ამ პროცესების ტენდენცია აშკარაა: ისინი სრულიად არ ცდილობენ დასაჯონ ბოროტმოქმედნი. ხშირად განაჩენი სიმბოლიურ ხასიათს ატარებს. 1958 წლიდან დასავლეთ გერმანიის სასამართლოების წინაშე წარსდგა 153 სამხედრო დანაშავე. აქედან 32 გამართლებულია. უმრავლესობას კი მიესჯა მცირე ხნით თავისუფლების აღკვეთა.

მოვიყვან მაგალითებს, რომლებსაც უკანასკნელ დღეებში აშუქებდა დასავლეთ გერმანიის პრესა.

იმ დღეს, როდესაც დაიწყო გლობკეს სასამართლო, გაზეთები იუწყებოდნენ, რომ გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ შეწყვიტა გამოძიება სამხედრო დანაშავის, ნაცისტ ღუშენშენის საქმისა.



ამასთან პრესამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ბამბერგის ქალაქის პროკურორმა შეწყვიტა ნაცისტ მოსამართლეებს ეიზენშტისა და აუმიულერის საქმის ძიება.

12 ივლისს ფრეიბურგში გაამართლეს 322-ე პოლიციის ბატალიონის მონაწილენი, რომლებსაც მიუძღოდათ დანაშაული ქალაქ მაგილიოვის 3726 საბჭოთა მოქალაქის გაქვლევით. სასამართლო არ უარყოფდა, რომ მასიურ განადგურებას ადგილი ჰქონდა, მაგრამ ჯალათები გამართლებული იქნენ შემდეგი მოტივით:

ბრძანება განადგურების შესახებ გაცემული იყო არა პოლიციის ხელისუფალთა, არამედ ესესელების მიერ.

მთელი პოლიტიკური ატმოსფერო ფედერაცი-

ულ რესპუბლიკაში ისეთია, რომ ნაცისტ დანაშაულების დასჯა სამართლებრივ ნორმად არ ითვლება — პირიქით!

გლობკეს პროცესზე 19 ივლისს გამოვიდა პროკურორი, 20 ივლისს — დამცველი, 23-ში გამოტანილია განაჩენი.

გლობკეს მიესაჯა მუდმივი თავისუფლების აღკვეთა და სამუდამოდ ჩამოერთვა მოქალაქეობრივი უფლებანი.

პროცესი დამთავრებულია? — საეჭვოა.

გლობკეს სასამართლო ეს იმ მკაცრი განაჩენის ნაწილია, რომელიც უნდა გამოეტანოს ნაცისტ დანაშაულებს და მათ მემკვიდრეებს.

უფრნალი „ნოვოე ვრემია“,
1963 წელი, № 29 და № 30

თარგმანი ლ. ზანტშრიბსი.




ჭიჭიკა და ბიჭოიკონია

კოსტადინ ლიუტოვი

(**ვ. გ. მაყაშვილი, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა
ბავშვთსილვეზობისთვის¹**)

იურიდიული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა, მოსკოვი, 1957 წ.



ლემა ჯერ კიდევ არაა მთლიანად გარკვეული და დღესაც იწვევს გაცხოველებულ დავას. განსახილველი ნაშრომის ავტორი ამიტომ სწორად აღნიშნავს, რომ საბჭოთა იურისტებმა ყოველი დონე უნდა იხმარონ ამ პრობლემების გადასაწყვეტად და გაუფრთხილებლობაზე ისეთი დასრულებული მოძღვრების შესაქმნელად, რომელსაც საფუძვლად დაედება დიალექტიკური მატერიალიზმის პრინციპები.

სწორედ ასეთი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს გაუფრთხილებლობის თაობაზე სპეციალურ მონოგრაფიულ გამოკვლევას, რომელიც საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში აქამდე არ ყოფილა და როგორსაც წარმოადგენს ვ. გ. მაყაშვილის ნაშრომი. ავტორმა სავსებით სწორად დაისახა ამოცანად განიხილოს ის პრობლემები, რომლებიც, მისი აზრით, „დიდი მნიშვნელობისა და საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში დავას იწვევენ“ (გვ. 17).

ამ მიმართულებით ავტორი თანმიმდევრულად განიხილავს ნაშრომის ხუთ თავში საკითხებს დანაშაულებრივი თვითმედოვნებისა და დანაშაულებრივი დაუდევრობის, გაუფრთხილებლობის კრიტერიუმებისა და გაუფრთხილებლობის დროს საზოგადოებრივად საშიში ქმედობისადმი პირის ფსიქიკური დამოკიდებულების შინაარსის შესახებ, აგრეთვე საბჭოთა სისხლის სამართლის იმ ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავენ გაუფრთხილებლობის ცნებას და პასუხისმგებლობას სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედობის გაუფრთხილებლობით ჩადენისათვის.

მთელი მონოგრაფიისათვის დამახასიათებელი ერთი ძირითადი დირსება — უშუალო და ღრმა

საბჭოთა სისხლის სამართლის მეცნიერებაში ჩვეულებრივ საკმაოდ დამუშავებულად ითვლება გაუფრთხილებლობის საკითხი. მას ეთმობა მნიშვნელოვანი ადგილი როგორც მონოგრაფიულ გამოკვლევებში, რომლებიც პირდაპირ თუ გავრთი ეხებიან მოძღვრებას ბრალზე, ასევე მრავალ სპეციალურ სტატიაში. მიუხედავად ამისა, გაუფრთხილებლობის ზოგიერთი პრობ-

¹ რედამცეისსაზან: ქართველი კრიმინალისტიკის ვ. გ. მაყაშვილის წიგნს „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობისათვის“ (იურიდიული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა, მოსკოვი, 1957); რომელმაც აღიარება შპოვა საბჭოთა სამართლებრივ ლიტერატურაში, ინტერესით შეხედნენ აგრეთვე საზღვარგარეთ. ქვემოთ ვებქმედვთ ცნობილი ბულგარელი კრიმინალისტიკის კოსტადინ ლიუტოვის რეცენზიას ამ წიგნზე. რეცენზია გამოქვეყნებული იყო ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის სამართლის მეცნიერებათა ინსტიტუტის ორგანოს ყურნალ „ბრავნა მისლის“ 1958 წ. № 3-ში.

ჩაწვდომა ფსიქიკურ პროცესებში, კონკრეტული და ღრმა ანალიზი განცდებისა, რომლებიც მიმდინარებენ ბრალეული პირის (დამნაშავის) ცნობიერებაში და განაპირობებენ მის მიერ ჩადენილი საზოგადოებრივად საშიში ქმედობისადმი მისი ფსიქიკური დამოკიდებულების ერთიან შინაარსსა და ხასიათს. სწორედ ამან მისცა განსახილველი ნაშრომის ავტორს შესაძლებლობა კონკრეტულ მასალაზე დაყრდნობითა და სავნის შესანიშნავი ცოდნით ჩამოეყალიბებინა საკუთარი დასკვნები გაუფრთხილებლობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და იურიდიული შეფასებისა და იმ დაუსაბუთებელ მტკიცებათა შესახებ, რომლებსაც ხშირად ვხვდებით ამგვარ გამოკვლევებში.

ავტორმა მიზნად დაისახა მოეცა გაუფრთხილებლობასთან დაკავშირებულ ნორმათა ღრმა ანალიზი და ასეთი ანალიზის საფუძველზე დაასაბუთა წინადადება *de lege ferenda* (იხ. მაგ., გვ. გვ. 188—190). ეს ანიჭებს წიგნს გარკვეულ მნიშვნელობას საბჭოთა სისხლის კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფისათვისაც ამ მიმართულებით.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ღრმად დასაბუთებული კრიტიკა ბურჟუაზიული შეხედულებებისა ცალკეულ საკითხებზე (იხ. გვ. გვ. 28-31, 43-58, 58-66, 97-106, 192-193 და სხვ.), რასაც საფუძვლად უდევს უშუალო შესწავლა გაკრიტიკებულ ავტორთა ნაშრომებისა და პოზიციური სამართლებრივი მასალისა. ავტორი კი არ კმაყოფილდება ასეთი შეხედულებების კრიტიკით, არამედ ააშკარავებს მათ იდეოლოგიურ და მეთოდოლოგიურ საფუძვლებს.

ვ. გ. მაყაშვილის ნაშრომი კვლავ და კვლავ გვარწმუნებს იმაში, რომ გაუფრთხილებლობის როგორც ბრალის ერთ-ერთი ფორმის შესწავლა იმდენადვე იურიდიული გამოკვლევა, რამდენადაც აგრეთვე ფსიქოლოგიური და მოითხოვს დამნაშავის ფსიქიკურ სამყაროში ღრმად შეღწევის უნარს. უამისოდ ამ პრობლემის კვლევა უთუოდ ზერელე და მერყევი ხასიათისა იქნებოდა.

წინამდებარე რეცენზია ეხება მხოლოდ ძირითად საკითხებს, რომლებიც ვ. გ. მაყაშვილის ნაშრომშია დასმული, და, უპირველეს ყოვლისა, იმათ, რომლებიც გარკვეულ შენიშვნებს იწვევენ.

II.

ავტორს კარგად აქვს გახსნილი დიალექტიკური ურთიერთკავშირი დანაშაულის გარეგან და შინაგან მხარეებს შორის და მათი შედარებითი დამოუკიდებლობა (გვ. 5-6). მისი აზრით, ბრალის ცნებაში ობიექტური ელემენტების შეტანა

ისევე დაუშვებელია (გვ. 6), როგორც ბრალის მთლიანი მოწყვეტა ქმედობის ჩადენის ობიექტური თვისებებისაგან, ნიშნებისაგან და ა. შ. რადგან ბრალის შინაარსი განსაზღვრება გარეგანი პროცესებით, რომელთა განხორციელებისაკენ მიმართულია პირის ნება (გვ. 7), და დამოკიდებულია დანაშაულებრივი მოქმედების ხასიათსა და შედეგის სიმძიმეზე (გვ. 8).

ჩადენილი ქმედობისადმი ყოველგვარი ფსიქიკური დამოკიდებულება კი არაა ბრალი, არამედ მხოლოდ ისეთი დამოკიდებულება, რომელიც თავისი შინაარსით, ინტელექტუალური და ნებითი ელემენტებისა და საზოგადოებრივი საშიშროების სპეციფიკური შეერთებით ისეთია, რომ იმსახურებს უპაჩოფით შეფასებასა და დაგმობას სოციალისტური საზოგადოების ინტერესთა თვალსაზრისით (გვ. 10).

ამასთან დაკავშირებით, ერთის მხრივ, აღნიშნულია შეფასებითი მომენტი ბრალის ცნების განსაზღვრისას, ხოლო მეორეს მხრივ, ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ ბრალის ცნებაში შედის არა თვით შეფასება, არამედ ასეთი შეფასების საფუძველი — „ფსიქიკური დამოკიდებულების დასაფუძვლი ხასიათი“ (გვ. 11), და ამიტომ ბრალი კი არ უთანაბრდება შეფასებას, არამედ დაკავშირებულია შეფასების რეალურად არსებულ საგანთან (გვ. 56). ამაში მდგომარეობს ავტორის თვალსაზრისის პრინციპული განსხვავება ბრალის ბურჟუაზიული შეფასებითი თეორიებისაგან, რომელთა მიხედვით ბრალი არ არის რაღაც, რაც რეალურ სინამდვილეში არსებობს, არამედ წარმოადგენს მარტოოდენ შეფასებით მსჯელობას, ე. ი. ბურჟუაზიული სასამართლოს მსჯელობას (გვ. 55).

III.

როგორც სავსებით სწორად მიუთითებს ავტორი (გვ. 19-20), თვითიმედოვნებისათვის დამახასიათებელია დამნაშავის დარწმუნებულობა, რომ იგი თავიდან აიცილებს საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომას, რაც ბოლოს და ბოლოს განსაზღვრავს პირის გადაწყვეტილებას ჩადენის ქმედობა (გვ. 31). ამასთან დაკავშირებით საფუძვლიანად არის გაკრიტიკებული ბ. ს. უტევსკის მტკიცება იმის შესახებ, რომ დანაშაულებრივი თვითიმედოვნებისას დამნაშავე პირი ამჟღავნებს მზადყოფნას გაბედოს და ზიანი მიაყენოს სამართლით დატულ ობიექტებს, ამჟღავნებს გადაწყვეტილებას იმოქმედოს მიუხედავად იმისა, რომ შექმნილია საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობა (გვ. 19).

მეორეს მხრივ, ავტორი სწორად მიუთითებს დამნაშავის ასეთი დარწმუნებულობის დაუფიქრებელ ხასიათზე, რაკი იგი არ იჩენს საზოგადოებისა და მოქალაქეთა ინტერესებისადმი

ფრთხილ დამოკიდებულებას, რომელიც მას მოეთხოვება და რომელიც ამ პირობებში შესაძლებელია; სწორედ ეს განსაზღვრავს იმას, რომ მისი ფსიქიკური დამოკიდებულება მორალურ-პოლიტიკურად გასაკიცხავია (გვ. 21). თუ პირს არ გადაუხვევია ასეთი სავალდებულო და შესაძლებელი ყურადღებანიანობისა და სიფრთხილისაგან, ლაპარაკიც არ შეიძლება დანაშაულებრივ თვითიმედოვნებაზე (გვ. 23). ამ საფუძველზე ავტორი სწორად ხსნის თვისობრივ განსხვავებას (გვ. 31) დანაშაულებრივ თვითიმედოვნებასა და ევენტუალურ განზრახვას შორის, იძლევა მათ მართებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დახასიათებას და სამართლიანად აკრიტიკებს ბ. ს. უტევსკის მტკიცებას იმის შესახებ, რომ ბრალეული დამოკიდებულების ამ ორი ფორმის დროს პირი არსებითად ერთნაირ დამოკიდებულებას იჩენს სოციალისტური საზოგადოებისა და მოქალაქეების ინტერესებისადმი (გვ. 30 და მოქ.).

უნდა დავეთანხმოთ ავტორის შეხედულებას, რომ სწორედ საზოგადოებრივად საშიში შედეგების თავიდან აცილების ვარაუდში მდგომარეობს ძირითადი გამიჯნავი ნიშანი დანაშაულებრივ თვითიმედოვნებასა და ევენტუალურ განზრახვას შორის (გვ. 33-34). მაგრამ ყოველგვარი იმედი როდი ახასიათებს ფსიქიკურ დამოკიდებულებას როგორც დანაშაულებრივ თვითიმედოვნებას. ამისათვის აუცილებელია, რათა პირი დარწმუნებული იყოს დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილებაში (გვ. 41). სამწუხაროდ, ეს აზრი, როგორც ძირითადი, არ არის საკმაოდ განვითარებული ამ მიმართულებით. სიზუსტე აკლია ავტორის მტკიცებას იმის შესახებ, რომ ევენტუალურ განზრახვას აუცილებლად უნდა მივაკუთვნოთ ისეთი შემთხვევები, „როცა სუბიექტს გარკვეულ გარემოებათა იმედი კი აქვს, მაგრამ ამავე დროს შეგნებული აქვს, რომ ამ გარემოებათა მნიშვნელობა მოცემულ სიტუაციაში თითქმის ნოლს უდრის, რომ ეს გარემოებანი შეიცავენ უაღრესად მცირე შესაძლებლობას, რათა იმოქმედონ შედეგის დადგომის წინააღმდეგ“ (გვ. 41-42). ჩვენის აზრით, აუცილებელი არაა, რომ პირმა ასე შეაფასოს აღნიშნული გარემოებანი. შეიძლება ვთვლიდეთ, რომ მათი მნიშვნელობა დიდია, რომ მათი დადგომის შესაძლებლობა არც თუ მცირეა, და ამავე დროს არ ვიყოთ დარწმუნებული, რამდენადაც დარწმუნებულობა გულისხმობს პირის სრულ დაჯერებულობას იმაში, რომ გა-


რემოებანი აბსოლუტურად საკმარისია და არ არსებობს არავითარი დაქვევა ამ მიმართულუბით; უმცირესი დაქვევა მათ საკმარისობაში გამოირიცხავს დარწმუნებულობას და განაპირობებს ევენტუალური განზრახვის არსებობას.

ამასთან დაკავშირებით სხვა უზუსტობაც შეინიშნება. ავტორი ამტკიცებს, რომ დანაშაულებრივი თვითიმედოვნებისას იმედი არის ერთ-ერთი მოტივი, რომელიც განამტკიცებს გადაწყვეტილებას მოქმედების შესრულებისა (გვ. 38-39). იმედს, რომელსაც არ მიუღწევია დარწმუნებულობამდე, ევენტუალური განზრახვის დროსაც შეუძლია შესარულოს ერთი იმ მოტივთაგანის როლი, რომლებიც განამტკიცებენ გადაწყვეტილებას მოქმედების შესრულებისა. მაგრამ საქმე ისაა, რომ დანაშაულებრივი თვითიმედოვნებისას დარწმუნებულობა არის გადამწყვეტი მოტივი, მოტივი, რომელიც ბოლოს და ბოლოს განსაზღვრავს გადაწყვეტილებას. პირი სწორედ იმიტომ ბედავს ჩაიდინოს ქმედობა, რომ იგი დარწმუნებულია. ევენტუალური განზრახვის დროს იმედი ასრულებს დამატებით, თანამდევით მოტივის როლს, რომელიც მარტოოდენ ასუსტებს და აკავებს მთავარ მოტივს.

მასასადამე, აუცილებელია უფრო მკაფიოდ და თანმიმდევრულად გაესვას ხაზი, რომ განსხვავება დანაშაულებრივ თვითიმედოვნებასა და ევენტუალურ განზრახვას შორის დამოკიდებულია იმაზე, დარწმუნებულია თუ არა პირი, რომ შედეგებს თავიდან აიცილებს, რომ გარემოებანი, რომელთა იმედი მას აქვს, აბსოლუტურად საკმარისია; გარკვევით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ასეთი დარწმუნებულობა განსაზღვრავს გადაწყვეტილებას მოქმედების ჩასადენად. არაფერია იმაზე უფრო აუცილებელი, რომ მკაფიოდ გაიმიჯნოს ბრალის ეს ორი ფორმა.

სინანულს თუ გამოვთქვამთ იმის გამო, რომ ნათლად ჩამოყალიბებული, სწორი და ორიგინალური იდეის შემდგომი განვითარების ნაცვლად ვ. მყავაშვილი გაიტაცა სხვა გამიჯნავი ნიშნების კვლევამ. ამ კვლევის პროცესში დაშვებულია ზედმეტი გადახვევა ძირითადი აზრისაგან; ავტორი ამტკიცებს, რომ ევენტუალური განზრახვა, დანაშაულებრივი თვითიმედოვნებისაგან განსხვავებით, ხსიათდება განურჩეველი დამოკიდებულებით შედეგისადმი (გვ. 37)¹. ამას ვერ დავეთანხმებით იმიტომ, რომ განურჩევლობა სრულიად არაა დამახასიათებელი დაშვებისათვის, რომელსაც ავტორი მიიჩნევს ევენტუალური განზრახვის ნიშნად.

¹ ასეთივე შეხედულებისაა ნ. დ. დურმანოვიც (Понятие телесных повреждений, „Советское государство и право“, 1957, № 7, გვ. 88), ჩვენში კი— ბუზოვი (Преступления на транспорте, София, 1956, стр. 110).



ენგელსის განზრახვისას პირს არ სურს გამოიწვიოს საზოგადოებრივად საშიში შედეგი. ამ შედეგის შეგნება მისთვის ასრულებს თავისი ქმედობის ჩადენის საწინააღმდეგო მოტივის როლს. მაგრამ ამავე დროს მას სურს მიაღწიოს ქმედობის ჩადენის გზით დასახულ მიზანს. ამ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო სურვილის ბრძოლაში იმარჯვებს მეორე სურვილი, ე. ი. მიუხედავად იმისა, რომ პირს არ სურს შექმნას საზოგადოებრივი ურთიერთობებისათვის ზიანის მიყენების საშიშროება, ეს მოტივი არაა **საკმაოდ ძლიერი, საკმაოდ ინტენსიური** იმისათვის, რათა გამოარჯვოს მოტივთა ბრძოლაში გადაწყვეტილების არჩევნისას და სძლიოს დასახული მიზნის მიღწევის სურვილს.

სწორედ ის გარემოება, რომ დასახული მიზნის მიღწევის სურვილი აღმოჩნდა უფრო ძლიერი, უფრო ახლო ამსრულებლის ნებასთან, — აი ეს იძლევა საფუძველს მისი მოქმედების გასაკიცხავად. განურჩევლობა კი, პირიქით, იმაზე მიუთითებს, რომ ასეთ გარემოებაში შეგნება არ ასრულებს როლს არც მოტივის მიმართ, არც მოქმედების ჩადენის მიმართ და არ მონაწილეობს მოტივთა ბრძოლაში მოქმედების შესახებ გადაწყვეტილების ჩამოყალიბებისას.

IV.

ავტორის შეხედულება სისხლისამართლებრივ შერაცხვაზე, როგორც დანაშაულებრივი დაუდევრობისათვის პასუხისმგებლობის წანამდღარზე (გვ. 43-78), საფუძველს გვაძლევს გვაქეთთ ზოგიერთი შენიშვნა, თუმცა ამასთანავე ვალიარებთ საკითხის დამუშავების ფრიად მაღალ დონეს.

უპირველეს ყოვლისა ვერ დავთანხმებით ავტორის შეხედულებას, რომ თავისუფალ მოქმედებას რაღაც მნიშვნელობა აქვს, რაც მოქმედი პირის მიერ ობიექტურ კანონზომიერებათა გათვალისწინებით მიღებულ გადაწყვეტილებას (გვ. 68-69). ავტორი თვითონ ამტკიცებს, რომ დიალექტიკური მატერიალიზმის აზრით თავისუფლება არის „ობიექტურ აუცილებლობაზე ზემოქმედების შესაძლებლობა“, ხოლო მეორეს მხრივ, ავტორის აზრით, „პირის უნარი შეასრულოს შეგნებული ნებითი მოქმედება, მისი უნარი მოიქცეს სხვანაირად, ვიდრე იგი მოიქცა კონკრეტულ შემთხვევაში, იძლევა იმის საფუძველს, რომ მას დაეკისროს როგორც ზნეობრივი, ასევე სამართლებრივი პასუხისმგებლობა“ (გვ. 76).


ენგელსი კატეგორიულად წერს, რომ თავისუფლება მდგომარეობს „კანონების შეცნობაში და ამ ცოდნაზე დამყარებულ შესაძლებლობაში გეგმავთიერად მოახდინოს მათზე ზემოქ-

მედება გარკვეული მიზნის მისაღწევად“ და რომ ეს სხვა არაფერია, თუ არა „პირის უნარი მიიღოს გადაწყვეტილება საქმის ცოდნით“. მაშასადამე, ენგელსი ნების თავისუფლების არსს ხედავდა სწორედ პირის შესაძლებლობაში, მის უნარში მიიღოს გადაწყვეტილება შეცნობილი კანონზომიერების შესაბამისად და არა ნამდვილად მიღებულ გადაწყვეტილებაში. ბ. ს. უტენსკიც, რომელიც ანალოგიურ შეხედულებას ავიტარებს, წერს, რომ ენგელსის მიხედვით თავისუფლება არის „უნარი ისეთ გადაწყვეტილებათა მიღებისა, რომლებიც შეესაბამებიან საზოგადოებრივი განვითარების კანონებს“ (იხ. გვ. 70). მაგრამ უნარი, შესაძლებლობა გადაწყვეტილებათა მიღებისა არ უდრის პირის მიერ ნამდვილად მიღებულ გადაწყვეტილებას. აღამაინს შეიძლება ჰქონდეს შესაძლებლობა, უნარი და მიუხედავად ამისა მაინც არ აირჩიოს ობიექტურ კანონზომიერებათა შესაბამისი გადაწყვეტილება. გადაწყვეტილებათა მიღების უნარი საერთოდ და უნარი ისეთი გადაწყვეტილების მიღებისა, რომელიც შეესაბამება ობიექტურ კანონზომიერებას, სრულებით არაა ერთი და იგივე; მაგრამ მართლაც ეს არ ამტკიცებს იმას, რომ უკანასკნელი გაიგივებულია ნამდვილად არჩეულ გადაწყვეტილებასთან, ე. ი. არ ამტკიცებს, რომ ის, ვინც არ აირჩია სწორი გადაწყვეტილება, არ მოქმედებს თავისუფლად.

ეს საკითხი სადავოა და, რაკი ავტორმა იგი განსახილველად დასვა, საჭირო იყო უფრო ღრმად მოეცა საკუთარი ანალიზი და დასაბუთება, რასაც იგი იჩენს სხვა საკითხების განხილვისას.

V.

ძირითადი დებულებების ჩამოყალიბების შემდეგ ავტორი იკვლევს საკითხს დანაშაულებრივი დაუდევრობის ბუნების შესახებ. ერთ-ერთ მთავარ საკითხს, რომელიც მან ამასთან დაკავშირებით დააყენა, წარმოადგენს დანაშაულებრივი დაუდევრობისას ფსიქიკური დამოკიდებულების ხასიათის პრობლემა. ავტორი სრულად და მტკიცე ლოგიკური თანმიმდევრობით გადმოგვეცემს ძირითად დებულებებს, რომლებიც ამ საკითხთან დაკავშირებით ცნობილია საბჭოთა სისხლისამართლებრივ ლიტერატურაში. ავტორი სწორად აღნიშნავს, რომ განსხვავება განზრახვისა და დაუდევრობის ფსიქიკურ შინაარსთა შორის არ არის მხოლოდ რაოდენობრივი, და უარყოფს ო. ს. იოფეს მტკიცებას, თითქოს დაუდევრობისას პირს „შეგნებული ჰქონდა, რომ შეიძლება დადგეს ისეთი შედეგები, რომლებიც ანალოგიურია დამდგარი შედეგებისა“ (გვ. 81 და მომდ.). მართებულადაა ავ-



რთვე გაკრიტიკებული ბ. ს. უსტევსკის თვალსაზრასი, თითქოს დანაშაულებრივი დაუდევრობის ბრალი მდგომარეობს „შეგნებულად უღარდელ დამოკიდებულებაში სხვათა ინტერესების მიმართ“, „პირის მოუნდომებლობაში გაიზაროს თავისი საქციელი და მისი შედეგები“ (გვ. 85-86). შეგნებულად უღარდელი დამოკიდებულება სხვათა ინტერესების მიმართ აუცილებლად გულისხმობს იმის გათვალისწინებას, იმ შესაძლებლობის შეგნებას, რომ ესა თუ ის მოქმედება გამოიწვევს ზიანის მიყენებას. ამგვარივე ხასიათისაა აგრეთვე პირის მოუნდომებლობა გაიზაროს თავისი საქციელის შედეგები, რამდენადაც მოუნდომებლობა (როგორც ამას ამტკიცებს ბ. ს. უსტევსკი)¹ არის აქტიური განცდა, რომელიც გულისხმობს განსაზღვრულ აზროვნებით პროცესს, მოტივთა ბრძოლას და სხვ.

სავსებით მართებულად ხედავს ავტორი დანაშაულებრივი დაუდევრობის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის ძირითად წანამძღვარს საზოგადოებრივად საშიში შედეგების გათვალისწინებისა და თავიდან აცილების შესაძლებლობაში, რაც მოცემულ შემთხვევაში გამოიხატება პირის შესაძლებლობაში ზემოქმედება მოახდინოს თავისი საკუთარი წარმოდგენების განვითარებაზე, დაძაბოს თავისი ძალები საჭირო მიმართულებით (გვ. 91). ამასთან რეალური შესაძლებლობა არ წარმოადგენს „ნოლს ინდივიდუალის ფსიქიკურ სამყაროში“. ეს იმას ნიშნავს, რომ მოქმედების ჩადენის დროს მის ფსიქიკაში იყო რეალური წანამძღვრები ამ შესაძლებლობის განსახორციელებლად (გვ. 92). ავტორი აქ მიაღდა გაუფრთხილებლობის ერთერთი უძნელეს საკითხს — საზოგადოებრივად საშიში შედეგების მიმართ ფსიქიკური დამოკიდებულების შინაარსს. ამ საკითხს, სამწუხაროდ, მიიწვია არა აქვს დათმობილი საკმაო ყურადღება.

სწორედ ამ ასპექტში იყო აუცილებელი უფრო ამომწურავი გამოკვლევა იმისა, თუ სახელდობრ რაში მდგომარეობს ეს ფსიქიკური დამოკიდებულება, როგორია მისი ძირითადი ელემენტები. ავტორი აღნიშნავს, რომ პირს ჰქონდა ცოდნა, გამოცილილება და ა. შ., რასაც შეეძლო ხელი შეეწყოს მისთვის. მაგრამ ეს არაა საკმარისი — მითითება ზოგადად ჰქუის მარაგზე ჯერ კიდევ არ ამოსწურავს კონკრეტულ პროცესს კონკრეტულ ქმედობასთან და მის შედეგებთან დაკავშირებით.

ნაცვლად იმისა, რომ პირის ცნობიერებაში ეჭმბოს და ამოაჩინოს რეალური და კონკრეტული წარმოდგენები, ცოდნა და ა. შ., ავტორი კმაყოფილდება იმის მტკიცებით, რომ პირს

აქვს პოტენციური ფსიქიკური დამოკიდებულება (რომელზედაც ნათქვამი იყო 13, 58 და სხვ. გვერდებზე), და იმ გარკვეული შინაგანი მიზეზების გამოკვლევით, რომელთა მეოხებით პირმა ვერ მიაღწია შედეგის გათვალისწინებას (გვ. 93). შესაძლებლობის შესწავლა გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, რეალურად არსებული პირობების გამოკვლევას, რაც ნებას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ ისინი არსებობენ რეალურად.

იმის თქმა, რომ პირს აქვს პოტენციური ფსიქიკური დამოკიდებულება, ნიშნავს მტკიცებას, რომ გარკვეულ გარემოებებში მას შეიძლება და შეკქმნოდა რეალური ფსიქიკური დამოკიდებულება, მაგრამ ეს დამოკიდებულება, როგორც ასეთი, ჯერ კიდევ არაა. მარქსისტულ-ორიული მეცნიერებას კი მიაჩნია, რომ არსებობს რეალური ფსიქიკური დამოკიდებულება საზოგადოებრივად საშიში კონკრეტული ქმედობის მიმართ და ჩვენი ამოცანაა ამოვხსნათ მისი შინაარსი და მისი სპეციფიკა ბრალის სხვა ფორმებისათვის დამახასიათებელ ფსიქიკურ განცდებთან შედარებით. ეს სპეციფიკურობა გამოიხატება, უპირველეს ყოვლისა, ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათისა და მისი საზოგადოებრივად საშიში შედეგების უცოდინარობაში (ზოგიერთ შემთხვევაში კი — მხოლოდ შედეგების საზოგადოებრივად საშიში ხასიათის უცოდინარობაში).

ავტორის ასეთმა მიდგომამ განაპირობა ის გარემოება, რომ, როცა იგი იწყებს პირის ფსიქიკური დამოკიდებულების შინაარსის განხილვას (მეოთხე თავი), იგი მას ხელოვნურად უკავშირებს შესაძლებლობის საკითხს, რადგან მიაჩნია, რომ გარკვეული მომენტების დროს დანაშაულებრივი ქმედობა უნდა გახდეს შესაძლებელი გათვალისწინების საგანი (გვ. 155). მაგრამ ცხადია, რომ შესაძლებლობა განპირობებულია რეალური ფსიქიკური დამოკიდებულებით და კი არ ცვლის ან კი არ ამოსწურავს მას, არამედ ასახავს მის ხასიათს, მის თავისებურებებს.

VI.

განიხილავს რა გაუფრთხილებლობის კრიტიკურიუმებს, ავტორი სწორად აღნიშნავს, რომ ესაა მისი თემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი და ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებასა და შესწავლას მოითხოვს (გვ. 96), რამდენადაც არ შეიძლება ვილაპარაკოთ ზოგადად ბრალზე, თუ ქმედობა არ შეიცავს გადახვევას დადგენილი ნორმებიდან (გვ. 121). გაუფრთხილებლობა,

როგორც ბრალის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა, გულსხმობს „პრაქტიკულ გამოცდილებაზე დამყარებული, დაწერილი თუ დაუწერელი წესების დარღვევას“ (გვ. 128). იგი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ პირმა არ განახორციელა სიფრთხილის საჭირო ღონისძიებანი (გვ. 128).

ავტორის შეხედულებით, ეს საკითხი იმგვარადვე ისმის, როგორც დანაშაულებრივი თვითიმედოვნებისას, „რადგან ამ შემთხვევაშიც პირმა არ გამოიჩინა საჭირო წინდახედულება და ზრუნვა, რომლებიც ამ მომენტში მოსალოდნელი იყო“. ამჟერად ვ. გ. მაყაშვილი უფრო შორს მიდის, ვიდრე ბ. ს. უტევსკი, რომელმაც დააყენა სათანადო მზრუნველობის საკითხი მოძღვრებაში დანაშაულებრივი დაუდევრობის შესახებ.

ავტორი იძლევა ღრმა და დასაბუთებულ კრიტიკას ბურჟუაზიულ კრიმინალისტა შეხედულებებისა გაუფრთხილებლობის კრიტერიუმების შესახებ და, კერძოდ, „საშუალო ადამიანის“ კრიტერიუმის თეორიისა, რომელიც ვითომ-და „თანაწილობისათვის“, „საყოველთაო სამართლიანობისათვის“ ბრძოლის მიზნით არსებითად გზას უხსნის ობიექტურ შერაცხვას. ამ თეორიის ჭეშმარიტი აზრი მდგომარეობს იმ გარემოებათა მიჩქმალვაში, რომლებიც საფუძვლად უდევს ადამიანის მოქმედების შეფასებას ბურჟუაზიის ინტერესთა შესაბამისად (გვ. 100-101). მეორეს მხრივ, ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში არც სუბიექტური კრიტერიუმი არ წყვეტს საკითხს — მიუხედავად იმისა, რომ გვს იღებს კონკრეტული პირის ინდივიდუალური თავისებურებებზე — რადგან ფაქტის ობიექტურ დადგენას ცვლის ბურჟუაზიული სასამართლოს თავისუფალი მიხედულებით და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას უშვებს იმ შემთხვევაშიც, როცა დადგენილი მართლწესრიგი არ დარღვეულა (გვ. 103).

ამ საკითხის გადაწყვეტისას სოციალისტური სისხლის სამართალი აშკარად ამოდის სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა განმტკიცებისა და განვითარებისათვის მაქსიმალური ხელშეწყობის ამოცანებიდან (გვ. 106). სწორედ ამ საფუძველზე განისაზღვრება სათანადო ქცევის ფარგლებიც.

განმარტავს რა ძირფესვიან ცვლილებებს, რომლებიც ობიექტურმა კრიტერიუმმა განიცადა სოციალიზმის პირობებში, ავტორი მართებულად უუთვადებს სოციალისტურ სისხლის სამართალში „საშუალო ადამიანის“ კრიტერიუმის გამოყენების შესაძლებლობას (გვ. 109-120). იგი ილაშქრებს „ობიექტური კრიტერიუმის მე-

ქანიკური და გამარტივებული განხილვის“ წინააღმდეგ, იცავს დიფერენცირებულ მიდგომას სათანადო ყურადღებებიანობისა და მზრუნველობის განსაზღვრაში დროისა და ადგილის პირობების, პირის სამსახურებრივი მდგომარეობისა და სხვ. მიხედვით; კერძოდ იგი თვლის, რომ პირის ბრალის დადგენისას აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული პირის პროფესია, მისი საქმიანობის ხასიათი და სხვ. (ამაშია აზრი მსჯელობისა 134 გვერდზე).

დანაშაულებრივი დაუდევრობის ღრმა ანალიზის საფუძველზე ავტორი აკეთებს სწორ დასკვნას, რომ უმართებულოა მისა და თ. წერეთლის მიერ 1939 წ. წამოყენებული თეზისი საბჭოთა სისხლის სამართალში მართოდენ ობიექტური კრიტერიუმის გამოყენების შესაძლებლობის შესახებ (გვ. 114). მიუთითებს რა იმაზე, რომ პირის სუბიექტური შესაძლებლობების გათვალისწინება საკვებით შეესაბამება ინდივიდუალურ პასუხისმგებლობის პრინციპს (გვ. 116), იგი წერს: „საბჭოთა კრიმინალისტიკის სულ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ სუბიექტურ კრიტერიუმს“ (გვ. 114-115).

აკეთებს რა ამის საფუძველზე სწორ დასკვნას, რომ საბჭოთა სისხლის სამართალში საჭიროა როგორც ობიექტური, ასევე აგრეთვე სუბიექტური კრიტერიუმის გამოყენება, ავტორი დაწვრილებით ჩერდება მათ ურთიერთშეფარდებაზე. ამ ასპექტში დასაბუთებულადაა გარიტიკებული ა. ა. პინტკოვსკის თეზისი, რომ ობიექტური კრიტერიუმი შეიძლება იყოს ამოსავალ წერტილად „თავდაპირველი ორიენტაციისათვის“. ობიექტურ კრიტერიუმსაცა და სუბიექტურ კრიტერიუმსაც აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა პასუხისმგებლობის შესახებ საკითხის გადაწყვეტისას (გვ. 117). პასუხისმგებლობა დასაბუთებულია, როცა პირს უნდა გაეთვალისწინებინა და თავიდან აეცილებინა და ამავე დროს შეეძლო კიდევ გაეთვალისწინებინა და თავიდან აეცილებინა მანვე შედეგი. ამიტომ ორივე კრიტერიუმს აქვს „ტოლფასოვანი მნიშვნელობა და თითოეულს განეკუთვნება გარკვეული როლი გაუფრთხილებლობისათვის პასუხისმგებლობის დასაბუთებაში“ (გვ. 122).

VII.

შესაბამისად იმისა, რაც ითქვა ობიექტური კრიტერიუმის შესახებ, ავტორი ჩერდება იმ წესებზე, რომლებიც განსაზღვრავენ საჭირო (სათანადო) ყურადღებებიანობისა და მზრუნველობის ხარისხს (გვ. 119 და მომდ.). ეს წესები გა-

ნისაზღვრებიან ადამიანის საქმიანობის ცალკეულ სახეობათა სპეციფიკით და ასახავენ მკვეთრად შედგების დადგომის არსებულ შესაძლებლობებს, მიმართული არიან რა სრული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ანდა არასასურველი შედეგების დადგომის მოსალოდნელობის თავიდან ასაცილებლად (გვ. 124). ეს წესები იქმნებიან ან კოლექტიური ემპირიული დაკვირვებების საფუძველზე, ან მეცნიერული და ტექნიკური გამოკვლევების საფუძველზე. მათი ერთი ნაწილი ყალიბდება სამართლის ნორმების ან ჩვეულებათა სახით, ხოლო დანარჩენი ნაწილი მოქმედებს მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში იმ მოთხოვნათა სახით, რომლებიც მიმართულია ამა თუ იმ საქმიანობაში ჩაბმული ყველა პირისადმი (გვ. 125-127).

ავტორი სწორად აღნიშნავს, რომ სიფრთხილის მოთხოვნები მოიცავენ ორ მთავარ მომენტს: ჯერ ერთი, ფსიქიკურ ძალთა დაძაბვის მოთხოვნას საზოგადოებრივად საშიში შედეგების გასათვალისწინებლად და მათი თავიდან აცილების საშუალებათა ასარჩევად და, მეორე, მოთხოვნას აქტიური გარეგანი მოქმედებისა, რომელიც მიმართულია ამ შედეგის თავიდან ასაცილებლად.

წინდახედილების წესების შინაარსი და ხასიათი მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურით, ასახავს გაბატონებული კლასის ინტერესებს (გვ. 126) და დამოკიდებულია სხვადასხვა გარემოებებზე: მოქმედების ობიექტურ საზოგადოებრივ საშიშროებებზე, პირობებზე, რომლებშიც იგი ხორციელდება (გვ. 133) და სხვ.

ავტორი სვამს საკითხს სუბიექტური მომენტების, პირის ფიზიკური და ფსიქიკური თვისებების მნიშვნელობის შესახებ სათანადო წინდახედულებისა და მზრუნველობის მოცულობის განსაზღვრისას (გვ. 141). იგი მართებულად აკრიტიკებს ს. ვ. პოზნიშევის თვალსაზრისს იმაზე, რომ „თუ სუბიექტს შეეძლო გაეთვალისწინებინა დანაშაულებრივი შედეგი, მაშინ მას უნდა გაეთვალისწინებინა კიდევ იგი“ (გვ. 142)¹. ამგვარ თვალსაზრისზე დადგომა ნიშნავს დაადგე კანონიერების დარღვევის გზას და შექმნა საშიშროება პასუხისმგებლობაში მიცემისა ქმედობისათვის, რომელიც არ ეწინააღმდეგება მართლწესრიგის მოთხოვნებს. როდესაც რომელიმე პირმა შეასრულა ყოველივე, რაც საქმიანობის ხასიათის მიხედვით ამგვარ სიტუაციაში მოეთხოვება მისი პროფესიისა და ა. შ. პირებს, მაშინ ეს პირი პა-

სუხს ვერ აგებს იმისათვის, რომ მას, თავისი განსაკუთრებული მონაცემებისა თუ კულტურისა და ა. შ. წყალობით, შეეძლო გაეკეთებინა რაღაც უფრო მეტი.

ავტორი კი ამასთან დაკავშირებით ვარდება მეორე უვიდურესობაში, რომელიც ერთსა და იმავე დროს უმართებულოცაა და საშიშიც, უარყოფს რა ა. ნ. ტრაინინისა და ვ. თ. კირიჩენკოს სწორ თეზისს იმის შესახებ, რომ შესაძლებლობა არის „ერთ-ერთი არსებითი მომენტი სათანადო ქცევის განსაზღვრისას“ და როდესაც პირს „არ შეეძლო შედეგების გათვალისწინება და თავიდან აცილება, მას ამ კონკრეტულ შემთხვევაში არც უნდა გაეთვალისწინებინა ისინი“ (გვ. 146). მოთხოვნათა ობიექტური დაწესება ამა თუ იმ საქმიანობის შესაბამისად თავისთავად ნიშნავს სუბიექტური მოვალეობების დადგენას კონკრეტული პირისათვის, რომელსაც აქვს შესაძლებლობა შეუთანხმოს თავისი ქცევები ამ მოვალეობებს. უამისოდ კონკრეტულ შემთხვევას არ გააჩნია არც იურიდიული და არც სოციალური აზრი. არაფერ არ უნდა მოითხოვოს და ვერავის ვერ მოვთხოვთ შეუძლებლის შესრულებას; თორემ ვერ მოხერხდებოდა თანმიმდევრული ბრძოლა მარტოოდენ ობიექტური კრიტერიუმის გამოყენების წინააღმდეგ, განსაკუთრებით თუ მხედველობაში მივიღებთ რსფსრ 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 მუხლს, სადაც განსაზღვრული არაა მკაფიო მოთხოვნა პირისადმი, რომელსაც შეეძლო და, მაშასადამე, უნდა გაეთვალისწინებინა და თავიდან აეცილებინა შედეგი.

სწორედ ეს განაპირობებს იმ კრიტიკის არასაკმარის დამაჯერებლობას, რომელსაც ვ. ვ. მაყაშვილი მიმართავს მარტოოდენ ობიექტური კრიტერიუმის გამოყენების წინააღმდეგ (გვ. 147-148). ეს სხვა არაფერია, თუ არა უარის თქმა იმ საკითხის სამართლებრივ მოწესრიგებზე, რომელშიც ასახავს პოულობს სამართლიანობისა და ჰუმანურობის პრინციპი სოციალისტური სისხლის სამართლისა. აქედან გამომდინარეობს სუბიექტური კრიტერიუმის განხილვისას დაშვებული არათანმიმდევრულობა, რომელიც გამოვლინდა შეხედულებაში, რომ სრულებით არაა სავალდებულო ყველა კონკრეტულ შემთხვევაში გამტკიცოთ შედეგების გათვალისწინებისა და თავიდან აცილებების შესაძლებლობა და რომ უმრავლეს შემთხვევაში იმის დამტკიცებით, რომ პირს რაღაც უნდა გაეკეთებინა, მტკიცდება აგრეთვე პირისათვის ამის ვაკეთების შესაძლებლობაც (გვ. 149). არსებითად ესაა შე-

¹ ბ. ს. ანტიმონოვი და ვ. თ. კირიჩენკო მხარს უჭერენ ამ თვალსაზრისს, რომლის თანახმად, თუ პირს შეუძლია, იგი ვალდებულია კიდევ, თუმცა ყოველგვარი შესაძლებელი რაღაცა სავალდებულო.



საძლებლობის პრეზუმფცია, რომელიც აქ უთანაბრდება ბრალეულობის პრეზუმფციას, რადგან ჰქრება ბრალმდებლის მოვალეობა ამტკიცოს იმ გარემოებათა დადგომის შესაძლებლობა, რომლებიც განაპირობებენ ბრალეულობას, ხოლო განსასჯელმა თვითონ უნდა დაამტკიცოს ასეთი შესაძლებლობის არარსებობა, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, უნდა დადგინდეს გარემოებანი, რომლებიც „ასაბუთებენ ეჭვს“ ასეთი შესაძლებლობის მიმართ.

VIII.

ვ. გ. მაყაშვილის ნაშრომის ზოგიერთ ადგილას შეიმჩნევა ერთგვარი მოწყვეტა ერთმანეთისაგან გაუფრთხილებლობისა და ბრალისა, რომლებიც მოცემულია ცალ-ცალკე, იზოლირებულად. მაგალითად, მეორე თავის § 4 დასათაურებელია: „ბრალი დანაშაულებრივი დაუდევრობისას“. სიცხადე აკლია ავტორის სიტყვებს მე-13 გვერდზე: „...ბრალის მომენტის დადგენა გაუფრთხილებლობისას, განსაკუთრებით დანაშაულებრივი დაუდევრობის დროს, დაკავშირებულია დიდ სიძნელეებთან“ (იხ. აგრეთვე გვ. 90). მაგრამ განა დანაშაულებრივი დაუდევრობის დადგენა საკმარისი არაა ბრალის დასადგენად და განა აუცილებელია ამასთან ერთად დამატებით დადგინდეს რაღაც დამოუკიდებელი „მომენტი“ ბრალისა? ეს თვალსაზრისი, რომელიც ეწი-

ნააღმდეგება საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებულ შეხედულებას, რომ ბრალი არის განზრახვისა და გაუფრთხილებლობის გვარობითი ცნება, უცხო არაა ვ. გ. მაყაშვილისათვის. განზრახვა და გაუფრთხილებლობა, როგორც სისხლის სამართლის კატეგორიები, შეიცავენ ბრალის ყველა აუცილებელ ელემენტს, ნიშანს და ა. შ., რადგან ყოველი სახეობა შეიცავს იმ გვარის ყველა ნიშანს, რომელსაც იგი მიეკუთვნება. მაშასადამე, გაუფრთხილებლობის დადგენა (ისევე როგორც განზრახვის დადგენა) არის ამავე დროს ბრალის დადგენა და საჭირო აღარაა დამატებით წამოვაცენოთ რაღაც „მომენტები ბრალისა“, რომელიც იმყოფება დანაშაულებრივი გაუფრთხილებლობის თვით არსში. ამიტომ უფრო ზუსტი იქნებოდა გვეთქვა არა „ბრალი დანაშაულებრივი დაუდევრობისას“, არამედ დანაშაულებრივი დაუდევრობა, როგორც ბრალეული დამოკიდებულების გამოვლინების ფორმა.

მიუხედავად ჩვენი შენიშვნებისა, სადისკუსიო საკითხთა დრმა ანალიზი, ის ფაქტი, რომ ავტორი თავის შეხედულებებს ასაბუთებს ფრიად სერიოზული არგუმენტაციით და რომ შესრულებული გამოკვლევა კავშირშია ცხოვრებასთან, — ყველაფერი ეს შეადგენს წიგნის ღირსებას როგორც თეორიული სიღრმის მნიშვნელობით, ასევე პრაქტიკული სარგებლიანობის თვალსაზრისით.

სასამართლოს მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი

მიმდინარე წლის 31 აგვისტოს გაიმართა საქართველოს სსრ სასამართლოს მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ა. გორკინმა, საქართველოს სსრ პროკურორმა პ. ბერძენიშვილმა, საქართველოს კვლევითი კომიტეტის ადმინისტრაციული განყოფილების გამგის მოადგილემ ზ. რატიანმა, ადმინისტრაციული განყოფილების ინსტრუქტორმა თ. ონოფრიშვილმა, აზერბაიჯანის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ა. იბრაგიმოვამ, სომხეთის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ ე. სიმონიანმა, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს და რესპუბლიკის პროკურატურის მუშაკებმა, სახალხო მოსამართლეებმა, აფხაზეთის, აჭარის და სამხრეთ ოსეთის უმაღლესი სასამართლოს წევრებმა, სამხედრო ტრიბუნალისა და სამხედრო პროკურატურის მუშაკებმა.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ ს. ქაჯაიამ.

მოხსენებით „ვაფლანგვა-მტაცებლობის, მექრთამეობისა და სპეკულაციასთან ბრძოლის შესახებ“ გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ვ. მაისურაძე.

მომხსენებელმა აღნიშნა, თუ რა დიდ ზიანს აყენებს კომუნისტურ მშენებლობას ვაფლანგვა-მტაცებლობა, მექრთამეობა და სპეკულაცია. ილაპარაკა, რა კონკრეტულ ღონისძიებებს ახორციელებენ სასამართლო ორგანოები ამ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, — აღნიშნა ამხ. მაისურაძემ, — ქ. სოხუმის ტერიტორიის გავართობისათვის ქალაქის საბჭოს განკარგულებაში გადაცემულ იქნა 677 ჰექტარი საკოლმეურნეო მიწის ფართობი. დადგენილების შე-

სასრულებლად შედგა კომისია მშრომელთა დეპუტატების სოხუმის საქალაქო საბჭოს ინჟინერ ს. ჭელიძის, ამავე აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილების ინჟინერ ი. კვეციეცკირის, ტექნიკოს გუბლიანის, რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე ი. შენგელიას, ამავე კოლმეურნეობის ბრიგადირ ა. ზებელიანის შემადგენლობით. გამოიყენეს რა ბოროტად სამსახურებრივი მოვალეობა, ნაცვლად იმისა, რომ მიეღოთ მიწის ნაკვეთები, შეედგინათ სათანადო აქტები არსებული მშენებლობისა, დაიწყეს მექრთამეობა; მოქალაქეებზე, რომლებსაც არც მიწის ნაკვეთები ჰქონდათ, არც მშენებლობა, გასცეს ფიქტიური აქტები, რამაც მიწის მასიურ მითვისებამდე და თვითნებური სახლების მშენებლობამდე მიგვიყვანა. სასამართლომ მათ ხანგრძლივი ვადით თავისუფლების აღკვეთა მიუსჯა.

გამოძალისათვის გასამართლებულ იქნა დუშეთის რაიონის მილიციის განყოფილების ოპერაწმუნებული გ. პაპკიაური. მას ბრალი დაედო იმაში, რომ სოფელ მუხრანში მცხოვრებ კ. მზარეულოვს, რომელმაც სპეკულაციის მიზნით შეიძინა ვაშლი, გამოართვა ქრთამად 300 მანეთი. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გ. პაპკიაურს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსჯა ქონების კონფისკაციით.

ამხ. მაისურაძემ თათბირის მონაწილეებს გააცნო ის ღონისძიებები, რასაც აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის სამინისტრო ატარებს ვაფლანგვა-გატაცებისა და მექრთამეობის აღმოსაფხვრელად. ვაჭრობის სამინისტრომ ყურადღება მიაქცია აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს 1962 წლის 11 ოქტომბრის კერძო განჩინებას, შიდასაუწყებო კონტროლის, აღრიცხვიანობის, ფასეულობათა ინვენტარიზაციის უზარისხოდ ჩატარების შესახებ სოხუმის სამრეწველო ვაჭრობაში, რამაც შესაძლებლობა მისცა ამავე,



ვაჭრობის № 13 მაღაზიის საწყობის გამგეს ბ. ბიძიას გაეფლანგა თანხა 16.000 მანეთის რაოდენობით. კერძო განჩინების მოთხოვნის შეზამამისად ვაჭრობის სამინისტრომ სამსახურიდან გაათავისუფლა სოხუმვაჭრობის მთავარი ბუღალტერი ს. ლენოვი, № 13 მაღაზიის ბუღალტერი კ. პონომარევი, ამავე მაღაზიის სექციის გამგე ე. კალანტარიანი, მაღაზიის ფილიალის გამგე ა. კოჩკონიანი, № 13 მაღაზიის გამგე გ. ჩიქოვანი და საქონელმცოდნე ე. ფარცვანია, მთელ რიგ პირებს კი მკაცრი აღმინისტრაციული სასჯელი დაედოთ. ვაჭრობის სამინისტრომ № 13 მაღაზია დაყო სექციებად, გაზარდა ბუღალტერი-ინვენტარიზატორთა შტატი, ჩაატარა სემინარები ვაჭრობის აპარატის რევიზორებთან.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გაიზარდა სასამართლოების მიერ საქმეების განხილვა უშუალოდ საწარმოებში, მშენებლობაზე, კოლმეურნეობებში, მეურნეობებში და სხვა ორგანიზაციებში.

უმალესი სასამართლოს განკარგულებაში არსებული მონაცემებით რესპუბლიკის სასამართლო ორგანოები იშვიათად იხილავენ საქმეებს საზოგადოებრივი ბრალმდებლისა და საზოგადოებრივი დამცველის მონაწილეობით. თითქმის ყველა სახლხო სასამართლოში შექმნილია მსაჯულთა საბჭოები. ისინი ჯერ კიდევ არ არიან სათანადოდ გამოყენებული სასამართლოს მიერ საზოგადოებრიობისათვის აღსაზრდელად გადაცემულ პირთა ქცევაზე კონტროლის გაწვევისათვის, საჩივართა დროულად განხილვისათვის, სასამართლოს გადაწყვეტილებათა და კერძო დადგენილებათა შესრულებისათვის, არ ეხმარებიან მუშაობაში ამხანაგურ სასამართლოებს, სახლხო რაზმეულებსა და არასრულწლოვანთა საქმეთა კომისიებს.

დასასრულ მომხსენებელი შეჩერდა კანონის პროპაგანდის მნიშვნელობაზე, საბჭოთა კანონიერების შესახებ ლექცია-მომხსენებების ჩატარებაზე, რასაც ბევრი მოსამართლე ჯეროვნად ვერ აფასებს. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ქ. თბილისის ლენინის, ვარდახანისა და ცაგერის რაიონის სახლხო მოსამართლეებს 1963 წლის პირველ ნახევარში სრულიად არ ჩაუტარებიათ ლექციები სამართლის საკითხებზე, ხოლო ახალქალაქის, მესტიის, მარნეულის, მაიაკოვსკის,

ხაშურის, ბორჯომის კასპის, კრიათურის რაიონების სახლხო მოსამართლეებმა მხოლოდ ორი-სამი ლექცია-მომხსენება ჩაატარეს.

კამათში გამოვიდა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ვ. ღვინჯილია. მან აღნიშნა, რომ აფხაზეთის სასამართლო ორგანოები მრავალ ღონისძიებას ახორციელებენ უსაფუძვლო მსჯავრდებისა და გამართლების ფაქტების აღმოსაფხვრელად. ამხ. ვ. ღვინჯილიამ აღნიშნა, რომ აფხაზეთის უმაღლესი სასამართლო თავის მსჯელობის საგნად ხდის კანონის დარღვევისა და მუშაობის შემფერხებელ ყოველ ფაქტს. საქმეთა უსაფუძვლოდ გადადებისათვის დასჯილ იქნა რამდენიმე სახლხო მოსამართლე.

აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ს. მაკარაძემ აღნიშნა, რომ გაუძვლებდა აჭარის უმაღლესი და სახლხო სასამართლოების მუშაობა. მან დასახელა მოქალაქეთა არასწორად დასჯის, სასჯელის შეუსაბამობის ფაქტები. მიუთითა, რომ გაფლანგვა-გატაცების საქმეებზე წინასწარ არ ხდება ქონების აღწერა, რაც ქონების გადამალვის საშუალებას იძლევა.

როგორც მოხსენებაში ითქვა — აღნიშნა სამხრეთ ოსეთის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელმა გ. სვანიძემ — ჩვენ ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ სასამართლო სტატისტიკის საქმეს. ოლქში მეტად გავრცელებულია ხულიგნობა — დასჯითი პრაქტიკა კი სუსტია. მაგალითად, ვინმე ძუკაევი მეექვსედ გაასამართლეს ხულიგნობისათვის, ქალაქის სასამართლომ კი მას პირობითი სასჯელი მისცა.

ქ. ქუთაისის სახლხო სასამართლოს მუშაობაზე ილაპარაკა ქალაქის სასამართლოს თავმჯდომარემ ა. იობიძემ.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის მოსამართლე ვ. ყვანია ლაპარაკობს იმ სიძულეებზე, რაც სასამართლოს წინაშე წამოიჭრება ხოლმე არაზომიბითი შემოსავლით შეძენილ და აშენებულ ბინების ჩამორთმევის დროს. საქმეების განხილვას 10 დღის ვადაში სასამართლოები ვერ ასწრებენ, რადგან რაილმასკომი სათანადოდ შესწავლილ საქმეებს არ უგზავნის სასამართლოს. თავის გამოსვლაში



მან გააქრიტიკა აგრეთვე ყურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქციის საქმიანობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი ი. სუმბათაშვილი აღნიშნავს, რომ გამოძიების ორგანოები არ დგანან თავის სიმაღლეზე. ხშირად საქმეები გამოუძიებელია. მანვე გააქრიტიკა ბოლნისის, მარნეულის, ქ. რუსთავის, ლენტეხისა და სხვა სასამართლოების მუშაობა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე რუსთავის სასამართლოს თავმჯდომარემ გ. ვაბუნიამ, ცხაკაიას სასამართლოს თავმჯდომარემ გ. ტორჩინავამ.

თელავის სასამართლოს თავმჯდომარემ გ. მირიანაშვილმა ყურადღება გაამახვილა ამხანაგური სასამართლოების მუშაობაზე. წინადადება წამოაყენა, რომ რაილმასკომებთან შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს მათ. აზრი გამოთქვა, რომ პერიოდულად იქნას გამოცემული ბიულეტენები.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ქაჯაია თავის გამოსვლაში შეეხო სასამართლოების მუშაობის ნაკლოვანებებს. ჯერ კიდევ დიდი რაოდენობით უქმდება განაჩენები საპროცესო ნორმების დარღვევის გამო აფხაზეთში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში; ოქმები ხარისხიანად არ ფორმდება, მოსამართლეები ხშირად ოქმებს არ კითხულობენ. აღვლილ აქვს რეჟიმის არასწორად განსაზღვრას.

ამხ. ქაჯაიამ აღნიშნა, რომ ხშირად არასრულწლოვანთა საქმეებს განიხილავენ მოსამართლეები ისე, რომ არ გააქვთ მათი საქმეები

გამწესრიგებელ სხდომაზე. არ იწვევენ არასრულწლოვანთა საქმეებზე სპეციალურ მსაჯულებს.

საქართველოს სსრ პროკურორმა პ. ბერძენიშვილმა თათბირის მონაწილეთა ყურადღება გაამახვილა გამსვლელი სესიის, საზოგადოებრივი ბრალმდებლისა და საზოგადოებრივი დამცველის მონაწილეობის პროცესის ორგანიზაციაზე.

ამხ. პ. ბერძენიშვილი შეეხო წინასწარი გამოძიების სწორად ჩატარების საკითხებს. არასწორ გამოძიებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ყველა მეთე განაჩენი უქმდება, ან ცვლილებას განიცდის, ვავლენთ დანაშაულს და ბასუხისგებაში არ ვაძლევთ იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელს, სადაც გაფლანგვა მოხდა, მცირეა გატაცებული თანხების ამოღება.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. გორკინი.

— მთავარი საკითხია გაფლანგვა-მტაცებლობასთან, მექრთამეობასთან ბრძოლის გაძლიერება. ეს კი სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოების მნიშვნელოვანი ამოცანაა. სასამართლოსა და პროკურატურის მუშაკთა ერთობლივი მუშაობა ამ ამოცანის განხორციელების ეფექტური საშუალებაა. შემდეგ ამხ. ა. გორკინმა ილაპარაკა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სტატისტიკაზე.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ამხ. გ. მაისურაძემ.



მთავლი საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის საპატიო ამოცანას ემსახურება თბილისის სახალხო რაზმეულთა 17 ათასიანი კოლექტივი. ასობით ათასი მუშა და მოსამსახურე, ინტელიგენციის წარმომადგენელი, მუშათა გვარდიის ვეტერანი თუ კომკავშირელი ჩაება რაზმეულებში, რომლებიც მოწოდებული არიან დაიცვან წესრიგი, შეუთრეგებლად ებრძოლონ სამართლის დარღვევის გამოვლინებას.

ქალაქის რაზმეულების ამოცანებს მიეძღვნა თბილისის სახალხო რაზმეულთა პირველი შეკრება, რომელიც ძერქინსკის სახელობის კლუბში გაიმართა.

მოსხენებით — სახალხო რაზმეულების ამოცანები — გამოვიდა საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის მდივანი, რაზმეულთა საქალაქო შტაბის უფროსი ს. ჩხარტიშვილი.

სახალხო რაზმეულთა თბილისის პირველი შეკრება, აღნიშნა მომხსენებელმა, გაიმართა იმ აქტუალური და მნიშვნელოვანი საკითხის განსახილველად, თუ როგორ გავაუმჯობესოთ ჩვენი მუშაობა, უფრო მჭიდროდ დავარაზმოთ რაზმეულთა რიგები, გავზალოთ საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტი.

1959 წელს სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებების „ჩვენს ქვეყანაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში მშრომელთა მონაწილეობის შესახებ“, შემდეგ უფრო გამოცოცხლდა ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების საქმიანობა.

ორგანიზებულად მუშაობენ ორთქლმავალ-გაგონშემეკეთებელი ქარხნის (რაზმეულის მეთაური — ქარხნის უფროსი გ. მაცაბერიძე), ფეხსაცმლის № 2 ფაბრიკის (მეთაური ფაბრიკის დირექტორი გ. ჯანაშია), მულდ-კამეოლის კომბინატის (მეთაური — პარტკომის მდივანი ვ. გამცემლიძე), საბურთალოს აგურის ქარხნის (მეთაური — ქარხნის დირექტორი ი. ინგოროყვა), ტყავის № 1 ქარხნის (მეთაური — დირექტორი დ. თომაძე), ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის (მეთაური შ. ჩიგოჯიძე), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის და სხვა სახალხო რაზმეულები.

მისაბაძია პოლიტექნიკური ინსტიტუტის რაზმეულების ნაყოფიერი მუშაობა. მათ რამდენჯერმე დააკავეს ისეთი ბოროტეული ხულიგნები, რომლებმაც მოქალაქეებს სხე-

ულის მძიმე კატეგორიის დაზიანება მიაყენეს. მუსიკალურ-ინსტრუმენტალური ფაბრიკის რაზმეულებმა ტ. მეგრელიშვილმა, ნ. ბერძემე, გ. გელაშვილმა მორიგეობის დროს შეამჩნიეს სავიწრო პიროვნება ხვეულით ხელში, რომელიც დააკავეს. იგი აღმოჩნდა ქურდი-რეციდივისტი გ. ხუციშვილი, რომელსაც ამ დღეს ჩაუდგინა ახალი დანაშაული — გატეხა რკინიგზის სადგურის საწყობი და ნივთები მოიპარა.

ქალაქის ზოგიერთ რაიონში რაზმეულის შტაბმა შექმნა სპეციალური ჯგუფები. მაგალითად, კიროვის რაიონში წარმატებით მოქმედებენ რაზმეულები სპეკულაციისა და საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევის წინააღმდეგ. ჯგუფები, რომლებსაც საბიზოლითეო კოლექტორის-პარტიული ორგანიზაციის მდივანი ბ. კეკელია და ფეხსაცმლის № 2 ფაბრიკის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი გ. მიძუაშვილი ხელმძღვანელობენ, წარმატებით მოქმედებენ. მათ დააკავეს და მილიციაში მიიყვანეს სპეკულანტები რ. ბერიძე და ნ. ცაყიყვი, ხულიგანი ტ. რამიშვილი, რომელმაც მძიმედ დაჭრა მოქალაქე, აყალ-მაყალის ამტეხი ნ. აბესაძე და სხვა დამნაშაენი.

ს. ჩხარტიშვილი დამსწრეთა ყურადღებას ამახვილებს ზოგიერთ სახალხო რაზმელთა საქმიანობის ნაკლოვანებებზე. წესრიგის დარღვევები, საშიში დანაშაულობანი ხშირად ხდება პირდაპირ საზოგადოებრიობის თვალწინ.

ბევრი რაზმეულის საქმიანობა დაბალ დონეზე დგას იმის გამო, რომ მათ არ ეხმარებიან რჩევა-დარიგებით, ინსტრუქტაჟით.

შეუთანხმებლად და არაორგანიზებულად მუშაობენ ოპერატიული პუნქტებში. ცუდად წარმოებს დაკავებულთა აღრიცხვა. ზოგჯერ არ ადგენენ რაზმეულთა დისლოკაციისა და მორიგეობის გრაფიკს, არარეგულარულად გამოდის რაიონული შტაბების სატირული ფურცლებიც.

დასასრულდ მომხსენებელი ამბობს — ყველა ეს ნაკლოვანება უმოკლეს დროში უნდა აღმოიფხვრას, ვაიშალოს საზოგადოებრივი წესრიგისათვის ბრძოლის ფრონტი. აუცილებელია სრულყოფილ მუშაობის მეთოდები, შევისწავლოთ და განვაზოგადოთ დადებითი გამოცდილება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკურ მუშაობას. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ წესრიგის არც ერთი, თუნდაც უმნიშვნელო დარღვევა ან დანაშაული არ დაგვრჩეს ყურადღების გარეშე.

კამათში მონაწილეობა მიიღეს რაზმეულის მეთაურებმა, მილიციის ორგანოების მუშაკებმა. რაზმეულის მეთაურმა შ. ჩიქოვანმა განაცხადა: ჩვენი საწარმოს ნებაყოფლობითი სახალხო

რამელები არიან წარმოების ხელმძღვანელები და მოწინავე ადამიანები.

რამელების მოქმედების ზონა დაყოფილია ოპერატიულ უბნებად. მორიგეობის დროს ჩვენს განკარგულებაშია ავტომანქანები. რამეულთა დახმარებით გამოაშკარავებულ იქნა „საქმოსანთა“ ორგანიზებული ჯგუფი, რომელიც მაგარი სასმელის გაყიდვას ეწეოდა. რამელები მორიგეობენ დასახლებათა კლუბებთან, კინოთეატრებთან, ბაღებსა და სკვერებში. მათი იქ ყოფნა სანიმუშო სასოგადოებრივი წესრიგის დაცვის საიმედო გარანტიაა.

დიდი ყურადღება ექცევა ბავშვების ყოფაქცევას ქუჩებსა და სასოგადოებრიობის თავშეყრის ადგილებში. რამელებს კავშირი აქვთ დამყარებული სკოლებთან. მათ რეგულარულად ვაჭყობინებთ წესრიგის დამრღვევ მოსწავლეთა გვატებს.

თბილისის ორგანიზაციის რაიონის მილიციის უფროსი ო. ჟღენტის გამოსვლიდან დამწყვნი გაეცენ რაიონის ტერიტორიაზე მოქმედ ნებაყოფლობით სახალხო რამელთა მუშაობას.

პარტიის ორგანიზაციის რაიონის ინიციატივით შემუშავებულია პარტიული ორგანიზაციებისა და ადმინისტრაციული ორგანოების ერთიანი მუშაობის გეგმა რაიონში სასოგადოებრივი წესრიგის დასაცავად. იგი დიდ ამოცანებს ითვალისწინებს. ადგილობრივ ორგანიზაციათა შეთანხმებული და უნარბიანი მოქმედება კარგ შედეგებს იძლევა. 1962 წელთან შედარებით 30 პროცენტით შემცირდა ხელფანების, სასოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევები. რამელები მილიციის რაიონყოფილების მუშაობასთან მჭიდრო კონტაქტში მუშაობენ, ვაბედულად ებრძვიან წესრიგის დამრღვევებს, მოკავთ ისინი მილიციაში. მაგალითად, ერთ საღამოს უცნობმა დანთ დაჭრა მოქ. ვაბელია. ლენინის სახელობის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის რამელები კრავეიშვილი და ზარიძე ვაბედულად დაედევნენ შეიარაღებულ ბოროტმოქმედს, დააკავეს და მილიციაში მიიყვანეს.

ამასთან ერთად, — აღნიშნავს ამხ. ჟღენტი, — რამეულების საქმიანობაში ადგილ აქვს ნაკლოვანებებსაც. ზოგიერთი რამელი ფორმალურად უდგება თავის საქმიანობას, არასერიოზულად ეცილება დაკისრებული მოვალეობის შესრულებას.

საინტერესო იყო ლენინის რაიონის ნებაყოფლობითი სახალხო რამეულების შტაბის უფროსის, პარტიის რაიონის მდივნის დ. აბუთიძის გამოსვლა. მან ილაპარაკა თბილისის უმსხვილესი სამრეწველო რაიონის — 3700 რამელის ნყოფიერ მუშაობაზე.

მან შეკრების მონაწილეებს გააცნო საუკეთესო რამელთა საქმიანობა.

ა. წ. 20 იანვარს მე-5 სავაგონო დეპოს სახალხო რამელებმა ქარელაშვილმა და ჯომახიძემ პლენარის სახელობის კულტურის სახლში დააკავეს მთვრალ მდგომარეობაში მყოფი ბერიანიძე, რომელიც შეურაცხყოფას აყენებდა მოქალაქეებს და მილიციის რაიონულ განყოფილებას გადასცეს.


განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მუსიკალურ-კლავიშებიანი ფაბრიკის სახალხო რამელების ბეროძის, მეგრალიშვილის და გელაშვილის მუშაობა, რომლებიც ა. წ. 1 მარტს მილიციულ კარჩავეთა ერთად დააკავეს ვინმე ხუციშვილი, რომელსაც აღმოაჩნდა ნაქურდული ნივთები.

ლენინის რაიონი ყოველწლიურად იზრდება, ფართოვდება მისი საზღვრები, რაიონული შტაბი ზრუნავს იმაზე, რომ ახალი მიკრორაიონები უყურადღებოდ არ დაგვრჩეს. ახლახან ავჭალაში შეიქმნა შტაბის განყოფილება, სადაც მოქმედება დაიწყო სახალხო რამეულების ჯგუფებმა და პატრულებმა. რაიონში სანიმუშო სასოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და განმტკიცების საქმეში გარკვეულ როლს ასრულებს ნებაყოფლობითი სახალხო რამეულების რაიონული შტაბის და კომკავშირის რაიონის სატირულ-იუმორისტული გაზეთი „ნიანგის მათრახი“.

გაზეთი არა მარტო აღწესავს ამა თუ იმ ნაკლოვანებებს და დარღვევებს, არამედ ყოველწლიურად ცდილობს აღმოფხვრას ისინი, მიადწიოს დამნაშავეთა დასჯას, რის შესახებაც აუწყებს თავის მკითხველებს. ამრიგად, რაიონის სასოგადოებრიობას საშუალება აქვს იმსჯელოს ნებაყოფლობითი სახალხო რამეულების მოღვაწეობაზე. ამასთან წესრიგის დამრღვევთა გარშემო იქმნება შეურიგებლობის, საყოველთაო გააცხების ატმოსფერო.

თბილისის ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი ისინი, მიადწიოს, რაზემელი ს. ზადაგიანი, მიუთითებს, რომ ქუჩა აღსავსეა მოულოდნელობით. საჭიროა სიფიზილე, რათა შემჩნეულ იქნეს წესრიგის მოსალოდნელი დარღვევა. ს. ზადაგიანს საჭიროდ მიაჩნია წესრიგის დამრღვევთა მილიციაში მიყვანისას მილიციის ორგანოების დახმარება. იგი სასურველად თვლის, რამელებს ეცნობთ წესრიგის დამრღვევთა მიმართ მიღებული ღონისძიებანი.

სიტყვით გამოვიდა გზატკეცილების მთავარი სამმართველოს ინჟინერ-დისპეტხერის რამეულის მეთაური გ. ბაქრაძე. მან თქვა — ხშირად გაიგონებთ საჩივარს თითქოს საწარმოსა თუ დაწესებულების მუშაობის სპეციფიკა არ იძლევა რამეულის საქმიანობის ფართოდ გაშლის საშუალებას. ჩვენი დაწესებულების მაგალითზე ეს შეხედულება შეიძლება გააქარაწყლოთ. გზატკე-



ცილების სამმართველოს თანამშრომლები ხშირად დადიან მივლინებებში, მაგრამ სამორიგეოლ მიანიც გამოდის რეგულარულად 50-60 რაზმელი.

ჩვენს წინაშე ბევრი სიძნელეა, მაგრამ მათი გადალახვა ადვილად შეიძლება, თუ საქმეს მონდომებითა და გულისყურით მოგვიდებთ ხელს, თუ სურვილი გვექნება ვემსახუროთ საზოგადოებას, მივალწიოთ ჩვენს წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრას.

მიზნობრივი დამკვეთი რაზმის მეთაურმა, საბიბლიოთეკო კალექტორის პარტორგანიზაციის მდივანმა ბ. კეკელიამ ილაპარაკა კიროვის რაიონის დამკვეთი მე-4 სახალხო რაზმეულის მუშაობაზე. რაზმეული შეიქმნა 1961 წელს. მათ ამოცანად დაისახეს ბრძოლა ქორვაჭრებისა და საბჭოთა ვაჭრობის წესების დამრღვევთა წინააღმდეგ. ორი წლის განმავლობაში რაზმეულმა საზოგადოებრივი წესრიგის ბევრი დამრღვევი გამოაშკარავა.

შეკრების შედეგები შეაჯამა საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა რ. ფრუიძემ. მან თქვა: — ჩვენი უძველესი ქალაქი

ყოველწლიურად იზრდება და ლამაზდება. ბევრი რამ კეთდება თბილისელთა კეთილდღეობისათვის. მაგრამ ცოტაა ვაშენოთ ქალაქი. საჭიროა გარდაეკმნათ ადამიანების ხასიათიც, იმ ადამიანების, რომლებსაც არა სურთ სოციალისტური ყოფაცხოვრების წესების დაცვა. ეს მხოლოდ ზაშინ გახდება შესაძლებელი თუ თვითეული რაზმელი განიმსჭვალება მის წინაშე მდგომი ამოცანების სერიოზულობის შეგნებით და ყოველივეს გააკეთებს თავის უბანზე ამ ამოცანის შესასრულებლად.

შეკრებამ მიიღო მიმართვა ყველა თბილისელისადმი.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივანმა ვ. ჩალაძემ გამოაქვეყნა მშრომელთა დებუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება თბილისის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში აქტიური მუშაობისათვის მოწინავე რაზმელთა საპატიო სიგელებით დაჯილდოების შესახებ. 70 რაზმელი დაჯილდოებულია ფასიანი საჩუქრით.

ლ. კეკელიძე.

საქართველოს კანონმდებლობის პროპაგანდის შედეგები საქლიპრებისათვის

გაიმართა საზოგადოება „ცოდნას“ თბილისის საქალაქო განყოფილების გამგეობის IV პლენუმში, რომელმაც განიხილა საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის ადმინისტრაციული და სავაჭრო-საფინანსო ორგანოების განყოფილების გამგის დ. მახარაძის მოხსენება — „საზოგადოება „ცოდნას“ თბილისის ორგანიზაციის ამოცანები საბჭოთა კანონმდებლობის პროპაგანდის შემდგომი გაძლიერების საქმეში“.


საბჭოთა კანონები, აღნიშნა მომხსენებელმა, ხალხს ემსახურება, მის ინტერესებს იცავს. პარტია მოითხოვს გავაძლიეროთ საბჭოთა კანონმდებლობის პროპაგანდა, ავამაღლოთ მასების როლი სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა კანონმდებლობის პროპაგანდის გაძლიერების აუცილებლობას, კანონიერების განმტკიცებას, განაგრძობს აშხ. დ. მახარაძე, განსაკუთრებული სიძლიერით გაუსვა ხაზი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა, რომელიც პარტიის იდეოლოგიური მუშაობის მორიგ ამოცანებს მიეძღვნა. პლენუმმა განსაზღვრა მშრომელთა კომუნისტური აღზრდის დარ-

გში პარტიის მუშაობის ძირითადი მიმართულებანი და კონკრეტული ამოცანები.

მოსხენების მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო მშრომელთა შორის საბჭოთა სამართლის პროპაგანდას ლექციური პროპაგანდის საშუალებით. მოქალაქეების, განსაკუთრებით ხელმძღვანელი მუშაკების მხრივ მოქმედი კანონმდებლობის უცოდინარობა ხშირად მართლსაწინააღმდეგო ქმედობის მიზეზს წარმოადგენს. ამიტომ საბჭოთა კანონმდებლობის პროპაგანდის ამოცანაა დახმარება გაუწიოს მოქალაქეებს თავიანთი უფლებების, მოვალეობების გარკვევაში.

ქალაქ თბილისის ადმინისტრაციული ორგანოების — მილიციის, პროკურატურისა და სასამართლოს ბევრი მუშაკი დიდ მუშაობას ეწევა საბჭოთა კანონების პროპაგანდის მიზნით, ისინი გამოდიან მოსახლეობაში, წარმოება-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ლექციებითა და მოხსენებებით. საუკეთესოთა შორის მომხსენებელი ასახელებს ქ. თბილისის პროკურორს ა. ტაკიძეს, 26 კომისრის სახელობის რაიპროკურატურის გამომძიებელს ი. დავარაშვილს, სახალხო მოსამართლეს ო. ჯაფარიძესა და სხვ.



ადმინისტრაციული ორგანოების ზოგიერთი მუშაკი, აღნიშნავს მომხსენებელი, ნაკლებად მონაწილეობს საბჭოთა კანონების პროპაგანდაში. მათ მიეკუთვნებიან: მილიციის ქ. თბილისის სამმართველოს სისხლის სამართლის სამქმბრო განყოფილების უფროსის მოადგილე მ. გუჩმაზაშვილი, სახელმწიფო ავტოინსპექციის უფროსი ინსპექტორი ი. ლიტვინოვი, კალინინის რაიონის პროკურორი შ. რეხვიაშვილი, სახალხო მოსამართლე დ. ყაჭიური და სხვ.

საბჭოთა ადამიანის ფორმირება, ლაპარაკობს მომხსენებელი, წარმოებს კომუნისმის მშენებლობაში მისი აქტიური მონაწილეობის პროცესში პარტიისა და სახელმწიფოს აღმზრდელი მუშაობის მთელი სისტემის ზეგავლენით. აღმზრდელი მუშაობის წარმატება კი შეიძლება მოპოვებულ იქნას მაშინ, როდესაც იგი მოიცავს ჩვენი საზოგადოების ყველა ფენას, როდესაც თითოეული ადამიანის ქცევაში, ყოველი კოლექტივის, ყველა ორგანიზაციისა და დაწესებულების საქმიანობაში კომუნისტური იდეები ორგანულად შეერწყმება კომუნისტურ საქმეებს.

როგორც ამხ. დ. მახარაძემ აღნიშნა, უკანასკნელ ხანებში ქალაქ თბილისში ჩატარებულია მნიშვნელოვანი მუშაობა სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის. გუმჯობესდა მოსახლეობაში საბჭოთა კანონმდებლობის პროპაგანდა, მისი არსისა და მიმართულების განმარტება, ტარდება ლექციები, საუბრები, მოხსენებები, კითხვა-პასუხის საღამოები, თეორიული კონფერენციები. ამ საქმეში თვალსაჩინო წვლილი შეაქვს აგრეთვე საზოგადოება „ცოდნას“ თბილისის საქალაქო განყოფილებას, მის რაიონულ განყოფილებებსა და საზოგადოების წევრებს. საბჭოთა კანონიერების პროპაგანდის შემდგომი გაღრმავებისა და გაფართოების მიზნით, ამხანაურ სასამართლოებსა და სახალხო რაზმეულებში გაერთიანებული ამხანაგების ცოდნის ამღლებსათვის უახლოეს ხანში მუშაობას დაიწყებს საბჭოთა სამართლებრივი ცოდნის სახალხო უნივერსიტეტი.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ საზოგადოება „ცოდნის“ პლენუმი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საბჭოთა კანონმდებლობის განმტკიცებას, ფართო მასების დარაზმვას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის.

დანაშაულის, სოციალისტური კანონიერების დარღვევის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ ჩვენი მოსახლეობა არ არის სათანადოდ მომზადებული და გათვითცნობიერებული კანონმდებლობაში, ამბობს საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მდივანი ქ. ლაცაბიძე. ჩვენი რაიონის წარმოება-და-

წესებულებებში მუშა-მოსამსახურეებისთვის; მოსახლეობისათვის ხშირად ტარდება ინდივიდუალური, ჯგუფური კონსულტაციები, კითხვა-პასუხის საღამოები, ლექციები, მოხსენებები, ერთთვიანი და დეკადური ღონისძიებები თემებზე: „საზოგადოებრივი მოვალეობის მაღალი შეგნება კომუნისმის მშენებლობის მორალური კოდექსის უმთავრესი პრინციპია“, „ხალხთა მასების როლი დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლაში“ და სხვ. ამხ. ლაცაბიძე ლაპარაკობს ამხანაგური სასამართლოების, სახალხო რაზმეულების, ქუჩის კომიტეტებისა და სახლმმართველობის როლზე ამ პროპაგანდის გაძლიერებაში.

მშრალი პროპაგანდა, მხოლოდ კანონებისა და მუხლების გადმოცემა არაფერს არ მოგვცემს, ამბობს პროფ. ნ. ქოიავა. საჭიროა ფართოდ გამოვიყენოთ პრესა, ცოცხალი სიტყვა, კონტაქტი, აზრთა გაზიარება ხალხთან. საჭიროა რეგულარულად ეწყობოდეს კითხვა-პასუხის საღამოები, საუბრები სამართლის საკითხებზე, საჭიროა გამოიცეს ბროშურები ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების აღმწერი მავალითებით, რომელიც გარკვეულ პროფილაქტიკურ როლს შეასრულებს, ხელს შეუშლის ცალკეულ დანაშაულთა ჩადენას და დაეხმარება ადამიანის აღზრდას კომუნისტური სტულისკვეთებით.

ყველასათვის ცნობილია, — თქვა ქ. თბილისის პროკურორის მოადგილე მ. ხმალაძემ, რომ ქალაქში ადგილი აქვს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტებს, სისხლის სამართლის დანაშაულს, რაც ქალაქის მცხოვრებთა სამართლიან აღშფოთებას იწვევს. საზოგადოებრივი ზემოქმედების ძალას მეტად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მათ წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ ძალის ამოქმედებისა და გამოყენებისათვის მძლავრი იარაღია საბჭოთა კანონების პროპაგანდა. ქალაქში მომხდარ დანაშაულობათა ანალიზები ცხადყოფენ, რომ გარკვეული კატეგორიის ბოროტმოქმედებანი, როგორცაა ხულოვნობა, სხეულის დაზიანება, მკვლელობა, ავტოავარიები და სხვა, ხშირ შემთხვევაში გამოწვეულია სიმთვრალის შედეგად და თუ ჩვენ ამ მიმართებით კარგად დავაყენებთ პროპაგანდის საქმეს და დავრასხმავთ საზოგადოებრიობას, ამით შეგვიძლია მინიმუმამდე შევამციროთ ასეთი სახის დანაშაულებრივი ქმედობანი.

ყველა მოქალაქემ უნდა იცოდეს, ამბობს პროფ. ბ. ფურცხვანიძე, რომ კანონის დარღვევა საზოგადოებას დიდ ზიანს აყენებს, არ უნდა შევუშინდეთ ბოროტმოქმედს, გვერდი კი არ უნდა ავუაროთ მის ბოროტეულ ქმედობას, არამედ იგი სააშკარაოზე გამოვიტანოთ, დავეხმაროთ სასამართლოსა და მილიციის ორგანოებს ასეთ საშიშ პირთა დროულად გამოვლინებაში. ლექტო-



რის მოვალეობაა ყველაფერი ეს გასაგები, ხელმისაწვდომი გახადოს მსმენელებისათვის და მათ შეგნებამდე დაიყვანოს, რომ მართო აღშფოთება და ზიზღი საქმეს არ შეეღოს.

კომკავშირის პირველი მაისის რაიკომის მდივანი ე. ჭავჭავაძე შეეხო კომკავშირის რაიკომთან არსებულ მომხსენებელთა ჯგუფის მონაწილეობას საბჭოთა კანონმდებლობის პროპაგანდის საქმეში.

საბჭოთა ხალხის წარმატებანი კომუნისტური მშენებლობაში, ამბობს ოქტომბრის რაიონის სახალხო მოსამართლე ლ. ბრელიძე, უაღრესად ხელსაყრელ პირობებს ქმნიან იმისათვის, რომ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნა გავრცელდეს ფართო მასივში. ცნობილია, რომ ლექციური პროპაგანდა იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უბანია. მაღალ იდეურ დონეზე, ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებული და საინტერესოდ წაკითხული ლექცია კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს და დიდხანს რჩება ადამიანის მეხსიერებაში. ლექციამოხსენებებზე კარგად, ორგანიზებულად ჩატარების საქმეში ბევრი რამ არის დამოკიდებული წარმოება-დაწესებულებებსა და ორგანიზა-

ციების ხელმძღვანელ მუშაკებზე. პრაქტიკამ დაგვანახვა, რაც უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ ხელმძღვანელი მუშაკები იურიდიული ცოდნის პროპაგანდის საქმეს, მით უფრო ნაკლებია მათთან დანაშაულებრივი ქმედობანი, სამართლის დარღვევები, მით უფრო მაღალია მშრომელთა მართლშეგნება.

ამხ. ქ. გიორგაძემ თავის გამოსვლაში ყურადღება მიაქცია სალექციო პროპაგანდის ფართო გავრცელებისა და ლიტერატურის გამოცემის საკითხს. ჩვენს აგიტატორებს, პროპაგანდისტებს, თქვა ამხ. გიორგაძემ, არა აქვთ მისაწვდომი ენით დაწერილი ლიტერატურა, სადაც კომუნისტური მორალის, ზნეობისა და სხვა საკითხები ღრმად, ამომწურავად იქნება გაშუქებული.

კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობა მხატვრული ნაწარმოებების მხრივ. ერთ კარგად დაწერილ მხატვრულ ნაწარმოებს უფრო მეტის გაკეთება შეუძლია, ვიდრე 30 ლექციას; საჭიროა მოვთხოვით მწერლებს, პოეტებს იმუშაონ ამ საკითხებზე.

პლენუმმა განხილულ საკითხზე მიიღო დადგენილება.

ლ. ისაბაძე.

4/8. 0/112.



ფან 50 333.

ИНДЕКС 76185

СОВЕТСКОЕ ПРАВО № 5

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Юридической комиссии при Совете Министров
Грузинской ССР